ჩვენი თეატრი

17396

1

თბილისი
1939

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური ორგანო

ЛГ 777

1

სახელმწიფო გამომცემლობა
თბილისი
1939 წელი. იანვარი

შინაარსი:

	გვ.
ლენინიზმის დროშით	3

მხატვრული ლიტერატურა

ვლ. სულაბერიძე — ნარიყალა თერთმეტსარ-თულიანი სახლიდან	5
ვიქტორ გაბესკირია — ტბასთან . . .	6
ხემენ სკლიარენკო — აგრა ოლრიჯი (თარგმ. ნ. აგიაშვილისა)	7
ლადო ასათიანი — ლექსები	12
რევაზ მარგიანი — სვანები ძველს იმერეთ-ში	14
კონსტანტინე გამსახურდია — დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა	17
ალეკო შენგელია — ყრმობის დღეები . .	27
ია ჩხაიძე — ცხრა შვილის მამა . . .	29
რვდიარდ კიპლინგი — ბალადა ფიშერის ღა-მის ბინისა	41

კრიტიკა

შალვა რადიანი — შალვა დადიანი . . .	44

კონსულტაცია

შალვა დადიანი — წერილი ახალგაზრდა მკი-თხველისადმი	55

ლიტერატურული კალენდარი

გ. მეგუკე — ნიკო ნიკოლაძე	59
პლატონ კეშელავა — ლავრენტი არდაზიანი .	60

ბიბლიოგრაფია

რეცენზენტი — გიორგი ერისთავი: თხზულე-ბანი. შალვა რადიანის რედაქციით. „ფე-დერაცია“ 1936 წ.	63

პასუხისმგებელი რედაქტორი ირაკლი აბაშიძე
პასუხისმგებელი მდივანი ნიკოლოზ აგიაშვილი

წარმოებას გადაეცა 1939 წ. 27 იანვარს. ხელმოწერილია დასაბეჭდად 7 თებერვალს. ჟურნალის ზომა 6½ X 11, ქაღალდის ზომა 72 X 105, ფორმათა რაოდენობა 4. შეკვეთის № 141. მთავლიტის რწმუნებული № 2694. ტირაჟი 6000.

სახელგამის პოლიგრაფკომბინატი, ეორესის ქ. № 5

Ф. Сабиров

ლენინიზმის დროშით

„1924 წლის 21 იანვარს გორკაში, მოსკოვის ახლოს, გარდაიცვალა ჩვენი ბელადი და მასწავლებელი, ბოლშევიკური პარტიის შემქმნელი, ლენინი. მთელი მსოფლიოს მუშათა კლასი ლენინის სიკვდილის ამბავს შეხვდა, როგორც უმძიმეს დანაკლისს. ლენინის დაკრძალვის დღეს საერთაშორისო პროლეტარიატმა გამოაცხადა ყველა სამუშაოთა ხუთი წუთით შეჩერება. შეჩერდნენ რკინიგზები, შეჩერდა მუშაობა ქარხნებსა და ფაბრიკებში. მთელი მსოფლიოს მშრომელნი ულრმესი მწუხარებით მიაცილებდნენ საფლავამდე თავის მამასა და მასწავლებელს, საუკეთესო მეგობარსა და დამცველს — ლენინს.

ლენინის სიკვდილს საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა უპასუხა კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმვით ლენინური პარტიის ირგვლივ. ყოველმა შეგნებულმა მუშამ ამ გლოვის დღეებში აწონ-დაწონა თავისი დამოკიდებულება კომუნისტური პარტიისადმი, რომელიც ანხორციელებს ლენინის ანდერძს. პარტიის ცენტრალურ კომიტეტში ათასობით და ათასობით შემოდიოდა უპარტიო მუშების განცხადებები თხოვნით — მიეღოთ ისინი პარტიაში. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ხელი გაუწოდა მოწინავე მუშათა ამ მოძრაობას და გამოაცხადა პარტიაში მოწინავე მუშების მასობრივი მიღება, გამოაცხადა ლენინური გაწვევა პარტიაში. პარტიაში მუშების ახალი ათეულათასები შევიდნენ. პარტიაში მიდიოდნენ ისინი, ვინც მზად იყო სიცოცხლე შეეწირა პარტიის საქმისათვის, ლენინის საქმისათვის. ორას ორმოც ათასზე მეტი მუშა შევიდა მაშინ მოკლე ხანში ბოლშევიკური პარტიის რიგებში. პარტიაში შევიდა მუშათა კლასის მოწინავე ნაწილი, ყველაზე შეგნებული და რევოლუციური, ყველაზე გაბედული დ დისციპლინირებული. ეს იყო **ლენინური გაწვევა** პარტიაში.

ლენინის სიკვდილმა ცხადჰყო, თუ რა მახლობელია ჩვენი პარტია მუშათა მასებისათვის და რა დიდად აფასებენ მუშები ლენინურ პარტიას.

ლენინის გლოვის დღეებში სსრ კავშირის საბჭოების II ყრილობაზე ამხ. სტალინმა პარტიის სახელით დასდო დიადი ფიცი. მან სთქვა:

„ჩვენ, კომუნსტები. განსაკუთრებული წყობის ადამიანები ვართ. ჩვენ გამოკვეთილი ვართ განსაკუთრებული მასალისაგან. ჩვენ ისინი ვართ. რომლებიც შევადგენთ უდიდესი პროლეტარული სტრატეგის არმიას, ამხანაგ ლენინის არმიას. არა არის რა იმაზე უფრო მაღალი, ვიდრე ღირსება — ეკუთვნოდე ამ არმიას. არა არის რა იმაზე უფრო მაღალი, როგორც პარტიის წევრის სახელწოდება, იმ

პარტიისა, რომლის დამაარსებელი და ხელმძღვანელია ამხანაგი ლენინი...

მიდიოდა რა ჩვენგან, ამხანაგმა ლენინმა გვიანდერძა ჩვენ მაღლა გვეჭიროს და წმინდად დავიცვათ პარტიის წევრის დიადი სახელი. გეფიცებით შენ, ამხანაგო ლენინ, რომ ჩვენ ღირსეულად შევასრულებთ ამ შენს ანდერძს!..

მიდიოდა რა ჩვენგან, ამხანაგმა ლენინმა გვიანდერძა ჩვენ დავიცვათ ჩვენი პარტიის ერთიანობა, როგორც თვალის ჩინი. გეფიცებით შენ, ამხანაგო ლენინ, რომ ჩვენ ღირსეულად შევასრულებთ ამ შენს ანდერძსაც!..

მიდიოდა რა ჩვენგან, ამხანაგმა ლენინმა გვიანდერძა ჩვენ დავიცვათ და განვამტკიცოთ პროლეტარიატის დიქტატურა. გეფიცებით შენ, ამხანაგო ლენინ, არ დავზოგავთ ჩვენს ძალებს იმისათვის, რომ ღირსეულად შევასრულოთ ეს შენი ანდერძიც!..

მიდიოდა რა ჩვენგან, ამხანაგმა ლენინმა გვიანდერძა ჩვენ მთელი ძალღონით განვამტკიცოთ მუშათა და გლეხთა კავშირი. გეფიცებით შენ, ამხანაგო ლენინ, რომ ჩვენ ღირსეულად შევასრულებთ ამ შენს ანდერძსაც!..

ამხანაგი ლენინი დაუღალავად გველაპარაკებოდა ჩვენი ქვეყნის ხალხთა ნებაყოფლობითი კავშირის აუცილებლობის შესახებ. რესპუბლიკების კავშირის ფარგლებში მათი ძმური თანამშრომლობის აუცილებლობის შესახებ. მიდიოდა რა ჩვენგან, ამხანაგმა ლენინმა გვიანდერძა ჩვენ განვამტკიცოთ და გავაფართოოთ რესპუბლიკათა კავშირი. გეფიცებით შენ, ამხანაგო ლენინ, რომ ჩვენ ღირსეულად შევასრულებთ ამ შენს ანდერძსაც!..

ლენინი არაერთხელ მიგვითითებდა ჩვენ, რომ წითელი არმიის განმტკიცება და მისი მდგომარეობის გაუმჯობესება ჩვენი პარტიის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. მაშ ფიცი დავდოთ, ამხანაგებო, რომ ჩვენ არ დავზოგავთ ძალღონეს იმისათვის, რათა განვამტკიცოთ ჩვენი წითელი არმია, ჩვენი წითელი ფლოტი...

მიდიოდა რა ჩვენგან, ამხანაგმა ლენინმა გვიანდერძა ჩვენ კომუნისტური ინტერნაციონალის პრინციპებისადმი ერთგულება. გეფიცებით შენ, ამხანაგო ლენინ, რომ ჩვენ არ დავზოგავთ ჩვენს სიცოცხლეს იმისათვის, რომ განვამტკიცოთ და გავაფართოოთ მთელი მსოფლიოს მშრომელთა კავშირი — კომუნისტური ინტერნაციონალი!"

ეს იყო ბოლშევიკური პარტიის ფიცი თავისი ბელადის, ლენინის წინაშე, რომელიც საუკუნეებს იცოცხლებს".

(„საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის მოკლე კურსი"-დან).

ვლ. სულაბერიძე

ნარიყალა თერთმეტსართულიანი სახლიდან

ღამეს შველივით დაფეთებულს შემოთენებით
აღმოსავლეთმა მზის მერანი გამოაკიდა.
მე დილის მოსვლას მეთერთმეტე სართულზე ვხვდები
და ვესალმები ქალაქს აქიდან.
და ვესალმები... ეს სართული მამაღლებს მთამდე,
ოსტატს ვუმღერი, ვინც მოქარგა ქვები იმისი.
განთიადიდან განთიადამდე
ასე მაღლდება ლაჟვარდებში ჩემი თბილისი.
გავცქერი ქალაქს, ნარიყალა გდია ჩემს დაბლა, —
თბილისის ჩოხა დაწეწილი, ქარში ნათრევი.
ჟანგშემოდებულ ჩარეცხავს, გაჰბანს
ამ სართულების და ელვარე დღეთა ნათელი.
ის მეუბნება: „—შორიგზიდან მოვეხეტები,
ჩემზე მაღალი მთაც არ მეგონა,
აქ,—ცას მიადგეს მარმარილოს დიდი სვეტები,
თითქოს თბილისი მზეს მკლავებით გადაეკონა.
დამჩერებია ეს ქალაქი თავზე დიდებით,
ცად შადრევნები აფრქვეულან ოქროს მილითა,
და რომ შემეძლოს, მეც შრიალით წამოვფრინდები, —
აქ მიგდებული ძველი ქართლის მოტეხილი ფრთა.
წამოვფრინდები, რომ შემოველო მთები ვეება,
თუმც წარსულის ჟანგს მოტეხილი აწ ველარ ვზიდავ,
თავზე დამხარის განახლებულ ქართლის დღეები,
და ცეცხლს მიკიდებს ახალი მზითა.
მეტი რა მეთქმის, ოსტატებო, მოდით და ახლა
ამ სართულებში ჩააშენეთ ეს ჩემი ძვლებიც,
და ვინმე კიდევ ათასი წლის შემდეგ თუ მნახავს,
მეც აყვავებულ საუკუნის მკვიდრი ვიქნები!“

ვიქტორ გაბესკირია

ზბასთან

კვლავ გინახულე შენ, პატარა ტბაო, ტყის პირას,
მზე შენს მდუმარე და გაძარცულ ტყეს ეფარება;
მახსოვს, ისლიან ნაპირებთან მოვსულვარ ხშირად,
ახლაც ყურს ვუგდებ შენ სიჩუმეს და მდუმარებას.

გიახლოვდები, კვლავ ნაცნობი ხენი მხვდებიან,
თითქოს მათ—ხეებს მოსწყინდათო შენს ახლოს ყოფნა,
მდუმარე წყალში მოქანცული იხედებიან
და იმათ ჩრდილში ტბის ყვავილი გამოიყოფა.

გადარჩენილხარ, მაგრამ სანამ შეიცვლებოდეს
შენი მიდამო, სანამ ბალი არ დაგრქმევია,
მინდა შენს ირგვლივ დავდიოდე, ტანთ მედებოდეს
ეს ნარ-ეკალი, რძია-რძია და ქამენია.

სიყმაწვილეში გმეგობრობდი შენ, ტბაო, ვიდრე
მარტო ვიყავი, მაგრამ დღეს კი ვერ გამამხნევებ;
უკანასკნელად მსურს ნაპირთან ახლოს მივიდე,
შემომხვდნენ გზაზე და დავხედო წაქცეულ ხეებს.

უკანასკნელად... რადგან ვიცი კვლავ ველარ გნახავ,
რადგან შევხვდები აქ ბუჩქთა და მზის სხივთა ლივლივს!
მე შენ სანაცვლოდ აქ ვისილავ მიდამოს ახალს
და სადაც სდუმდი, იქ ოქროსფერ ბალში გავივლი.

სადაც მეგულვი, შევჩერდები — შენ მოგიგონებ,
ტბას გავიხსენებ, მაგრამ ნაფიქრს არვის გავუმხელ.
რად დაფიქრდიო, როს მკითხავენ, ასე მგონია,
გავხედავ ბალს და ვიტყვი: „წვიმა მოსულა წუხელ!“

აჯრა ოლრიჯი*)

მოთხრობა ტარას შევჩენკოს ცხოვრებიდან

შუადღე იყო უკვე, მაგრამ გეგონებოდათ, თითქოს დღე ჯერ არ დაწყებულაო. ცის თალხი უბიდან განუწყვეტლად იფრქვეოდა წვიმა და თოვლი. ოთახში ბინდი იდგა. კუთხეში ობობას თათებივით გაჩაჩხულიყო მოლბერტი. კედლებიდან უფერულად და მრუმედ გამოიყურებოდნენ ოფორტები. ბინდბუნდში მიმალულიყვნენ: უბადრუკი სარეცელი, მაგიდა, ორი სელი.

მაგიდასთანმიმჯდარი ტარას შევჩენკო წამოდგა და ზოზინით მივიდა სარკმელთან. გაასუფთავა გაორთქლილი მინა, გაიხედა ქუჩაში, არსად ჩნდა იმედის ნიშანწყალი! ნისლი ბურავდა პეტერბურგს. კუნძულებს. ნათელი დღეები სადღაც გადაიკარგნენ — დაიწყო შემოდგომა, კვალდაკვალ მოჰყვებოდა მასავით ლირწიანი, თოვლჭყაპიანი ზამთარი... ცივა, სინესტეა... ტანში ჰზარავს ტარასის და ტკაცანი გაუდის იმიერკასპიაში გათოშილ ძვლებს. სტკივა თავი, მთელი სხეული.

ბოლთასა სცემდა ოთახში, ნახევრადმთვლემარე. თავის კუთხეს იცნობდა მთელი სიგრძე-სიგანით: ხუთი ნაბიჯი სიგრძით, სამი — გარდიგარდმო.

დარონინებდა და ფიქრობდა. შორეული უკრაინიდან იმდილით მიღებულ წერილზე. ძმადნაფიცი ბართლომე სწერდა ბატონის მძიმე ულელზე, ტარასის დის — ირინეს შესახებ.

„მას თავისუფლებას ჰპირდებიან, მაგრამ უმიწოდ გაუშვებენ, — სწერს ბართლომე. — რაღაა თავისუფლება უმიწაწყლოდ — წყალში გადავარდნა სჯობს!“

ტარასის გული დაეწვა მისთვის სანატრელი და უძვირფასესი დაიას ტანჯული სახის, მისი ბავშვების მოგონებისას.

---

*) ა ჯ რ ა ო ლ რ ი ჯ ი — გამოჩენილი ზანგი-მსახიობი (1804 თუ 1810 წ.— 1867 წ.). გამოდიოდა ევროპის მთავარი თეატრების სცენაზე და დიდის წარმატებით ასრულებდა ოტელოს, შეილოქს, მეფე ლირს, მაკბეტს. 1857 წელს ჩამოვიდა რუსეთში. შევჩენკომ გაიცნო ის 1858 წელს პეტერბურგში ყოფნისას, დაუმეგობრდა მას და დაჰხატა მისი პორტრეტი.

— ჩემო დაიკო! — ამოიხვნეშა, — ბედკრულნი ვართ ორივენი. ვერასოდეს ვეღირსებით ბედნიერებას.

ოთახში კი უფროდაუფრო ბნელდებოდა, წყვდიადი აშთობდა; აყრუებდა ყველაფერს. შევჩენკომ აანთო პაწაწინა კანდელი. ოდნავ მბჟუტავი სინათლე კიდევ უფრო საგრძნობელს ჰხდიდა ოთახის სიღარიბეს.

მოაგონდა: დილით ტოლსტოებთან დაპატიჟეს საღამოზე. ჩაცმა დაიწყო. იცვამდა ფაციფუცით, თითქოს ჰსურდა სასწრაფოდ დაეტოვებია ღატაკი კუთხე.

ტოლსტოებთან შევჩენკომ, მოქანცულმა და მდუმარემ, გულგრილად ჩამოუარა ნაცნობებს. ანაზდეულად თითქოს გამოიღვიძა:

— ოლრიჯ... აჲრა! — მოესმა ლმობიერი, გულთბილი ხმა.

ტარასი გრიგოლის-ძემ ზეაიღო თავი და ყურადღებით შეაჩერდა. მის წინ იდგა საშუალო სიმაღლის, ტანადი კაცი. კანის სიშავის გამო ნაოჭები არ ემჩნეოდა პირსახეზე.

ოლრიჯმა გაიღიმა, და პოეტმა დაინახა ნატიფი თეთრი კბილები, ალერსიანი თვალები. ოლრიჯის სახე გულღია და საამური გახდა.

— მე აჲრა ვარ, — სთქვა ზანგმა და ხელი მკერდზე დაიდვა.

თავისი გვარის წარმოთქმის ნაცვლად შევჩენკომ უნებურად მოკლედ მიუგო:

— ტარასი!

ისადილეს ტოლსტოებისას. აქ ხშირად იკრიბებოდა პეტერბურგელი ინტელიგენცია: მწერლები, მხატვრები, არტისტები. შევჩენკო ყოველთვის ისვენებდა ამ საზოგადოებაში. მონაწილეობდა წარმტაც საუბრებში: ხელოვნებაზე, მხატვრობაზე, ლიტერატურაზე.

მაგრამ ამდღეს შევჩენკო თითქოს ვერ ამჩნევდა გარშემო მყოფთ. იჯდა ოლრიჯის გვერდით, მათ ახლოს — ტოლსტოების ძმისწული ქალი. ამ საღამოს იგი თარჯიმანი იყო: მუსაიფობდნენ პოეტი ტარას შევჩენკო და გამოჩენილი მსახიობი აჲრა ოლრიჯი. არტისტი მოუთხრობდა თავისი სამშობლოს — ქალაქ ბალტიმორის შესახებ.

— პაპაჩემი წინამძღოლი იყო, — ამბობდა ოლრიჯი, — ჩვენში, აფრიკაში, უამრავი ტომია. ერთიანდებიან თითქმის ცალკე ოჯახებიც კი მტრისგან თავდასაცავად. ხოლო მტერი ბლომად გვყავს. ყველას ჰსურს შეიპყრას ზანგი და დაიმონოს...

— როგორც ჩვენში! — წყნარად წარმოსთქვა შევჩენკომ.

ტოლსტაიამ გადაუთარგმნა ოლრიჯს შევჩენკოს სიტყვები. ჯერ თითქოს ვერ მიხვდა, გახედა ლამაზად გაწყობილ სუფრას, ტურფად მოკაზმულ ბანოვანებს, დარბაისელ მამაკაცებს... შევჩენკოს თვალი თვალში გაუყარა და თავი დაუქნია.

დიდხანს მუსაიფობდნენ. აჲრამ მოიგონა პაპამისი, მოუთხრო მისიონერი მამისა და ზანგი-დედის შესახებ. დედის მოგონებისას გულთბილი სიყვარულით აუციმციმდნენ თვალები. უამბო დის შესახებ. ის მონობაშია ისევ, და ძმას არ ძალუძს დახმარება: და შავკანიანია, მდიდარი ადამიანები პირუტყვად სთვლიან მას.

— არაა საჭირო გადათარგმნა, — უთხრა ტოლსტაიას შევჩენკომ. — გმადლობთ, ყველაფერი მესმის.

და საუბარი გაგრძელდა უთარჯიმნოდ. ოლრიჯი აღტყინებით იგონებდა სამშობლოს, ზანგთა უუფლებობას, მონობას, კატორღას, გაქცეული ზანგების დევნას ბატონთა ძაღლებით. თავის სიტყვებს ახმარდა ჟესტებს. შევჩენკო იჭერდა უცხო ენის ნაცნობ სიტყვებს და ესმოდა ყველაფერი, რასაც მოუთხრობდა აჯრა.

— ბედმა მსახიობი გამხადა, — ჩმბობდა ოლრიჯი, — მაგრამ შავკანიანი ვარ: თოვლზე უსპეტაკესი სული მაქვს, ყველასთვის უცხო ვარ მაინც.

სტუმრები წამოიშალნენ. სადილი დამთავრდა, ოლრიჯს გარსშემოეხვივნენ. დიასახლისმა ყველას შესთავაზა წასვლა თეატრში, სადაც იმ დღეს გამოდიოდა მსახიობი.

დათანხმდნენ, საჩქაროდ ჩაიცვეს და ქუჩაში გავიდნენ.

იქ ელოდათ მეეტლეთა მთელი მწკრივი.

იმ საღამოს შექსპირის „ოტელოს“ დგამდნენ. ოტელოს როლში გამოდიოდა ოლრიჯი.

ერთერთ პირველ რიგში მჯდომარე შევჩენკო შეკრთა აჯრა ოლრიჯის დანახვისას. ის შემოდიოდა სცენაზე იაგოს მაშხალით გაშუქებული. და დეზდემონასადმი სიყვარულით აფრთოვანებული ოტელო ამბობდა:

— და თუ აქ კაცსა თავის ქება ჰმატებს ღირსებას,
მაშინ საქვეყნოდ გავამხელ, რომ ჩემთა წინაპართ
ქვეშ სახელმწიფო ტახტი სდგმიათ და მეც ღირსი ვარ
ამაყად დავხვდე ჩემგან ნაპოვნ ბედნიერებას...
ახლა რომ ჟამი
იყოს ბრძოლისა, წაქეზება არ დამჭირდება... *)

დარბაზში სული გატრუნეს. შევჩენკო ოლრიჯის გარდა ველარავის ხედავდა. უყვრეტდა ვნებითავსებულ მის თვალებს, ტუჩებს... იქიდან მოისმოდა ხან სიხარულის შეძახილი, ხან მოიფრქვეოდნენ ღრმაკაეშნიანი სიტყვები, ესმოდა, თუ რა დაძაბულად სცემდა ზანგის გული, თვალყურს ადევნებდა, თუ როგორ უფროდაუფრო ეხვეოდა ტრფობის ბადეში მისი მგზნებარე სული. და პოეტის გული, მოქანცული გული, იმიერკასპიის ტრამალებში დამჭკნარი გული, რომელიც სევდით იგონებდა დას — ირინეს, გული, რომელიც ოცნებობდა მყუდროებასა და სიყვარულზე, იწოდა და სცოცხლობდა ოლრიჯის გულთან ერთად, ოტელოს გულთან ერთად.

შევჩენკო ველარ ამჩნევდა ანტრაქტებს პიესის მოქმედებათა შორის. მივიდოდა ვინმე ნაცნობი, რაღაცას შეესიტყვებოდა, იწვევდა სადმე წასასვლელად, მაგრამ შევჩენკოს არ ესმოდა და შემდეგ არც შეეძლო ეთქვა, ვინ და რა უთხრა. ის ძლიერ შორს იყო ამდროს ხალხისა და თეატრისგან.

---

*) ლექსები ამოღებულია ივანე მაჩაბლის მიერ თარგმნილი „ოტელოდან“.

ოტელო იგონებდა სცენაზე:

— ვუამბობდი, რაც შემმთხვეოდა უბედურება,
რაც-კი ხიფათი გამომევლო ზღვაზედ, თუ ხმელზედ,
რამდენჯერ საშიშ, საზარელის ნაპრალის პირად
ჩემი სიცოცხლე ბეწვს ეკიდა, ან უწყალო მტერს
ვით ჩავუვარდი ტყვედ და მონად როგორ გამყიდეს,
ან ვით დავიხსენ თავი ჩემი ამ ტყვეობიდან.

და შევჩენკოს თვალწინ გაიელვებდნენ ტრამალები ნოვოპეტროვსკის გარშემო, — უსივრცო, მზითგადახრუკული, გამოფიტული... თვალწინ მიჰქროდნენ მისი ცხოვრების უნდილი დღეები, ციალებდნენ სახეები.

— მაშ, შენა ჰფიცავ? — ეკითხებოდა ოტელო.

— ამ მარჯვენას გეფიცებით! — მიუგებდა იაგო.

და შევჩენკოს აგონდებოდა მრავალი ფიცისგამტეხი, იაგოსავით გამყიდველი, რომლებიც წვეთ-წვეთობით სპობდნენ და ანადგურებდნენ ყველაზე უფრო ძვირფასსა და ბრწყინვალეს.

— დაგვიანდა, დრო აღარ არის! — დაიგმინა მოტყუებულმა ოტელომ. და დეზდემონამაც დაუტევა წუთისოფელი.

— გვიანლაა! — გაიმეორა მდუმარედ შევჩენკომაც.

დარბაზი კი გრიალებდა, მქუხარებდა. ხალხი წამოდგა ზეზე, ქედს იდრეკდნენ დიდი აჯარა ოლრიჯის ნიჭის წინაშე და მხოლოდ თვით აჯარა ოლრიჯი იდგა სცენაზე უძრავად, ოდნავ მიელულა თვალნი, ბაგენი მოკუმოდა უკანასკნელად ამბორებისას.

და ამდროს ფერმიხდილი, აგრეთვე ნახევრადთვალდახუჭული ტარას შევჩენკო სავარძლებს შორის რამპისკენ გაეშურა.

— სად არის ოლრიჯი? — იკითხა სცენის იქით.

იდგა წებოს სუნი და მტვრიან ჰაერში ძნელი იყო სუნთქვა.

— სადაა აჯარა?

წყნარად შევიდა გენიალური მსახიობის ოთახში. აჯარა ფართო სავარძელში ჩაწოლილიყო. მაგიდაზე იდგა დიდი კანდელი და აშუქებდა მსახიობის სახეს.

ოლრიჯი მძიმედ სუნთქავდა, მკერდი ამთაგორებოდა, — ვერ ახერხებდა სიყვარულისგან შებოჭილი პირის გაღებას, თვალები კვლავ შილულოდა.

—აჯარა! — ნელა დაუძახა შევჩენკომ კარაპინიდან.

ოლრიჯმა თვალი გაახილა. მიმოიხედა, თითქოს არ ესმოდა, თუ რატომ იყო აქ. შეხედა მჭკნარ ყვავილებს, მაგიდაზე მიგდებულ პარიკს. შეაჩერდა შევჩენკოს თვალებში, დაინახა ცრემლი. ჰსურდა წამოდგომა სავარძლიდან. ვერ შეიძლო.

— ტარასი! — წარმოსთქვა ოლრიჯმა მისთვის ნაცნობი სიტყვა.

— აჯარა! — გაექანა მისკენ შევჩენკო.

მკერდში ჩაეკრა მსახიობს.

— ჩვენ ორივენი, — ამბობდა შევჩენკო, — ორივენი დავეძებთ ბედნიერებას, ის კი არა სჩანს. არ არსებობს ბედნიერება... გვლალატობს ბედი... მოიწი, ჩემო აჲრა! მსურს გეამბორო, მეგობარო.

არ ყოფნიდა საჭირო სიტყვები. იმ წუთს ველარ ეპოვნა და მათი ძებნაც არ იყო საჭირო. ვიღაც აკაკუნებდა კარზე, უხმობდა მსახიობს, მაგრამ არც ოლრიჯს, არც შევჩენკოს არაფერი ესმოდათ.

ტარასი ჩაეკრა თავის შორეულ მეგობარს და ჰკოცნიდა მის გრიმირებულ პირსახეს, ლოყებს, ტუჩებს, თვალებს, საიდანაც შეუჩერებლად იფრქვეოდნენ ცრემლები.

*
* *

შევჩენკოს ადრე გაეღვიძა.

წვიმის, თოვლჭყაპისა და ნისლის შემდეგ მშვენიერი დღე დადგა. მზემ დაფარა კუნძული. შევჩენკოსთანაც შეიჭვრიტა მან. ღარიბი ოთახი გახალისდა. ღუმელი აფრქვევდა სითბოს.

შევჩენკომ შეიცნო სტუმრის ფეხისხმა. გაექანა შესახვედრად, ჩაეხვია და გადაკოცნა აჲრა ოლრიჯი.

— მე დაგხატავ, ჩემო კარგო მეგობარო! — ამბობდა შევჩენკო, — შევქმნი სურათს, და როცა ვინმე შეხედავს მას, გაიგებს ჩვენს მეგობრობას. მიხვდება — თუ რატომ შეგიყვარე შენ — ზანგი — და რატომ შემიყვარე მე — უკრაინელი — აფრიკელმა ადამიანმა. ორივე საბრალონი ვართ, ორივენი ბედკრულნი.

— დაჯექი აქ, — მიაწოდა სელი შევჩენკომ, — დღეს დავხატავ აჲრა ოლრიჯის სურათს.

ოლრიჯი მობრუნდა. ფანჯრიდან ათვალიერებდა ქუჩებს, არხებს. და მისი სახე იყო ოტელოსი, რომელსაც თამაშობდა წინაღამით. სახეზე აღბეჭდოდა ტანჯვა-წამება, კაეშანი, სიყვარული და სიძულვილი.

— არა! — სთქვა შევჩენკომ, — შორს ტანჯვა, შორს მწუხარება, აჲრა! ყველაფერი გაივლის. დარჩება მხოლოდ სიხარული. ვიცინოთ. ოდესმე გვეწვევიან სიხარული და ბედნიერება. დასცინე ამ წყეულ წუთისოფელს, აჲრა! იცინე, ჩემო მეგობარო!

შევჩენკომ თვითონვე გაიცინა. აჲრა შემკითხველად მიაჩერდა მას. ყველაფერს ვერ მიხვდა. შევჩენკომ ფართოდ გადაშალა ხელები, თითქოს მთელი სამყარო უნდა ჩაიხუტოსო. მიუთითა ფანჯრის იქით მოთამაშე მზეზე, მის მხიარულ ათინათს კედლებზე, ხელები მკერდზე მიიბჯინა და შემდეგ თავშეუკავებლად გაიშვირა ისინი მსახიობისკენ.

აჲრა მიხვდა და გაიცინა. მის სახეზე, ზანგის მშვენიერ, კეთილშობილ სახეზე, აციალდა სანდომიანი ღიმილი. იცინოდა. ფიქრობდა მზეზე, ადამიანებზე და შევჩენკოსთან შეხვედრის სიხარულზე.

შევჩენკომ ფუნჯი შეახო მქისე ტილოს. ტილოს ნელინელ შეეპარა სიცოცხლე.

თარგმანი **ნ. აგიაშვილისა**

ლექსები

კოლმეურნეებთან ლხინში თქმული.

მე ჩემი სახლი გამხსენებია,
გამხსენებია ყველა კეთილი...
თქვენთან ნადიმში დამთენებია,
არ დავრჩენილვარ გულდაწყვეტილი.
მე განმიცდია მთის იდილია
და საარაკო ლხინი მზიური,
მაგრამ ეს რაღაც უფრო ტკბილია,
უფრო ნაცნობი და მშობლიური.
ჩემს გვარს უშიშარს და იმედიანს
არ მოჰკლებია ყურძნის ნაწური,
მაგრამ ეს რაღაც უფრო მეტია,
უფრო სოფლური და ვაჟკაცური.

ძველი მოლოცვის მოსაგონარი

ო... არ იფიქროთ, რომ გოგონების
მწვავს სიყვარული, ან სიძულვილი.
მე მხოლოდ შორი დღის მოგონების
და გახსენების მქონდა სურვილი.
და აი, გუშინ, როცა კარადის
თაროსთან წიგნებს ვეძებდი დილით,
უეცრად ვნახე თქვენი ბარათი
თქვენსავით მკრთალი და ფერმიხდილი.
— გილოცავ, ძმაო, ბედნიერ მყობადს, —
ჩამჩურჩულებდა ნაზად წერილი,
მან მომაგონა ჩვენი ბავშვობა,
გზები — ია და ვარდით ფენილი.

ო... არ იფიქროთ, რომ გოგონების
მწვავს სიყვარული ან სიძულვილი, —
მე მხოლოდ შორი დღის მოგონების
და გახსენების მქონდა სურვილი.

სამი უსათაურო

*
* *

შენ რომ გინდოდეს, ვიყო შენს გვერდით
შენსავით წყნარი, შენსავით მშვიდი,
შენ გიგალობდი, შენ ვ. მღერებდ.,
შენთვის გულსაც კი ამოვიჭრიდი
და შენს სიყვარულს არ მოვიშლიდი.

*
* *

მე სიყვარული ამიტანს უცებ...
დაგეძებ, დამსდევს ფიქრთა კრებული.
დავიარ ჩემი ქალაქის ქუჩებს
და დავბრუნდები აღელვებული.
სად ხარ? სად გნახო? საით იქნები?
ვიცი — გარბიხარ და მემალები.
შენ დაგეძებენ ჩემი ფიქრები
და ანთებული ჩემი თვალები.
იცოდე, კვლავაც თუ გამიქრები,
ჩემს სიყვარულში დაგაჯერებენ,
შემოგხვდებიან ჩემი ფიქრები
და ჩემს მაგივრად გაგაჩერებენ.

*
* *

გთხოვთ, არ გაიგოთ სხვანაირ სახით
შაირი, ლექსი და ეს ბარათი,
მე მინდა თქვენთან დავიდგა სახლი
და მთაწმინდაზე დავრჩე მარადის.
რომ შთაგონებით მთვრალი და ხელი
ავმღერდე თქვენი ტრფობის თილისმით.
თქვენ მოიღეროთ ჯეირნის ყელი
და გიყურებდეთ მთელი თბილისს.

რევაზ მარგიანი

სვანები ძველს იმერეთში

მგზავრები თითქმის იმერეთში იყვნენ მისულნი,
მგზავრობა ჰქონდათ საშინელი და უფერული, —
სვანს უსათუოდ მასპინძლობა სწამს იმერული,
წვიმა კი არა და არც ქარი ქუთაისური!..

მიადგნენ ქალაქს და ქუჩებში რიხით მიდიან
ხუთი ვაჟკაცი, დაღალული, ხუთი მთიელი,
თან აქვთ გუდები, დამშეული სიცალიერით...
სვანისთვის უცხო არც რიონზე ჯაჭვის ხიდია!..

...და თითქოს ეს ცაც იმერული საცრის მაგივრად
სცრის, როგორც ამბობს ერთ ზღაპარში ყრუ
დედაბერი;
სვანს გაუგია: იმერთში იცის თაკარა,
პატარა ქარიც, ცოტა წვიმაც, ცოტა „სხვაფერი“.

ჰო და, „სხვაფერი“ წვიმა სცრიდა ქუთაისური,
არ ეშინოდა მთიდან მოსულ ახოვანების,
ძველ ჯაჭვის ხიდთან დაღალული შედგნენ
სვანები
და აყაყანდნენ მასლაათით, დარბაისლურით!

უცბათ ვილაცამ სვანებს ჰკადრა შეპატიჟება,
იმერულ რიდით, მოკრძალებით, ხილის ფათურით,
ჩუმად შეუძღვა, შეანელა ხმა ქუთათური
და სუფრის გაშლა მოისურვეს დუქნის ბიჭებმა!

და მასპინძელი დატრიალდა ძველ ჯარასავით,
სთქვა: „რა მოგართვათ, ღვინო იცდის თქვენთვის
სვირული.

ყველაფერი გვაქვს შესაწვავიც, მოსახარშავიც!"
და გააკვირვა სმა-ჭამისთვის თავგანწირულნი!..

წაიკაპიწეს, შემოუსხდნენ სუფრას სვანურად,
შამაპაპიდან გაუგიათ ქება იმერლის.
სუფრა გაშალეს სვანისათვის გასაკვირველი,
არც ამნაირი მასპინძლობა ეუცნაურათ.

ყელიც შღეროდა: „მო, სვირულით ჩამაგრილეო"
და ულვაშები წითელ ღვინით გაუფერულდა;
სვანებმა სცადეს მოემართათ ხმა იმერულად,
მაგრამ ისევე ღვინომ სძლიათ ეთქვათ „ლილეო".

„კურთხეს, ლოცეს მასპინძელი გასაკვირველი,
ლოცვით მოიხმეს: მოხუცები და ჭაბუკები:
„გადაგეხადოსთ მაგიერი მისთვის უკლებლივ
სვანეთის ხალხის, მოყვარულის, კაცის პირველის"!..

შეუჩვეველებს ვაზის წვენს და პილპილიანებს
შემოეპარათ შეუმჩნევლად ძალა ბახუსის.
სვანს ღვინო მხოლოდ დასალოცად ჯამში ჩაუსხი,
სულმოუთქმელად დასალევად შეატრიალებს!..

ბარბაცით გულხვავ მასპინძელთან მივიდნენ
მთვრალნი,
მადლობა უთხრეს, სამადლობელს სვამენ ასრიგად.
მასპინძელს მათი ეს „მადლობაც". არ ეჭაშნიკა,
სვანების სუფრას გადაავლო მწუხარედ თვალი.

შემდეგ აიღო... „ატრიალა ხელში ქაღალდი,
„ისიც და ესეც ღვინოც იყო ათი ჩარეკა" —
ცოტა დაფიქრდა, ყველაფერი ჩოთქში ჩარეკა,
სვანებს დაადო შეუჩვევი გადასახადი!..

გაკვირდნენ, გულუხვ მასპინძელსაც ახედ-ჩახედეს.
„ფულის გადახდა სტუმრისათვის რის მაქნისია?!".
„სვანებო, მთელი პურმარილი გამინახევრეთ,
და ასე მიხვალთ, ერთი მითხარ, რა სინდისია"?..

დადგნენ და დიდხანს უცქეროდნენ მთვრალი
თვალებით,
უკვირდათ: სუფრა გახადა უცხო და უფერული;

სვანს უსათუოდ მასპინძლობა სწამს იმერული,
არა ასეთი მასპინძლობა, გადასარევი.

. . . . . .

. . . . . .

შემდეგ წაიღო ქუთაისმა მათი არაკი.
მოედო ქალაქს, როგორ სჭამეს პური სვანურად;
გახშირდა ჭორი, ყბადაღება და ლაპარაკი.
არც ამნაირი მასპინძლობა ეუცნაურათ!..

კონსტანტინე გამსახურდია

დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა

რაინდული რომანი

ფრაგმენტი

XXIII

„ეამი რაი წულილთა ამოფშვინვათაი წარმოდგეს, ზარი მეფობისაი წარხდეს და დიდებაი დაშრტეს, შენობახი უქმ იქმნენ, სხუამან მიიღოს სკიპტრაი, სხუასა შეუდგნენ სპანი, მაშინ შემიწყალე მსაჯულო ჩემო“.

დავით აღმაშენებლის გალობანი სინანულისანი

12 777

მოწეულიყო არე გაზაფხულისა. ლაინისფერ მთებზე ალაგ-ალაგ ჭლავდა ხასხასა სითეთრე. მწვანე შემოსდგომოდა არაგვის ხეობას.

ჰყვაოდა ნუში.

ქედანისფერი, მგლისფერი და ზღვისფერი ებრძოდნენ ურთიერთს კორდებზე.

მზე ეთხოვებოდა მცხეთის ტაძრების მოოქროვილ გუმბათებს.

კონსტანტინე არსაკიძე ნელის ნაბიჯით ჩამოდიოდა ერთსართულიან ქვითკირის სახლიდან, რომელსაც ჩარდახმორღვეული კოშკი ჰქონდა უკან მოდგმული. ხურსი აბულელის სახლთუხუცესს რატის ეკუთვნოდა ეს პატარა სასახლე ოდესღაც.

როცა ხურსი სარკინოზებთან გაიქცა, სახლეული და სახლთუხუცესი თან წარიტანა, მხევალი ნონაი დასტოვა შინ.

მერმე ის იყო ხუროთმოძღვარის ხარისხი მიუბოძა გიორგი მეფემ არსაკიძეს და ეს სასახლეც მას გადასცეს.

ხილნარი ერტყა სასახლეს გარშემო, ირანულ გემოზე მოწყობილი ბაღჩა, ათიოდე საფუთკრე შიგ.

მოხუცებული ნონაი მრავალ წელს მარტოკა ცხოვრობდა ამ უკაცრიელ სახლში.

ყველაზე ადრე მწერი და ქვეწარმავალი შეიცნობს ხოლმე კაცთა ოჯახის იავარყოფას.

ობობები შეესია კუთხეებს, ხოჭოებით გაივსო კარადები და განჯინები, მორიელებმა გამოსტეხეს ქვითკირი, ცეცხლისფერი მორიელები ზიმზიმებდნენ თაროებსა და ფანჯრის რაფებზე.

ეროვნული ...

ნონაი თავგამოდებით ებრძოდა მათ, ბოლოს გაქცევა გადასწყვიტა. დედათა მონასტერში მონაზნად აღკვეცას აპირებდა, რადგან ამბავი მოუვიდა: რომელიღაც ომში მოჰკლესო ოატი.

სწორედ ამ დროს დააბინავეს ტყვე ყოფილი ლაზი მუნ, სიხარულისაგან ცას ეწია ნონაი.

მამისეულ ოჯახში ნებიერად გაზრდილს მეურნის ნიჭი არ მოსდგამდა არსაკიძეს. განადგურების კიდეზე იყო მიმდგარი რატისეული სასახლე. შერყეულიყვნენ თავკიდურები, ბალავარი მიწისძვრას დაეხეთქა, სახურავის ფიქალი ალაგალაგ ქარს გადაეძრო. ხეხილი დაეზრა ყინვასა და ბუქს.

მიმხედავი არავინ სჩანდა.

არსაკიძე დღენიადაგ ხარაჩოებზე დაბობღავდა. მთელს საქართველოში დაეხეტებოდა, ციხეთა და ეკლესიათა მშენებლობას თვალს ადევნებდა. დაქანცული, კირში ამოთხვრილი ბრუნდებოდა ნასამხრალზე შინ, ზეზეურად წაიხემსებდა, კვლავ სამუშაოს მიუჯდებოდა.

თავათ ხაზავდა გეგმებს, ასწორებდა სხვის მიერ დახატულ დეტალებს, არ ენდობოდა ხელოსნებს ხანაც, სტეკას წაავლებდა ხელს, აქანდაკებდა ბარელიეფებს, ჩუქურთმებსა სჭრიდა უდრეკ ლოდებზე, საფრეს-კე ნახაზებს ამზადებდა თავათ.

საკუთარ შვილსავით უვლიდა ნონაი ჭაბუკს. იტანჯებოდა მოხუცი დიაცი არსაკიძის უმწეობისა და სიბედშავის შემყურე. დღენიადაგ შრომაში გართულს ჭამაც კი ავიწყდებოდა. ჯამიანად უკან დასდევდა ნონაი.

შესჭამეო რამე, ეველრებოდა თავის ახალ ბატონს, რომელსაც ბატონობის უნარიც არ აღმოაჩნდა.

იმ საღამოსაც აჩრდილივით მიიპარებოდა ბინიდან. ბაღჩაში კაჭაჭსა სთხრიდა ნონაი.

გამოუდგა.

დღეს უმადოდ ისადილე, ბატონო, მცირეოდენი კორკოტი მაინც ინებეო, ეველრებოდა. არსაკიძეს ეშურებოდა, მაგრამ ხათრი დასდო მოხუცებულს. დედას აგონებდა იგი უცნაურის მზრუნველობით. კორკოტიც არა ჰქონდა მოთავებული, კეცზე შემწვარი ორაგულები მოურბენინა ნონაიმ.

მაგვიანდებაო, მოიმიზეზა არსაკიძემ, ხელიდან დაუძვრა მხევალს.

ბაღჩა გადაიარა თუ არა, ფარსმანის სახლს მოჰკრა თვალი.

შევალ და ვინახულებო ავადმყოფ ოსტატს, ეს გაიფიქრა და სწორედ ამ დროს ძელსა ჰკრეს მთავართა სანათლოის ეკლესიაში. ეზოსმოძღვრის გუშინდელი საყვედური გაახსენდა ანაზდად: წირვასა და მწუხრზე ვერ გხედავენო ლაზო.

შემდგომ ამისა, ძველთუძველესი ისტორიები წამოიწყო ხუცესმა. ლაზები იყვნენო პირველქრისტეანნი საქართველოში, მათ აღმართესო ძელი პატიოსანი პირველად, თუ წარმართმა ფხოველებმა არ გადაგარჯულეს, შენ უნდა იყვეო სანაქებო შჯულისმოყვარე.

ამ თავაზიან შეგონებაში უცილოდ ერია იდუმალი ქირდვა. კარგად იცოდა არსაკიძემაც, გულბოროტი რომ იყო ეზოსმოძღვარი ამბროსი, ენაჭარტალა და მთესავი ღვარძლისა.

ახლა, როცა, დიდი ხნის წამების შემდეგ, ბედმა გაუღიმა, რაღად სჭიროდა მიუსაფარ ტყვე ლაზს, ამ ქვეყნის ძლიერთა გულისწყრომის დამსახურება.

დაქანცული იყო მთელი დღე ხარაჩოებზე თრიალისაგან, შინგაბრუნება ყველაფერს ერჩია, მაინც არ მიეძალა გზას.

მარტის მზეს სიმხურვალე დარჩენოდა მთების უბეებში. ხვადაბუნების პაწია ვენახებს სხლავდნენ. ალაგ-ალაგ კოკონები ენთო ბაღის კუთხეებში, ლიწინლიწინი გაჰქონდა წალამს.

რქა აეყარა ვაზს, აყვავებულიყო ფშატისა და ატმის ხეები. ლერწები დასწითლებოდა ნერგებს, მანეულის ბუჩქები ყვითლად ღვივოდნენ, ცეცხმოდებულ ჯაგებს წააგავდნენ ისინი.

მწუხრი მშვიდობისას უსურვებდა არსაკიძე ვენახებში მომუშაკეთა.

ბავშვებს სიმღერით შემოჰყავდათ მთავართა სანათლოის გარეუბანში ღორ-ხბო. მათ უკან კამეჩის ჯოგები მოიზლაზნებოდნენ თემშარაზე, ნახირები მოსდებოდნენ გზებსა და შუკებს, ყროყინობდნენ თავაწეული კამეჩები, ჭიხვინებდნენ უბელო ჭაკები, ფანლიანი აქლემები მოაკანტურებდნენ თავს, ქერა კვიცები მოკუნტრუშობდნენ ტალახიან გზებზე.

კორდი აიარა თუ არა, სვეტი ცხოველი გამოჩნდა შორიდან.

გაიხარა ოსტატის გულმა. ორი წლის წინად მიწას არ აჩნდა ბალავარი ამ ადგილიდან. ახლა ხარაჩოების მთელი ტყე იდგა ოთხივე კიდეს. სვეტები, კოჭები, კაკუტები, ლატნები, ხარიხები და ძელები.

სამკუთხედი, ოთკუთხედი, ჯვარედინი, წრიული და მანდიკური ხაზები ეს ყოველივე ისეთ შთაბეჭდილებას ჰბადებდა შორიდან, გოლიათური ქარის წისქვილები აუგიათო, ქორედ ქორედი ხუხულები, დევის ყმაწვილების სათამაშოდ გაკეთებული.

ამ უწესრიგო, უსწორო ხაზების ქაოტიურ ზესწრაფვაში მხოლოდ ოსტატის თვალი თუ ამოიკითხავდა მომავალი ნაგებობის ანაგობას, დიდებულს.

არავინ ისე არ იტანჯება მატერიის ქაოსის შემყურე, როგორც ხელოვანი ამ ქვეყნად.

არსაკიძე გრძნობდა, მეფემ და კათალიკოსმა უდიდეს ოსტატს რომ შეარკინეს იგი. მოხუცებულ ბრძენკაცს უნდა შებმოდა მოკრძალებული, თავმდაბალი ჭაბუკი. მის ქმნილებას უნდა დაეჩრდილა ყველა ტაძარი ფარსმანის მიერ აგებული სამცხეში.

ღმერთია მოწამე, მას არ მოუწადინებია ეს, არსაკიძის სახელს დასწვდნენ და ესროლეს იგი ფარსმანს, როგორც ხელკეტი მწიფე ნაყოფს.

ხალხს გულამაყი ეგონა არსაკიძე უთვინიერესი ბუნებით. ჯერ კიდევ ფარსმანისაგან ჰქონდა მინიშნებული კონსტანტინეს. ბრძენკაცი უნდა იყვეო და შლეგად მოაჩვენოვო ადამიანებს თავი, გმირი უნდა იყვე და

ჯაბანივით დადიოდე, ოსტატი უნდა იყვე და ხელმოცარულად მოგქონდეს თავი, რადგან არავის იმდენი მტერი არა ჰყავსო ამ ქვეყნად, როგორც ბრძენკაცს, გმირსა და ოსტატს.

არც თუ ოდესმე გაბედავდა არსაკიძე არაგვისა და მტკვრის შესართავთან ტაძრის აგებას უკვარცხლბეკო ვაკეზე.

ალმოსავლეთიდან ჯვარის ტაძარი გადმოსცქერის მას, სარკინეთისა და ზედაზენის მთების გვირგვინი, ჩრდილოეთიდან, ყაზიბეგის მწვერვალიდან ყინვის ბექთარებში ჩაჭედილი მარადჟამობა.

ეს ყოველივე კარგად ესმოდა არსაკიძეს, ამიტომაც ებრძოდა იგი ამ უხეში ლოდების ქაოსს, როგორც იაკობი თავის მრისხანე ღმერთს.

ორი წლის წინად, ეს ლოდები, ეს ძელები, ეს აგურები უწესრიგოდ გყარნენ მიწაზე, დახედა ოსტატის თვალმა, შეეხო ოსტატის ხელი, ქვა ქვაზე შესდგა, აგური აგურს წაეპოტინა, კედლებმა მხარი მისცეს ურთიერთს, თაღებმა კამარა შეჰკრეს, გუმბათმა ნაგებობა დააგვირგვინა, ბოლოს მიეახლება ნაოსტატარს ოსტატი, ქაოსს შემოაცლის სრულ ყოფილს, ბედნიერი შემოქმედი შესძახებს ქმნილებას: იქმენინ ნათელი!

და ცას მისწვდება ლოდების უცნაური ჰარმონია ცაში ატყორცნილი და ცაშივე გაყინული სამარადჟამოდ.

„კურთხეულია მხოლოდ ნაბიჯი ვალმოხდილისა, შრომაა უდიდესი სიქველე ამ ქვეყნად და არც არაფერი ამშვენებს ისე ვაჟკაცს, როგორც შრომაში გამოჩენილი სიმამაცე.

უდიდესი სიამაყე, შეუდგება გულს, როცა შემოქმედების შენის ნაყოფი ცხოვრებასა და მიწას სამკაულად გამოადგება“.

ეუბანი გაიარა ამ ფიქრით მოცულმა ჭაბუკმა, ველი დაიწყო უკაცრიელი. გუგულის ხმა მოისმოდა შორიდან. გაზაფხული გაუბედავად მოსდგომოდა არაგვის ხეობას, გუგული უხმობდა თითქოს, მთების უბეებში დაყოვნებულს.

ბეხრეკა მუხა გაეჭაბუკებინა გაზაფხულის სუნთქვას ძალოვანს. გალურჯებულ იყვნენ შტოებზე ლერწები, ია გამოსულიყო აქაიქ კორდებზე, ავშანის მხმარ ბუჩქებში განაბული. ფაჩუნებდა ღობემძვრალა ნაზამთრალი ფოთლებში, მწითური ჯინჭველების ქარავანი აღმა აჰყოლოდა დაკორძებულ მუხის ტანს.

ხოლო ქვევით, დაღვარჭნილ ფესვებთან შავი ჯინჭველები მისეოდნენ გვამგამოფატრულ ყვითელ მუხლუხას, ფუსფუსებდნენ გრძელულვაშიანი მეკობრენი, სიცოცხლე ზეიმობდა სიკვდილის კარზე.

კორდზე წამომჯდარი მწყემსი სალამურს უკრავდა. თხები დაკუნტრუშებდნენ ქარაფების ფერხთით. ციკნები კიკინებდნენ მაყვლოვანში მონავარდენი.

ძელსა ჰკრეს სამთავროს ეკლესიაში.

მწუხრზე ეჩქარებოდა არსაკიძეს, გადასწყვიტა მოკლებით მოეჭრა სასაფლაოზე გზა.

საწყალობელი იყო ძველთაძველი საგოდებელი.

ქართული, ბერძნული, არაბული წარწერანი მოსჩანდნენ ლოდებზე, ფრინველთა სკორეს წაებილწათ უპატრონო სამარხები.

ყორნები წამოიშალნენ ქვის ჯვრებიდან, უკმაყოფილო ყრანტალით მიაშურეს მუხოვანს.

მიდიოდა არსაკიძე, შრიალებდნენ ანწლისა და ავშანის მხმარი კლერტოები. თვალს გადაჰკრავდა გზადაგზა წარწერებს, ხანაც სამარხებზე დაყუნცულ ქვის ვერძებს გადაჰხედავდა. ზოგ წარწერას კიდევ გაარჩევდა თვალი, ხავსს წარეხოცა ზოგიც.

ქართველი, ბერძენი, სარკინოზი, ყველა წამხდარიყო სიკვდილის წინაშე. ამ სოფლიურ ამაოებას მისტიროდნენ, შენდობასა და მოხსენებას ითხოვდნენ ყველანი.

„ნუთუ ცოცხალთა ღმერთი უნდა იყოს იგი, ვისაც ეს მზეგადასული თაობანი შეჰღაღადებენ? თუ სიკვდილის უფალია, ჩრდილების ქვეყნისა და შავეთის თავადი?“

საგოდებელი გადაიარა არსაკიძემ და შეღმართი მოათავა. ანწლისა და ავშანის კლერტოები წელამდის წვდებოდა, უსიცოცხლო შარიშური გაჰქონდა ნაზამთრალ ღეროებს.

იძალა სალამურის ხმამ, ძახილს მოუხშირა გუგულმა.

ასე გამოდიოდა: პანის სალამური და გუგულის ხმა უხმობდნენ გაზაფხულს; ამ გავერანებულ საგოდებელშიაც გადმოსულიყო. რადგან ავშანისა და ანწლის ნაფესვარებიდან თავი წამოეყო მორჩს, ყურდაცქვეტილი ყლორტები უღიმოდნენ ცას. აზმორებდა მიწას სიმხურვალე გაზაფხულისა. სადაცაა ჟვერს უნდა ამოეხეთქა და ამ ველურ ვეგეტაციას წარეხოცა ეს ხავსიანი ლოდები და ქვის ჯვრები, ეს წარწერანი ამაოებისა და სიკვდილის მაუწყებელი.

გუნება შეეცვალა არსაკიძეს, კიდევ ერთხელ გადაჰხედა სვეტიცხოველს. კორდი აირბინა ისე მსუბუქად, თითქოს ხელმეორედ შობილიყო ამ ქვეყანაზედ.

მიდიოდა მტკიცე ნაბიჯით და ფიქრობდა თავისთვის:

„ხელოვანებაა თავათ უკვდავება...

მხოლოდ ოსტატს ვერ დაეწევა სიკვდილი...

ათასეული წლები წალეკავენ ირგვლივ ყოველივეს, მხოლოდ სვეტიცხოველი დარჩება, როგორც ღმერთთან და სიკვდილთან მებრძოლი იაკობი“.

შედრკა საკუთარი ფიქრის წინაშე და ეკლესიისკენ მიმავალ ბილიკს მიჰყვა აჩქარებული ნაბიჯით.

ძელსა ჰკრეს სამთავროში ხელახლა.

ზღვა ხალხი ვერ ეტეოდა ეზოში, გალავნის გარშემო მოჯარულიყო ბრბო. ბალღებიანი დიაცები კარიბჭეებში ისრისებოდნენ. ჭიხვინებდნენ ქვის ყორეებთან დაბმული ულაყები, დიდკაცების თოროსან ცხენებს დაესეირნებდნენ მეჯინიბენი.

მათხოვრები ჯამბაზები, და მუცლითმეზღაპრენი ქოთქოთებდნენ კარიბჭეებთან. ისმოდა ურთიერთში აღრეული გალობა, ბავშვების ღნავილი და ცხენების ჭიხვინი.

შესავალთან ვილაც მოხუცი შეაყენა არსაკიძემ.

ჰკითხავდა:

ხატობაზე ხომ არ მოსულაო, ეს ამოდენა ხალხი?

არა, ხატობა როდიაო, მელქისედეკ კათალიკოსი იქადაგებს მწუხრის შემდეგ, ამადაც მოაწყდაო ხალხი.

არსაკიძეს არ უყვარდა ის უცნაური სუნი, ადამიანებით გაჭედილ ეკლესიებში რომ ხდება საცნაურ, მხოლოდ ეს უნდოდა: ეზოსმოძღვარი დაჭლანდა როგორმე, ამის შემდეგ მოხდილად ჩასთვლიდა მივალეობას ამ ჯერად.

ხალხით გაჭედილიყო ტაძარიც, მაინც ყველა შიგ შესვლას მიესწრაფებოდა. ორ-ორ კაცს გამოჰყავდათ გულშემოყრილი ქალები, ერთ მანდილოსანს გოლიათურ ანაგობისას ოთხი ვაჟკაცი შესდგომოდა, სავსებით ფერმიხდილს ძლივს მიათრევდნენ ბრბოში.

კლიროსიდან მოისმოდა სულზე უტკბესი გალობა. ეს გალობა უყვარდა არსაკიძეს, მხოლოდ ამისთვის დადიოდა წირვაზე, მაგრამ ტაძარში ისეთი სუნი იდგა, მხოლოდ კანტი-კუნტად მოისმოდა მგალობელთა ხმა.

მწუხრი მოთავებული იყო, როცა არსაკიძემ ტაძრის შუაგულამდის მიაღწია ძლივს.

კათალიკოსს ქადაგება უკვე დაეწყო.

სიყრმეში ნასწავლი დაბადება მოაგონა არსაკიძეს მისმა საუბარმა. იაკობის მიერ ღმერთთან შებრძოლებას ეხებოდა მელქისედეკი...

...„და წიაღ მოიკრიბა იაკობ ყოველივე, რაჲცა იყო მისი და დადგა იგი მარტო მუნ და ერკინებოდა მას კაცი ვიდრე განთიადამდე.

და ვითარ იხილა რამეთუ ვერ უძლავს მისსა მიმართ, შეეხო ვრცელსა ბარკლისა მისისასა და დაუბოშა ვრცელი ბარკლისაჲ იაკობისი, ბრძოლასა მას მისსა მისთანა და ჰრქვა: განმიტევე მე, რაჲმეთუ აღმოხდა ცისკარი". და მან ჰრქვა: რათ არს სახელი შენი? ხოლო მან ჰრქვა: იაკობ".

ეს ადგილი ზეპირად წარსთქვა მელქისედეკმა.

შემდგომ ამისა მტკიცე და შეუდრეკელი ხმით განაცხადა: მოწესეებსა და მღვდლებს მართებთ კარგად განმარტება ამ ადგილისა, რადგან მწვალებელნი და მკრეხელნი აუგად იყენებენო იაკობის მიერ ღმერთთან ბრძოლის ამბავს.

ამ ქვეყნიური სახელითა და პატივით გულმოცემულნი შემომქმედს ეტოლებენ თავს, ღმერთთან თანაბრძოლობას მიელტიანო.

აქ ხმა აუმაღლა კათალიკოსმა და იქედნური ღიმილით დასძინა: ამ საცოდავებს ის ავიწყდებათ, ბარკალი რომ მოსტეხაო ღმერთმა თავის უფალთან მორკინე იაკობს.

ბიბინებდნენ კანკელის წინ სანთლები, ელავდა ოქრომკედი კათალიკოსის ომფორზე, ციმციმებდნენ ვარშამანგის ალმასები.

ღაწვის თავები შესწითლებოდა მელქისედეკს, მომნუსხველი მზერით შესცქეროდა იგი გარსმოჯარულ ბრბოს.

ამ წუთში ასე ეგონა არსაკიძეს მას ერთს შესცქეროდა კათალიკოსი. ეჭვით აღეძრა მცირეოდენი. წელანდელი ფიქრი ხომ არ შეიცნოვო ამ მოხუცმა გრძნეულების ძალით?

ჯიქურ შეხედა კათალიკოსს, მაგრამ მალე თავი დაჰხარა, ვერ აიტანა მელქისედეკის დაძაბული მზერის სიმძაფრე.

გული უწუხდა კონსტანტინეს ბრბოში გაჭექილს. ოფლის სუნი მისწვდა მის სათუთ ყნოსვას, ოფლისა, საკმეველისა და მირონის სუნი ურთიერთში აღრეული.

კარებისაკენ უკუიქცა.

მიდიოდა. კი არ მიდიოდა, მხარულით მისცურავდა თითქოს. არსაკიძე ჯერ კიდევ არ იყო გამოსული ტაძრიდან, როცა მელქისედეკმა ქადაგება მოათავა.

ნამდვილი ბრძოლა გაიმართა ყოველ კუთხეში. აბობოქრდა ხალხი, დიდი და მცირე საკურთხეველისაკენ გაეშურა კათალიკოსის დამჭკნარი ხელის, ამბორსაყოფად, მაგრამ რადგანაც ბრბოს მრავალი ათასი პირი ჰქონდა, ხოლო მელქისედეკს ერთადერთი მარჯვენა, საშინელი სრესა გაიმართა.

ოთხივე კარიდან შემოაწვა გაჭექილ ტაძარს ხალხი.

მთავარ დიაკვნის კათედრა წააქციეს.

ერთბაშად იკივლა ვიღაც დედაკაცმა, მცირე ხანს ზუზუნებდა შეტბორებული ბრბო, თითო ბავშვის ცხედარი ამოტივტივდა ორი ვაჟკაცის ხელებზე.

არსაკიძე შეჰზარა თავგასრესილი ბალღის შეხედვამ, თვალი აარიდა და მთელის ძალღონით დაიძრა გასავლისაკენ, დაქანცულობა გადაავიწყდა გაგულისებულს. ბოლოს ძლივს გავიდა ეზოში ხაკინძეშემოხეული.

იმ ხანად ასეთი ჩვეულება დასჩემდა არსაკიძეს.

ყოველ ეკლესიას საგანგებოდ ატოლებდა სვეტი ცხოველის მომავალ შენობას. ამიტომაც ორ ჯერ შემოუარა სამთავროს ეკლესიას ბნელში, ნაბიჯით გაზომა სიგრძე და სიგანე ოციოდე უტევანით უფრო დიდი აღმოჩნდა ახლად ასაგები სვეტი ცხოველი. იამა ეს ამბავი ოსტატს.

მუდამ ასეთი ყოფილა ხელოვანის ბედი.

როგორც ტოილოთი დაბმული ცხენი, გარს უვლის ხოლმე დღედაღამ პალოს, აქ მოსძოვს მცირეს, იქ მოიბალახებს, დადის წრის გარშემო გაჩხიბულივით, ასევე ოსტატს მუდამ თვალწინ უდგას შემოქმედების თვისის მთავარი საგანი, სულ ერთია, სეირნობს იგი, ლხინს ეძლევა, ან და მაშინაც, როცა ბრბოში უსაქმურად დაეხეტება. მარადჟამს თავის პირმშოს დასტრიალებს გონების თვალით.

მთავარე ამოსულიყო უკვე.

ცაცხვის ჩრდილში იდგა არსაკიძე, მძინარე ქალაქს გადასცქეროდა. ჩრდილოს კარიდან ეზოსმოძღვარი გამოძვრა. პირისპირ შეეხეჩა ბნელში მდგარ ხუროთმოძღვარს.

„მწუხრი მშვიდობისა“.

წაიბუტბუტა არსაკიძემ, მაგრამ ეზოს მოძღვარი ისე გაოგნებული იყო, არც კი სმენია ეს მისალმება.

სჩანდა: ვიღაცას უთვალთვალებდა იგი ეკლესიის ეზოში.

კისერი წაიგრძელა ხუცესმა და მიჰყვა დიაცების ერთ ჯგუფს საქალებოდან გამოსულს იმ წუთში.

არსაკიძე დაინტერესდა.

ნაბიჯს აუჩქარა.

შენიშნა: ფხოვურ სამოსში გამოწყობილ მხევლებს, ვიღაც მანდილოსანი მიჰყავდათ ეზოში.

მიუახლოვდა თუ არა, ვარდისახარის შინდისფერი თავშალი შეიცნო არსაკიძემ.

შესაძლოა, შორენა მოჰყავდეთო, ეს გაიფიქრა და წამოეწია. ორიოდე ნაბიჯით გაუსწრო შიმუნვარებს, უკან მოიხედა ფრთხილად.

თავჩაღუნული მიდიოდა შორენა, სახეს არიდებდა ცნობისმოყვარეთა დაჟინებულ მზერას. გამსჭვირვალე ბლონდი ებურა პირზე, ბროწეულის ყვავილის დარი სითვით ამოქარგული.

ორი, ჭაღიანი შიმუნვარი გვერდით მისდევდა. სიყვითლის იერი გადასდიოდა ღაწვებზე. არსაკიძეს ვერ გაეგო, შუქის ანარეკლი იყო ეს, თუ ბუნებრივ ფერად ქცეოდა იგი ტყვეს?

არსაკიძემ შენიშნა ვარდისახარმა შეიცნო იგი.

ორჯერ მოხედა ზედიზედ, მზერა აარიდა ჭაბუკმა ქალს.

სწორედ ამ დროს გაიელვა მის წინაშე ეზოს მოძღვარის ლანდმა.

გაეცალა არსაკიძე შავოსანს. ნელის ნაბიჯით მიდიოდა ბრბოში ცალკერძ ფხოველი ქალების გუნდს უთვალთვალებდა, ცალკერძ შავ ანაფორას ხუცისას.

ისევ მოუარა წადილმა. უნდოდა როგორმე წამოსწეოდა ფხოველ დიაცებს, მწუხრი მშვიდობისა მაინც ეთქვა შეფარვით.

უცნაური ხმები დადიოდა ბოლო ხანს შორენას გამო მცხეთაში. საბელით გადააპარესო იგი შიმუხვარებმა ღართის კარის ციხიდან ღამით. ფხოვს გაქცეულაო თორ-აბჯარში გადაცმული ტყვე, ახალ ამბოხებას აწყობსო ერისთავის ასული ახლა.

სულ სხვას ამბობდნენ სხვანი: უფლის ციხეში ჰყავსო კოლონკელიძის ქალი მეფეს, დასნეულდაო ბნელში ჯდომისაგან შორენა.

ასეთი რამეც განაგონი ჰქონდა არსაკიძეს: ბედიის მონასტერს წარგზავნაო იგი კათალიკოსმა, მონაზნად აღკვეცილაო მუნ.

დაწინაურდა არსაკიძე ბრბოში, ისევ წაებლანდა მის მზერას ეზოსმოძღვარის შავი ანაფორა.

მშვენიერი საღამო იყო გაზაფხულის ამო სუნთქვით დამტკბარი. ცაცხვების შტოებში ელავდნენ ვარსკვლავები, მთვარე გადმოსულიყო სარკინეთის შავჯაგრიან ზურგზე.

ფხოველი ქალების დანახვამ უცნაურად ააფორიაქა არსაკიძე, ტკბილი სიყრმე მოაგონა თვისი, უცნაურად შეწყვეტილი ლხენა სიჭაბუკისა.

ვიწრო ქუჩაში მილაშლაშებდა მლოცველების ბრბო, მარტოობა მოუნდა გულდარდიან ჭაბუკს, ქუჩის გასწვრივ ნანგრევები იყო ძველი, მათ ჩრდილს შეაფარა თავი. მიდიოდა დარდიანი, თავჩაქინდრული.

ვიღაცამ უბიძგა მკლავში. რიდით პირახვეული ლანდი ეუცნაურა. შეკრთა, აღელდა, ვარდისახარი შეიცნო მყისვე.

თილისმურად უღიმოდა დიაცი.

წნორის ფოთოლივით ცახცახებდა ვარდისახარი, შორს მიმავალ შიმუნვარების ჯგუფს არ აცილებდა თვალს.

„სად იყავი აქამდის, რად არ სჩანდით მცხეთაში?“

ეს ჰკითხა არსაკიძემ პირველად.

ღართის კარის ციხეში ვისხედითო აქამდის.

„ახლა?“

ახლა შეგვიწყალაო მეფემ, ხურსისეული სასახლე მიგვიჩინა. იმასაც ამბობენ დროებითა ვართო მანდ, აფხაზეთს გვაგზავნისო კათალიკოსი.

არსაკიძე გაოცდა. სიზმარი ეგონა ეს ყოველივე.

„შენი ამბავი წვრილად გვამცნო ჩვენმა მოძღვარმა, ათანასე ბერმა. მეფეს გაუცვნიხარ ნადირობის დროს, წარჩინება მიგიღიავო. შორენა გახარებულია ამ ამბით, ფხოვიდან თუ გსმენია რაიმე?“

ეუბნება სხაპასხუპით ვარდისახარი, ხურვება შეყრილივით უცახცახებს ყბები.

ფხოვიდან არაფერი მსმენია ჯერაც.

ქალი გაოგნებული შესცქეროდა ვაჟს. არსაკიძეს ბრბოსკენ გაექცა თვალი, ხელი მკლავში წაავლო გაშტერებულ ქალს.

„გესმის ვარდისახარ, გესმის, მეც თქვენს ახლოს მიმიჩინეს ბინა. შებინდებულზე მოდი როგორმე, ნონაი იკითხე სახლთუხუცესის რატის მხევალი. ახლა წადი, ეზოს მოძღვარი გვითვალთვალებს ვგონებ“.

რიდე აიფარა დიაცმა, კედელს აეკრა და ისაფრა ჩრდილი, ბნელში წალასლასდა ლანდი.

უცნაურად მოსწყდა არსაკიძე იოგებში. ნაბიჯს უკლო, სასაფლაოსკენ გადავიქცეო, გაიფიქრა მარტო შთენილმა.

ცა იისფერი იყო, ვარსკვლავები მჭმუნვარედ აფახულებდნენ მოოქროვილ წამწამებს.

ვარდისახარის სქელი ტუჩები თვალწინ დაუდგა, ვნებისაგან უელავდა დიაცს თვალები.

ფხოვური მაღალი ცა მოაგონდა. ვარდისახარის რბილი და ტფილი სხეულის სიტკბო, თავის წაწალთან გათენებული ღამეები.

საოცარმა ნდომამ იფეთქა ჭაბუკის გულში.

ისევ აუჩქარა ნაბიჯს. ფხოველი დიაცები აღარა სჩანდნენ ბრბოში. ლანდივით მოეჩვენა ვარდისახარი წელან, ახლა შორენასთვის უნდოდა სახეში ჩაეხედნა როგორმე, წამიერად მაინც ენახა სიყრმის მეგობარი როგორმე.

ახლა თუ წაახელებდა იგი, არ მოერიდებოდა, მოძღვარს სულ ახლოს ჩაუვლიდა, მწუხრი მშვიდობისაო, ეტყოდა როგორმე.

პატარა სამლოცველოს გვერდით ვიწროვდებოდა ტალახიანი ქუჩა. მლოცველების ბრბო შეტბორდა. არსაკიძემ ისარგებლა ამით. ისევ წაიწყდა მისი თვალი შინდისფერ თავსაფარს, შორენას მოქარგულმა ბლონდმაც გაიელვა ჭაღის სინათლეში.

ახლა ეს შენიშნა არსაკიძემ გარსმოჯარული მცხეთელი დიაცები მომეტებულის გულის ყურით უჭვრეტდნენ ერისთავის ქალსა და მის შიმუნვარებს.

ფხოვური ჩოხა ეცვა კონსტანტინეს, მიახლებოდა ფხოველ დიაცებს. ეს თვალში ეცემოდა ყველას.

კვლავ მოუდუნდა ნებისყოფა ჭაბუკს, შესაძლოა ქალებს დაუშავდესო რაიმე.

ორი ყმაწვილი ქალი უკან მიყვებოდა ფხოველ ტყვეებს. მანდილიანი ეჩურჩულებოდა რიდემოსხმულს.

რიდით შებურვილმა რაღაცა ჰკითხა მანდილოსანს (ეს ვერ გაარჩია არსაკიძემ), პასუხი გაიგონა მხოლოდ:

„კოლონკელიძის ასულია, შორენა“.

„დედოფალივით ქალია, არა?“

ამას ამბობდა მანდილოსანი, მაღალი.

„არც ბევრი უკლია“...

ეუბნება რიდემოსხმული.

„რად იტყვი მაგას ქა?“

„გიორგი მეფის ხარქაა, ხომ იცი...“

სამსჭვალივით ეცა ეს სიტყვები არსაკიძეს.

უნდა მივარდნოდა ენაჭარტალა დიაცს, მიეხალა: სტყუიო, თავი შეიკავა, გველცემულივით გამოტრიალდა, პირისპირ შეეხეჩა მის უკან მომავალ ეზოს მოძღვარს, მდუმარედ ჩაუარა მას და ბნელ შუკაში გაუჩინარდა.

ყრმობის დღეები

1. ამორძალი

მეუბნებოდნენ, იმ ხეობაში
ამორძალების მაფა დადისო.
მე ჩიტისგული ვტიროდი მაშინ
და ხსოვნა დამყვა სამარადისო.
მსურდა მენახა რამე ნიშანი,
თუნდაც ჰუნეთა ნალების კვალი,
შემომეხვია ბადე თმისანი,
სიზმრად ნახული მხედარი ქალის.
მსურდა მენახა, თანაც მზარავდა
თილისმიანი შავი ხეობა,
ღამით ტურების დავიდარაბა,
მეღამურეთა მოსახლეობა.
მერმე გავიგე, რომ დედაჩემის
ლურჯი თვალები სტყუოდნენ თურმე,
ახლა, ღამეში მთაზე დარჩენილს,
პატარა ბავშვიც მოჰყვება ურემს.
ახლა... მთებიდან მოჰგელავს რაში,
ბედაურს ნისლი მოსდევს ტრიალით,
დამირბევს ფიქრებს და შიში ამშლის,
ჩაიკარგება სადმე ტიალი.
ჩაელავს ლოდებს ელვიან ნალით.
აირბენს ბექობს, გაჩნდება თვალწინ,
მეცხვარე ქალი, ვით ამორძალი,
მოიყვანს ცოცხლად დაჭერილ არწივს!..
იცრება ნისლი, ვერცხლისფრად ჟინჟლავს,
გაოფლილ მხედარს ცხელა და აწვიმს,
მე მის ტუჩებზე შევხარი რიჟრაჟს,
მრუმე თვალებში,—აფრენილ არწივს.

2. შველი

ჩაჰკრა ელვამ და ხანძარი ავარდა,
აშიშინდნენ მუხის ნედლი რტოები.
სადღაც ყეფა მოისმა,
სადღაც თოფი გავარდა...
ვიდექ განმარტოებით.
ჩემი ქოხი, ჩემი წნელის ხუხულა,
მეცხვარეთა განათელი ველი.
ისევ ელვა, სადღაც დაიგრუხუნა,
ჩემს წინ გაჩნდა მკერდდაჭრილი შველი.
წამს შეჩერდა, მომანათა თვალები,
ცრემლიანი, ცრემლიანი თვალი!..
ავიტაცე, შემოვხვიე მკლავები,
გამოუღე გულის თეთრი კარი...
ცამ გვიცინა, განიფანტნენ ნისლები,
აჟღურტულდნენ ბალახები სველი.
მე და შველი ცეცხლისპირას ვისხედით,
მე ვტიროდი, მამშვიდებდა შველი.

ია ჩხაიძე

ცხრა შვილის მამა

1.

სოფრონი თვრამეტი წლისა იყო, ცოლი რომ შეირთო. სიღარიბე ხელ-მოკლეობა, აი რა დაუხვდა მშვენიერ მელანიას სოფრონის სახლში... სიყვარული ამხნევებდა მაშინ ახალგაზრდა ცოლქმარს, თორემ ხვა არაფერი ჰქონდათ საიმედო. ცოლი კარგი შეხვდა ღარიბ კაცს: მხნე, გამბედავი, დაუზარებელი და მოსიყვარულე. დაიწყეს ოჯახობა. ყველა-ფერი, რაც საჭირო იყო, თვითონ შექმნეს. გადაიტანეს ნიკოლოზის საშინელი ბატონობა, მენშევიკები სურდოსავით მოიშორეს. ბევრჯერ დაცემა მოუნდომა ცხოვრებამ სოფრონს, რამდენჯერმე წამოაჩოქა კიდეც, მაგრამ გაუძლო, წამოუდგა.

შეხმატკბილებით აშენებდნენ მოსიყვარულე ცოლქმარი ოჯახს და ამრავლებდნენ შვილებს. განსაკუთრებით აქ, ამ უკანასკნელ საქმეში ნაყოფიერი გამოდგნენ სოფრონი და მელანია: პირველად ორი გოგო, ერთმანეთზე უკეთესნი, ტყუბად შეეძინათ, გაბედნიერდა ოჯახი მხიარულად, დაირწა ორი აკვანი პატარა სახლში.

ნეტაი ერთი ვაჟი ყოფილიყოო, ნატრობდა მაშინ სოფრონ, მაგრამ გულნაკლულობას ცოლს არ აგებინებდა იმ იმედით, რომ მეორედ ბიჭი გვეყოლებაო, მაგრამ მოლოდინი არ გაუმართლდა მამას. ოჯახში ისევ გაიხმაურა პატარა მერცხალმა: გაჩნდა გოგო მესამე.

— რა ვუყოთ... მოსავალია... — ინუგეშა თავი სოფრონმა და ცოლსაც იმედიანი სიტყვა უთხრა...—გოგოც ხომ შვილია. იყოს, გაიზარდოს.. ალბათ, მეოთხე ბიჭი ქნება... — მაგრამ ვაჟიშვილს დანატრულებული მამის „იქნება“ ბუნებამ არ გაამართლა, და როცა პირველი ორი გოგონა ათი წლისა იყო, ოჯახს ისევ ეწვია უცნობი სტუმარი: გოგო.

სოფრონს მეოთხედაც გაუცრუვდა იმედი. კარგად ხედავდა იგი: ახალმა ცხოვრებამ ქალსა და ვაჟს შორის მოსპო განსხვავება. აღარ ითქმოდა ქალზე: „ვაი რა გაზრდის... რა გაათხოვს“. ვაჟიშვილი მაინც ძალიან იზიდავდა სოფრონს. სულითა და გულით მიისწრაფოდა მისკენ. უნდოდა მის „ოქროს კაკალივით“ ქალებში ერთი ბიჭი გარეოდა მაინც როგორც ოჯახის შნო და ლაზათი, მაგრამ მეხუთეჯერაც საყვარელმა მეუღლემ ცისფერთვალება ფუნთუშა გოგო შემატა ოჯახს.

ხუთი ქალის მამა იყო სოფრონ... სხვა დროს ეს დიდი უბედურება იქნებოდა ხელმარტო კაცისათვის, მაგრამ ახლა იგი როდი იყო ღარიბი, ლუკმა პურს დანატრებული. ცოლქმარი კოლექტივში მუშაობდნენ ნიადაგ დაუღალავად... მელანიამ მარტო გოგონების მოვლაში და მომრავლებაში როდი გამოიჩინა კაი ქალობა, იგი საუკეთესო დიასახლისი და კიდევ უფრო კარგი კოლმეურნე ქალი დადგა. ჩაის კრეფაში ტოლი არ ჰყავდა მელანიას. მისი იყო ყოველთვის პირველი ჯილდო. იზრდებოდა შრომადღეები და ძლიერდებოდა მრავალწევრიანი ოჯახი.

საკარმიდამო მიწაზე მანდარინები მოაშენა სოფრონმა, ნაყოფი გამოიღო ძვირფასმა მცენარემ, შემოსავალმა იჩინა თავი ყოველ მხრივ. ოდა გაიკეთეს. ორ სართულიანი შენობა ცემენტის ბოძებზე ნაგები, პირველად სოფრონმა დაიდგა სურნალეთში. ძველი, დარკილული ტახტები, ბაღლინჯოების ბუდე, ნიკელის საწოლებით შესცვალეს... თვითონ მელანიამ იყიდა შრომადღეებში აღებული ფულით. სიმინდი, პური, ღვინო ყველაფერი ჰქონდათ, მაგრამ მშვენიერი გოგონების ცოცხალ თაიგულს ერთი ყვავილი აკლდა: ვაჟი.. ვაჟი.. ვაჟი.. ეგ აღონებდა ბედნიერ ცოლქმარს... და „უკანასკნელად“ კიდევ დაიბადა ერთი გოგონა მათ ოჯახში... ეგ იყო რიგით მეექვსე, და მშობლების აზრით, უკანასკნელიც...

მაგრამ... გავიდა ზაფხული, შემოდგომა და სოფრონის ოჯახში ისევ ატყდა ხმაური. მელანია მეშვიდეჯერ დაფეხმძიმდა.

სოფრონის უფროსი და — პელაგია დაბეჯითებით არწმუნებდა ძმას:

— სიზმარი ვნახე იმფერი, რომე ჩემს რძალს უეჭველად ბიჭი ეყოლებაო.

ცოლიც აიმედებდა სოფრონს:

ჩემი ახლანდელი ფეხმძიმობა სხვანაირია, აუცილებლად ვაჟი იქნებაო.

სოფრონი მალე დარწმუნდა, რომ მისი ცოლის ფეხმძიმობა მართლაც „სხვაფერი იყო.“ მეცხრე თვეში რომ გადადგა ფეხი მელანიამ, ლოგინიდან ველარ დგებოდა ხელმოუკიდებლად. შეშინებული პელაგია ირწმუნებოდა: „ჩემს რძალს ტყუბები ეყოლებაო“. სოფრონი თავდარიგის კაცი იყო: გადაწყვიტა, რაიონიდან მოეყვანა ექიმი, მაგრამ საქმე ისე წავიდა, თემიდან გამოყვანაც ველარ მოასწრო.

2.

ერთ საღამოს, ყანიდან დაბრუნებული შინ რომ მოვიდა სოფრონი, ყველაფერი მზად დაუხვდა. მეზობლის ქალები ფრთხილი ნაბიჯებით გამოდიოდნენ ოთახიდან. ბებია-ქალი, ცალთვალა და ფარგასავით ხმელი დედაკაცი, თვალის ჭუტვით შეხვდა სოფრონს, ორი დაჟანგებული კბილი გამოაჩინა, გაუცინა და უთხრა:

— მომილოცავს ჩემო სოფრომ... მომილოცავს... ბიჭია... ბიჭი!..

გაშრა სოფრონი, გაშეშდა, დაიბნა კაცი. გაოცებით იკითხა:

— რაფერ... ასე მალე მორჩა?!

— არა... — უშნო წრიპინა ხმით ჩაიხითხითა ბებია-ქალმა, ხმელი ტოტივით გაფარჩხული ხელები გაასავსავა და დაუმატა:—არა, ჯერ არ მორჩენილა, მარა... ისე ვატყობ.. გული მიჩივა, ბიჭი ეყოლება.

დაი შემოეგება სოფრონს. მოწყენილი იყო პელაგია. ძმა უკანა ოთახში შეიხმო და დიდხანს ეთათბირა. გვერდის ოთახიდან მელანიას კივილი და მწარე კვნესა მოისმოდა, რაც ნემსებივით ჩხვლეტდა გულში სოფრონს. უფროსი ქალები თვალებში შესცქეროდნენ მამას, არ იცოდნენ — რა გაეკეთებიათ. დედის კვნესა ყველას აშინებდა. ათულია და მისი თანატოლი კაკალა სწრაფად მიმოდიოდნენ ოთახში. საქმიანობდნენ, მაგრამ მათ საქმიანობას ყაირათი არ ჰქონდა. დედისკენ იყო მიმართული მათი გულისყური. მხოლოდ უმცროსი დაი, ხუთი წლის ცაცალია, მსუქანი ცისფერთვალება გოგონა, ყურადღებას არ აქცევდა დედის ავადმყოფობას და თავის საყვარელ დედოფალას პატარა აკვანში დიდი მზრუნველობით აწვენდა.

სოფრონი რამდენიმე წამს დაფიქრებული იდგა კარებთან... იდგა, იწიწკნიდა ულვაშებს და ფიქრობდა, რას, თვითონაც არ იცოდა გარკვევით. სადღაც ციმციმებდა ნათელი ვარსკვლავი, იმის ციალს ადარებდა მომავალ ვაჟიშვილს, და ფიქრში ისე შორს წავიდა ბიჭსდანატრული მამა, რომ ამ განსაკუთრებულ წუთებში იგიც კი გაიფიქრა, რა დაერქმია შვილისთვის, თუ იგი ვაჟი იქნებოდა... უცებ მისი ყურადღება კედელზე დაკიდებულმა თოფმა მიიპყრო, მივიდა, ფრთხილად ჩამოიღო, საპირისწამლე გაუსინჯა.

თუ ბიჭი მელირსა, ვისრი, გუუბგიალებ... მთელ ქვეყანას გავაგებიეფ ჩემს ბედნიერებასო, გაიფიქრა და თოფი კარებთან აიყუდა. ლოგინის კიდეზე ჩამოჯდა.. პატარა ცაცალია ხელში აიყვანა, წითელ ლოყაზე აკოცა... მერე პაპიროსი გაიწყო, მაგრამ არ აუნთია: ვერ მაგრდებოდა ერთ ადგილზე. ღელავდა, თუმც ნაკლებად იჩენდა მღელვარებას და უფროს ქალიშვილებს ომახიანი ხმით ამხნევებდა

დრო გადიოდა ნელა, ზანტად. წუთები საუკუნეთ იქცა. დაღამდა. ოთახებში ლამპები აანთეს. მელანიას კივილი ახლა შორს ისმოდა. სოფრონმა მთლად დაკარგა სიმშვიდე. უცებ მიწყდა კვნესა. ჩუმი ჩოჩქოლი გაისმა. ბებია-ქალმა ნელა გამოაღო კარები და დიდის ამბით ახარა ბედნიერ მამას:

— სოფრონ, მომილოცავს... მომილოცავს, სოფრონ... შეგეძინა ბიჭი... ოქროს კაკალივით ბიჭი.. ვაჟიშვილი!..

სწრაფად გაექანა სოფრონი კარებისკენ. თოფს დაავლო ხელი. ნემეტარი ავმჩატდიო, გაიფიქრა. თავისთავს შემოუძახა. დინჯი ნაბიჯებით გავიდა გარეთ. წვიმა მოსულიყო და კოკისპირულად ასხამდა. გადაადო თოფი აივნის დუშაღს: გაისროლა. წყვდიადით მოცულ ღამეში ვარსკლავებივით გაციმციმა თოფის ტუჩიდან გამოცვენილმა ნაპერწკლებმა.

მძიმე ნაბიჯით შევიდა ოთახში, თოფი კარებთან ააყუდა. სული წინ უსწრებდა. ველარ მოითმინა მამამ ახლადნაშობი ვაჟიშვილის უნახავობა.

კარებს მიაწვა. არ გაუღეს. დაი გამოეგება. სახეს იკაწრავდა მოხუცი პელაგია.

— რა ამბავია?! — აირია სოფრონი.

— არიქა, ძმაო, გეიქეცი... ექიმთან კაცი... მელანია მეორედ მშობიარობს...

— მეორედ?! — წაუხდა ხმა სოფრონს. პალტოს დაუწყო ძებნა. ვერ ნახა. ძლივს აუნთო ფანარს. მეორე ოთახიდან ისევ მოისმოდა კვნესა. სოფრონი ეზოში გავიდა. წვიმდა კოკისპირულად. ჭექა-ქუხილი მძვინვარებდა მთებში. შორიდან ძლივს მოისმოდა მდინარის ყეფა. სოფრონი თავშჯდომარესთან მიიჭრა, გააღვიძა, ცხენი სთხოვა. გაიოზ ხიტირმა თავისი შვილი აფრინა ექიმთან. სოფრონი ფიცხლავ დაბრუნდა შინ. ოთახში რომ შევიდა, დაღლილი, მუხლებმოკვეთილი დაეშვა სკამზე. დაფიქრდა:

— რა ვქნა ახლა? რაც მომივიდა, მომივიდა,—დაუწყო თავს გამხნევება,—იგი დედაკაცი გადამირჩეს და ერთი ბიჭი ხომაა, მეორეც დაიბადოს.. გავზრდი.. ყველას გავზრდი..

ერთი საათი გავიდა, საშინელი ერთი საათი. ექიმი არ ჩანდა. გარეთ, თითქოს განგებ, ძლიერდებოდა ჭექა-ქუხილი, ასხამდა წვიმა.. იბრძოდა ქარი, აჭრიალებდა ოდას.

უცებ ბებია-ქალმა თაგვივით გამოყო თავი ღრიჭოდ გაღებულ კარებში, ორი კბილი გამოაჩინა და ისეთი ხმით დაიწრიპინა, რომ ყველას ყურადღება მიიპყრო:

— სოფრონ, სოფრონ... გღვიძავს?. გამეიყურე.. მორჩა მელანიე, მორჩა. ბიჭი დეიბადა, ბიჭი, მარა რაფერი არ იტყვი? ავი კაცის თვალს არ ენახება... მთვარესავით ანათებს... არიქა, ადე, გუუბგიალე თოფი!

არა, სოფრონი არ იყო თოფის „გაბგიალების" ხასიათზე. მაინც წამოავლო მაჭახელას ხელი. აჩქარებული ნაბიჯებით გავიდა გარეთ. ქარმა წვიმის წვეთები შეუშხაპუნა სახეზე. გამოერკვა. მინდვრებიდან წყვდიადი იხედებოდა. ცაზე მოგვიანებით გაიკრთოლებდა ელვა.

— საშინელი ამინდია... — გაიფიქრა — ახლა თუ ი ექიმი წამევიდა, დაიხრჩობა პირდაპირ... მერე და ქალი არ იყოს... მარა, ვითომ წამოვა? გაბედავს? თუ არ წამოვა, კაიც იქნება.. რად მინდა?! ჩემი ცოლი ხომ გადარჩა.. რა ვუყო ახლა.. იყოს ორი ბიჭი!..—გაბედნიერების ნიშნად ისევ გაისროლა თოფი. გაციალეს ნაპერწკლებმა წყვდიადში. სოფრონმა თვალი გაადევნა მათ ციმციმს. გაიღიმა, ბედნიერი იყო კაცი, ასე მალე ორი ვაჟი შეეძინა, ორი ვაჟკაცი, მეტი რაღა უნდოდა?.. დინჯად გასწმინდა თოფი-მაჭახელაი. ოთახში შევიდა. ბავშვებს გაუღიმა.. ათულიასა და კაკალას, თვალებში რომ შეჰყურებდნენ მამას, დაიძინეთო, უთხრა და კარებს მიაწვა... არ გაუღეს. გული მოუვიდა სოფრონს:

— ხომ არ გადიერიენ? ჩემი ბიჭების ნახვის ნებას არ მაძლევენ?. გააღეთ კარები! — ხმამაღლა დაიძახა.

— გვადროვე! — მკვახე ხმით უპასუხა დამ მეორე ოთახიდან. სოფრონი გაშრა. აღარ იცოდა, თუ რას ნიშნავდა ეგ ცივი ხმით ნათქვამი

„გვადროვე“, მაგრამ ძალით რომ ვერაფერს გააწყობდა, გაჩერდა, კარების გაღებას დაუცადა. მოულოდნელად ისევ გაისმა მშობიარე ქალის კივილი. სოფრონს შეაჟრიალა. პელაგიამ ფრთხილად გამოაღო კარი. ძმას აუტირდა.

— დევიღუპეთ, ძმაო, უბედურო.. დევიღუპეთ.. ჯერ რომ არ მინახავს, იმფერს მოვესწარით... კიდომ მშობიარობს შენი ცოლი... კიდომ... კიდომ! უი ამის მოსწრებას! — და თავში ხელები წაიშინა. სოფრონს მეხი დაეცა, გაქვავდა, მერე სწრაფად მოუვიდა გული და დას ისეთი სიტყვა ჰკადრა, რომელიც მის სიდარბაისლეს არ შეშვენოდა:

— ხომ არ გადირიე, ჩემო დაო? რაის მშობიარობააო, სიზმარში ხომ არ ხართ?.. ტყუბები ხომ დაებადა?... ორი ბიჭი ხომაა? ალბათ ვერ გაიგეთ... ჩემი შეშინება ხომ არ გინდებიან?! ეგება მეხუმრები, დაო...

— რა გაყვირებს, ჩემო ძამია... დედავ, მომკალი ვინცხამ... — გული მოუვიდა პელაგიასაც, თავის წილ ხმას აუწია, — რომ მიყვირი, ჩემი ბრალია თუ? არა, ძმაო, არა... ყვირილით ვერაფერს უშველით საქმეს... შენ ექიმი მოგვახმარე, ექიმი... ქალი არ დავღუპოთ... სულზეა მიმდგარი... მესამეზე რომ მშობიარობს, ამას აღარ უნდა ლაპარაკი და ვერ გოუძლებს.

სოფრონი პირდაღებული დარჩა. ნამძინარევ კაცივით დაიწყო ბორიალი ოთახში. ნივთებმა დაკარგეს თავისი სახე. რა უნდა გააკეთოს სოფრონმა?!. შერცხვა კაცი, მაგრამ ცოლის დარდმა ყველაფერი დააავიწყა. ჩაიცვა პალტო. გარეთ ძაღლმა გააბა ყეფა. მოვიდა ექიმი. სოფრონი სწრაფად გაეგება ახალმოსულს. ცხენი ჩამოართვა, იქვე დააბა ოდის ქვეშ და ექიმს უკანა ოთახში შემოუძღვა... სხაპა-სხუპით, არეულიმღელვარე ხმით მოუყვა ყველაფერს. გვიან მოაგონდა, რომ მის წინ ქალი იდგა, რომელმაც უფსკრული ღამე, წვიმა და ქარი გადაიტანა და ავადმყოფს მოაშურა. სველი პალტო ჩამოართვა სასწრაფოდ...

ექიმი-ქალი გაკვირვებით ისმენდა მასპინძლების სიტყვებს, ხელის დასაბანი წყალი და საპონი მოითხოვა. ახალგაზრდა იყო, ალისფერი თმა ჰქონდა. ცისფერი თვალები საოცრად უბრწყინავდნენ. სათნოებით სავსე ღიმილი დასთამაშებდა მის სახეს და იგი ღიმილი ყოველგვარ წამალზე მეტად ჰკურნავდა სოფრონს.

აღელვებული მასპინძლები იმედიანი სიტყვებით დაამშვიდა ექიმმა და ავადმყოფთან შევიდა.

ღამის ორი საათი იქნებოდა. ექიმმა ნელა გამოაღო კარი. სოფრონი წამოდგა. ყველანი გაჩუმდნენ. ექიმი მშვიდი ღიმილით მიუახლოვდა, თვალებში ჩახედა, გაუცინა.

— გილოცავთ მესამე ვაჟს!.. — უთხრა მშვიდად. მაგრად ჩამოართვა ხელი. გაოცებულმა მამამ ხმა ვეღარ ამოიღო. იდგა თვალებდაჭყეტილი და შეჰყურებდა ექიმს.

— ქალი, დედაკაცი რაფერაა? — იკითხა მან ბოლოს.

— ყველანი კარგად არიან ამხანაგო, ყველანი... — სიცილით უთხრა ექმმა სოფრონს, — თქვენ ფიქრობთ და ასე გგონიათ, რაკი სამი დაიბადა,

ქვეყანა დაიქცა... არა... ნუ ღელავთ... აქ არაფერია უჩვეულო და საშიში... ბედნიერი მამა ხარ... სამი ვაჟი ერთად, მეტი რა გინდა?.. რა გაზრდის?... ნუ გეფიქრება... მთავრობა, ხალხი, ჩვენც აქ ვართ... თქვენთან. მე ხვალვე მივიღებ ზომებს. დილით საბჭოში თუ შემოიცლით, კარგი იქნება... ახლა მშვიდობით — კარგათ მიხედეთ ავადმყოფს... ისევ გამოვიცლი... ნუ გეშინიათ!..

— ასე რავა შეიძლება, ბატონო... ამ საშინელ ღამეში რავა გაგიშობთ... ღამეს კი გავათევინებ ადამიანს,—წინ გადაუდგა სოფრონი ექიმს. პელაგია და ათულია მკლავში ჩააფრინდნენ, არ უნდოდათ გაეშვათ. კაკალა სკივრს ეცა, სადაც დედამისს ფული ჰქონდა შენახული. ექიმმა არ მიიღო პატიჟი... „დილით სხვა ავადმყოფთან ვარ მისასვლელიო“, ფულის მიღებაზედაც უარი განაცხადა, გამოემშვიდობა მასპინძლებს და მიძინებულ მელანიას ერთხელ კიდევ დახედა. სოფრონმა ცხენი გამოიყვანა ოდის ქვეშიდან. ექიმი ქალი სწრაფად შეჯდა, ერთხელ კიდევ დაარიგა მასპინძლები, ცხენს მათრახი გადაჰკრა და ღამის წყვდიადში გაეხვია. სოფრონმა თვალი გაადევნა ცხენოსანს, თავი გააქნია, ჩაილაპარაკა თავისთვის:

„შერცხვეს იგი, ვინც ბიჭი ინატროს... რომელი კაცი აჯობებს ახლა ამ ქალს? გმირია, სულია ადამიანის... ვენაცვალე იმ დედის ძუძუს, რომელმაც ასეთი შვილი გაზარდა...“ ოთახში შევიდა და ახალშობილ ვაჟებს დახედა...

იშვიათი ამბავი, სამი ბავშვის დაბადება, მალე მთელმა სოფელმა გაიგო, ხოლო მეორე დღეს რაიონშიც ლაპარაკობდნენ. სოფრონი ვერ იყო კარგ ხასიათზე, მაგრამ არ იმჩნევდა. თავის გულში ინახავდა წყენას. მეორე დილას ცოლს პირდაპირ ვერ შეხედა... მელანიაც ვერ უსწორებდა თვალს ქმარს. ორთავეს თავიანთი თავი მიაჩნდათ დამნაშავედ. პელაგია ღვთის ცოდვად თვლიდა ასეთ შემთხვევას და, მეორედ მოსვლის ხანდადგაო, გაიძახოდა. კომკავშირელი ქალები ათულია და კაკალა იმედიანი სიტყვებით ამხნევებდნენ მშობლებს, ახალშობილი ძმები შეიყვარეს სასოებით და დღითა და ღამით თაეს დასტრიალებდნენ...

სოფრონის ორ სართულიან ოდაში სამი აკვანი დაიდგა და სამი ბავშვი, ბოხი, ჯანსაღი ხმით „აჯღავლდა“. უფროსმა ქალებმა იმთავითვე გაინაწილეს აკვნები. ათულიამ პირველი ამოირჩია, კაკალამ—მეორე, საქმეში ბუთქუნა, ცისფერთვალება ცაცალია ჩაერია, მესამე ბავშვის დაძინება მან დაივალა და პატარა „ძამიას“ თავისი დედოფალაც მიუწვინა გვერდით... მათი „ნანინაი ჩემს ძამიებს“ ცალკცალკეექმული შეერთებულ სიმღერად ისმოდა გარეთ.

სოფრონი მეორე დღეს კოლექტივში სამუშაოდ მოგვიანებით წავიდა. ულოცავდნენ მეზობლები სამი ვაჟის ერთად შეძენას. სოფრონი უხდიდა მადლობას ყველას, გარეგნულად არაფერს იმჩნევდა დარბაისელი კაცი, ისე კი ძალიან, ძალიან ბევრს ფიქრობდა... განსაკუთრებით ახალშობილების აღზრდა აფიქრებდა. იმ წუთიდანვე, როგორც კი დახედა ბავშვებს, მამის გულში უმძლავრესი გრძნობიერებით გაიშალა შვილების

სიყვარული და მცირე გაფიქრებაც კი იმის შესახებ, რომ შეიძლება სამში რომელიმე ერთი მომკვდარიყო მოუვლელობის გამო, შიშის ზარს სცემდა სოფრონს.

საღამოს, როცა ყანიდან დაბრუნდა, ათულიამ ახალი ამბავი აცნობა:

— მამა, დღეს ექიმი ქალი იყო ჩვენსას...

— რა მინდაო, შვილო?..

— ბავშვები გასინჯა... მამაშენი საბჭოში გამოვიდესო, დამიბარა...

— საბჭოში?.. საბჭოში რა მინდა, ცავ?!.

— დაგვეხმარებიან, მამა... ახალი კანონია: მრავალშვილიან დედებს ეხმარება ჩვენი მთავრობა.

— ჰე, დამანებე, შვილო, თავი,—ხელი ჩაიქნია სოფრონმა, — ახლა იგი მაკლია, ჩემი უბედურობით მთავრობა და ქვეყანა შევაწუხო... რეიზა? გაზრდის იმედი რომ მქონდეს, კიდომ ხო... მარა, სამ ბალანას ერთად რა გაზრდის, შვილო?.. ტყულა ვიკლავთ თავს, დეიხოცებიან... მარა, რა ვქნა?.. მოსავალია ყველაფერი.

„დაიხოცებიან!", — ათულიას მაყვალა თვალები ცრემლებით დაირთვილა. „მამას სძულს ჩემი პატარა ძმიები", — გაიფიქრა ქალმა... სახე აარიდა. სოფრონმაც შეამჩნია ქალიშვილის თვალებში აკიანთებული ცრემლები, განზე გაიხედა: ნეტა არ მეთქვაო გაიფიქრა. ოთახში შევიდა მოწყენილი. ახალშობილებს სახეზე გადახედა... დიდხანს, დიდხანს უმზირა, მერე ადგა, ცოლთან მივიდა, ლოგინის კიდეზე ჩამოჯდა. მისი გული სიყვარულით სძგერდა. იგი მზად იყო ახალგაზრდული სიყვარულით დაეკოცნა მელანიას ფერმკრთალი, შაქრისფერი სახე, დაეკოცნა იმისთვის, რომ მან დიდი ტანჯვა გამოიარა, იმისთვის რომ იგი ცხრა შვილის დედა იყო... უნდოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა, სდუმდა სოფრონი, გაჩუმებული იწვა მელანიაც. ბავშვებმა ბოხი ხმით მორთეს ტირილი. ოთახში კაკალა შევიდა პირველად, ათულია შემოჰყვა... პატარა ცაცალიაც შემობაჯბაჯდა... ექვსი ქალი შემოეხვია სამი ძმის აკვანს. დაარწიეს აკვნები. ათულიამ დაიწყო „ნანინაი ჩემს პატარა ძმიებს", კაკალა აჰყვა, მერე სხვებიც მიეშველნენ. სოფრონი გაიბადრა. რამდენიმე წუთს იჯდა ასე მომღიმარე. მაღალი ხმაურით ირწეოდნენ აკვნები... ახალგაზრდები მღეროდნენ თავგამოდებით, ადგა სოფრონი... მივიდა აკვნებთან. ჯორკო სკამზე ჩამოჯდა იქვე. ჯერ ერთს გადახადა სახეზე თეთრი პირსაფარი... მერე — მეორეს... მესამეს...

იმ ღამეს დიდხანს არ დაწოლილან. მხიარულად ივახშმეს. ნაირნაირ ამბებს ჰყვებოდა სოფრონ. მელანია მოაცოცხლა გოგონების სიცილმა, ცელქობამ და სიმღერებმა, პელაგია კი დაღალა მათმა ჟივჟივმა. მალე დაწვა.. დაწვნენ ბავშვებიც... მელანიასაც ჩაეძინა წყნარად. სოფრონი გარეთ გამოვიდა. მთვარიანი ღამე იყო. შემოდგომის ცივი ქარი ქროდა და ჩუმი ხმით აშრიალებდა ფოთლებდაყვითლებულ მუხნარს. ახალდათოვილი მთის მწვერვალები, ერთმანეთზე ვერცხლის ჯაჭვივით გადახლართულნი, მთვარის სინათლეზე საოცრად პრიალებდნენ და ვარსკვლავებით მოჭედილ ცაზე გაფითრებული ღრუბლები ნელი თრთოლვით მოძრაობ-

დნენ. ყველაფერი ეგ ამშვიდებდა სოფრონს... სიმაგრესა და იმედს მატებდა... უცებ ოთახიდან ბავშვების ტირილი მოესმა მამას. სწრაფად მიაშურა ოთახს. ყველას ეძინა... ჩაჯდა აკვნებს შორის, როგორც დედა ბავშვების აღზრდაში გამოჩვეული. დაუწყო რწევა. არ უნდოდა სხვები გაეღვიძებინა, განსაკუთრებით მელანიას უფრთხილდებოდა. დაუწყო რწევა და აკვნების რიტმიულ მოძრაობას ფიქრები ააყოლა... ძალიან, ძალიან სურდა სოფრონს, რომ ისინი უნაკლოდ გაზრდილიყვნენ... უნაკლოთ... გამოუკლებლივ... სამივე ერთად.. შესძლებდა?! რიტანდა ოჯახი, თუმც შეძლებული, სამი ახალშობილის ერთად აღზრდას?! დედას ხომ ორი ძუძუ აქვს? მესამე?! ერთი უნდა მოკვდეს ამათ შორის, მაგრამ რომელი?!.

ჰე, მართლა, რომ დამხმარე ამომიჩნდებოდეს, იმედის მომცემი?.. მაშინ?..

სოფრონი უდიდესი სიყვარულითა და სიფრთხილით არწევდა აკვნებს. ფანჯრებს იქით შემოდგომის მთვარე კიანთობდა, პირსავსე, ახალშობილ ბავშვივით უმანკო მთვარე...

4.

მსუბუქი მატარებელი დღის სამ საათზე გამოვიდა ქალაქ მახარაძიდან, ჩქარი სვლით გაიქროლა ჩოხატაურ-მახარაძის სამხედრო გზაზე და ბ-ს საექიმო პუნქტის წინ გაჩერდა. ავტომობილი არ იყო უცხო აქაურ მცხოვრებთათვის, მაგრამ ერთმა შემთხვევამ ყველას ყურადღება მიიპყრო: ის ჩვეულებრივად სოფსაბჭოს წინ კი არ გაჩერდა, საექიმო პუნქტს მიადგა, რაიონიდან ამოსულმა ამხანაგებმა საბჭოს თავმჯდომარე დაიბარეს, ავტომობილში ჩაისვეს და კოლმეურნეობა სურნალეთისკენ გაიქროლეს. ავტომობილი ჩქარი სვლით დაეშვა მგალობლიშვილების დაღმართზე, ბახვისწყალი გადასერა, კოლექტივის კანტორას გვერდით ჩაუქროლა და სოფრონის ეზოში შესავალ ჭიშკართან გაჩერდა.

საღამო იყო. მინდვრებიდან დაბრუნებული სოფრონი მსხმოიარე მანდარინების პლანტაციას ათვალიერებდა. ჩაქარვისფერებული ხილით დახუნძულ ბუჩქებს ნელა არხევდა ქვენა-ქარი. „ნანინა“ მოისმოდა ოდიდან და ქალიშვილის ნაზ სიმღერას აკვნების რწევის ხმაური ერთოდა. სოფრონი სმენად იყო გადაქცეული. უცებ მისი ყურადღება ავტომობილის ხმაურმა მიიპყრო. გაიხედა.

კოლექტივის კანტორაში მოდის ვინმეო, გაიფიქრა, მაგრამ როცა ავტომობილი მისი ეზოს ჭიშკართან გაჩერდა. გაოცდა. ვინ უნდა წვეოდა?! სტუმრებს არ ელოდა სოფრონ. ჭიშკრისკენ გაემართა. ძაღლი პარეხა ავი ღრენითა და ყეფით მივარდა ავტომობილს, იქიდან სამი მამაკაცი და ერთი ქალი გადმოვიდა.

ოდიდან ფიცხლავ გამოიჭრა ათულია, „აქით ძაღლოს“ ძახილით ჭიშკრისაკენ გაიქცა, მაგრამ უცხო მამაკაცები რომ დაინახა, ბროწეულის ყვავილივით გაუწითლდა ლოყები, დაიმორცხვა, თავი დახარა.

ოთახი მიალაგეო, ჩაულაპარაკა დამორცხვებულ ქალიშვილს სოფრონმა და სტუმრებს მიეგება. ორი მათგანი შორიდანვე იცნო. ერთი ექიმი ქალი იყო, მეორე საბჭოს თავმჯდომარე, დანარჩენები უცხონი იყვნენ სოფრონისთვის. მასპინძელმა გაკვირვებით შეხედა ახალმოსულებს და ჭიშკარი ყურებამდე გააღო.

— მობრძანდით... მობრძანდით! — ოავაზიანად მიიპატიჟა სტუმრები. ჯერ ექიმ ქალს ჩამოართვა ხელი, მერე თავმჯდომარეს. უკანასკნელმა მხარზე ხელი დაჰკრა სოფრონს და უთხრა:

— მომილოცავს, ამხანაგო, ვაჟიშვილები... როგორაა შელანია, ხომ მოიკეთა? კარგადაა? ძაან კაი... აი ეს ამხანაგები, მელანიასა და ბავშვების სანახავად ამოვიდნენ რაიონიდან; — გაიცინა და დაუმატა: — ხომ მოგვცემთ ნახვის ნებას?!

— ჩემი ბაღნების ნასვა რა ამ პატიოსნების საკადრისია?.. — ულვაშებში ჩაიღიმა სოფრონმა. უცხო ამხანაგები გაიცნო. ერთი სულ ახალგაზრდა იყო, ხუჭუჭა, შავი თმა ჰქონდა, მოგრძო შაქრისფერი სახე, დიდი და შავი თვალები, მსხვილი ერთმანეთზე გადასკვნილი წარბები, ღია, ფართო და ნათელი შუბლი... იღიმებოდა მიმზიდველად... მშვენიერი კოსტუმი ეცვა და მოხდენილი ტანადობისა იყო. სოფრონი პირველ შეხედვისთანავე მოხიბლა ამ კაცმა. ახალგაზრდა სტუმარსაც მოეწონა მასპინძელი. მიუახლოვდა, ხელი დიდი ხნის ნაცნობივით გამოსდო და ჰკითხა:

— სამი ვაჟიშვილის მამა თქვენ ბრძანდებით, არა?!

— ჰე, ნუღარ მკითხავ, ბატონო... საჯაყი საქმე დამემართა. — დარბაისლური სიმშვიდით და ოდნავ აღელვებით ჩაილაპარაკა სოფრონმა და სტუმრებს ოდისკენ გაუძღვა... მიუძღოდა სოფრონი სტუმრებს და გაოცებული ფიქრობდა:

„დედავ, მომკალი ვინცხამ ჩემი ყაზირალები ამ დიდებული ადამიანების ნახვის ღირსი რავა არიან... რას მივესწარი ამას...“

ათულიამ სკამები გამოიტანა აივანზე, სტუმრებს მორცხვად შეავლო თვალები... უცებ შენიშნა, რომ ახალგაზრდა კაცი მას დაინტერესებით უმზერდა. ტკრციალით შევარდა ოთახში, დას მივარდა, წელზე მოხვია ხელები... ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობდა...

— კაკალა დია, რაფერი თვალები აქ იმ კაცს... ნენა, ნენა, რაფერ შემომხედა... რამისილამაზეა!.. — კარებისკენ იხედებოდა დაფეთებული გოგონა, იწოდა... ღელავდა...

იქ კი აივანზე ასე საუბრობდნენ სტუმრები და მასპინძელი.

— სამი დღის წინათ გავიგეთ თქვენი ოჯახის ამბავი, — მშვიდი ერთფეროვანი ხმით ამბობდა ახალგაზრდა კაცი. — მე დედათა და ბავშვთა ექიმი ვარ... ამ იშვიათმა ამბავმა დიდი ინტერესი გამოიწვია ჩვენში, განსაკუთრებით დედათა და ბავშვთა ექიმებს შორის... ჩვენ ისე გვაინტერესებს თქვენი ახალშობილების მომავალი, როგორც თქვენ... ისინი უნდა გაიზარდონ უნაკლოდ, მაგრამ ამისთვის წინასწარ საჭიროა გავიგოთ, შევამოწმოთ მათი ჯანმრთელობა... იმედია ამაში ხელს შეგვიწყობთ... საჭიროა, გვანახოთ ბავშვები... ხომ შეიძლება?

— რავა არა, ბატონო, რავა არა... როგორ გეკადრებათ! — ოთახში შევიდა სოფრონ. ცოლს უცხო სტუმრების მოსვლა გააგებინა.

ოთახში ქალი-ექიმი შევიდა. ჯერ ახალშობილებს დახედა, სათითაოდ აკოცა მძინარ-ბავშვებს, მერე მელანიასთან მივიდა, მშობიარობის ღამე მოაგონა, გადარჩენა მიულოცა. როგორ ხარო, გამოკითხა, გაამხნევა. მათი მოსვლის მიზეზი და მიზანი გააცნო. დიასახლისს გაუსწორა ლოგინი. სოფრომმა სტუმრებს კარები გაუღო და შემოიპატიჟა.

ახალგაზრდა ექიმი პირველად მელანიასთან მივიდა, მხიარული სიტყვებით მიესალმა. მერე ბავშვებს მიუბრუნდა. მწკრივად იდგა აკვანი სამი და ახალშობილებს ეძინათ უდარდელად. ამქვეყნიური ამბები მათთვის უცნობი იყო... ექიმმა თვითონ გადახადა პირსაფარავი, არტახები შეუხსნა, გააღვიძა. პაწია მოქალაქეებმა გაოცებით შეაჭყიტეს დაუმაგრებელი თვალები ადამიანს, ბოხი ხმით მორთეს ტირილი. ექიმს გაეცინა.

— ოი, რა მაგარი ხმა აქვთ!.. — აღტაცებით შესძახა. დაჯდა. სოფრონს შეხედა და მიმართა ღიმილით: — კი მეუბნებოდა თქვენი ექიმი და მართალი ყოფილა, შენი ბავშვები ჯანსაღები არიან, მაგარი, ყველანი გაიზრდებიან და თქვენც ბედნიერი მამა იქნებით, მაგრამ მარტო დედის ძუძუთი ვერ გაიზრდებიან თქვენი ბავშვები... მეწველი ძროხა გყავთ?!

— მყავს, ექიმო, ერთი...

— ერთი?. იმის ნაწველი ოჯახს დასჭირდება... ამათ საკუთარი უნდათ. რამდენი შვილი გყავთ სულ?!

— ცხრა შვილის მამა გახლავარ, ბატონო... ჩემი უფროსი ქალი საშუალო სასწავლებელში სწავლობს.

— ჩვენში, სოციალიზმის ქვეყანაში ახალი კანონის მიხედვით მრავალი შვილების დედას ჯილდო ეძლევა... თქვენი ცოლიც მიიღებს ჯილდოს, მგონი ხუთი ათას მანეთს... ამას მოითხოვს საბჭოთა ქვეყნის კანონიერება და აგისრულდებათ უკლებლივ... მაგრამ აქ ჩვენ სხვა საკითხიც გვაინტერესებს: ბავშვების აღზრდა. ამისთვის საჭიროა მათი ძროხის რძით კვებაზე გადაყვანა. ღონისძიებაც გამოვიმუშავეთ. მეჯოგეთა ფერმიდან მეწველი ძროხა მოგეცემათ ერთი წლით, ხოლო იმისთვის, რომ თქვენი ცოლი მოჯანსაღდეს, მიიღებთ ათას მანეთს... ჩვენ ყოველთვის მზად ვიქნებით, დახმარება აღმოგიჩინოთ და სამი ერთადშობილი ბავშვის გაზრდა გაგიადვილოთ... გაიგეთ?! მეტს ხომ არაფერს მოითხოვთ?

— რას მეუბნები, ექიმო... რავა გეკადრებათ!.. მაგის ღირსი ვინაა, რაც თქვენ მიბრძანეთ!..—დაიბნა სოფრონი. მოულოდნელი იყო ეგ მისთვის. მელანიას შერცხვა როგორღაც, საბანი წაიფარა სახეზე. გაოცებულმა პელაგიამ თავი გვერდზე მიიბრუნა, პირჯვარი გადაიწერა ჩუმად, დაუჯერებლად მიაჩნდა, რაც გაიგონა.

ექიმი ადგა.

— ეგ ყოველივე უკლებლად აგისრულდებათ, ძვირფასებო, — მიმართა მან გაკვირვებულ მასპინძლებს, — აქ არაფერია გასაოცარი. ყოველი დედა ღირსია ჯილდოსი, ხოლო დედა, რომელიც ასეთ ბავშვებს სამს ერთად შობს, კიდევ მეტის ღირსია. ჩვენ გვინდა თქვენი ოჯახი, თქვენი

ახალშობილები გავაცნოთ ფართო საზოგადოებას... მე მახლავს გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი, რომელსაც სურს გადაიღოს თქვენი და თქვენი შვილების სურათი... შეუდექით, ამხანაგო, თქვენს საქმეს...

სტუმარს, რომელიც აქამდე ფანჯარასთან იჯდა და ხმას არ იღებდა, ხელით ანიშნა რაღაც. უკანასკნელი ადგა. ფოტოაპარატი მომართა, სოფრონს მიუბრუნდა ახალგაზრდა კაცი და უთხრა.

— მოდი... მოგვეხმარე...

მელანიასთან მივიდა და ჰკითხა:

— დედი, შეგიძლია წამოდგე?

— რავა არა, ბატონო!... — ქალი-ექიმი მიეშველა მელანიას. კედელზე მიაწვინა. სუფთა ზეწარი გააფინა დედის წინ, ზედ ბავშვები დააგორა. ახალგაზრდა ექიმმა მელანიას გვერდით სოფრონი გააჩერა და პელაგიას უთხრა.

— დედი, არ შეგიძლია სხვა შვილებიც მომგვარო ამათი?!

— ამ მინუთში ბატონო, რავა ვერ მევიყვან... აგერ არიან. ყველაი,— ფუსფუსითა და თავშალის სწორებით გავიდა ოთახიდან პელაგია, აივნის დუშაღს გადაადგა შავითმოსილი დედაკაცი, რამდენჯერმე ჩაახველა ხმის გასაწმენდად და გადასძახა:

— ათულია შვილო, კაკალია ცავ... თინაია გოგო... ცაცალია ბაბიდა, ყველამ მოით აგერ... ყველამ.

ოდის უკანა აივანზე ნაბიჯები აიარია. იგი ხმაური მალე ოთახის კარებთან გაისმა და სტუმრებთან პირველად სახეავარდისფერებული ათულია შევიდა. კარებთან შეჩერდა ქალი, მორცხვი ღიმილით გადახედა იქ მყოფთ, ერთი წამით მხედველობა ახალგაზრდა ექიმზე შეაჩერა და დედას დააცქერდა ისევ.

ექიმი ნელა მიუახლოვდა ქალს, სათუთად შეახო ხელი საკუთ მკლავს მისას. აქეთ მობრძანდიო, უთხრა მორიდებით. ქალიშვილი შეკრთოლდა... დედას მივარდა, მიეხუტა... სხვებს რომ არ შეემჩნიათ მოულოდნელი რაღაც, მეთექვსმეტე წელს რომ მოაქვს ახალგაზრდა ქალისთვის, ლოგინს დაუწყო სწორება შეფაკლებულმა...

კარები გაიღო, ოთახში სწრაფად შემოცვინდნენ მშვენიერი გოგონები... ყველაზე ბოლოს მზიური სახით ცაცალია შემოგოგმანდა... საბჭოს თავმჯდომარემ აიყვანა იგი... შეაბურთავა, ფული აჩუქა პატარას, დედასთან დასვა ლოგინზე... მშობლების გვერდით გაამწკრივეს შვილები მათი... ია, შროშანი და ყაყაჩო, მორცხვი ვარდები, ყვავილები სურნელოვანი ცოცხალ თაიგულად შეიკონა ბედნიერი დედმამის ირგვლივ... ხოლო პატარა მოქალაქეები, ახალშობილი ბიჭები დედის წინ დაგორებული ასავსავებდნენ ხელებს... ტიროდნენ... ასე გამოვიდა მათი სახე სურათში...

უცხო სტუმარმა აივანზე გაიტანა ფოტო-აპარატი. სოფრონმა თავმჯდომარე გაიხმო გარეთ, მოელაპარაკა, გოგონები აფრინა მეზობლებში. ვახშმად პატიჟებდა ნაცნობ-ნათესავებს მამა ბედნიერი...

ეზოში ქათმები აკრიახდნენ... სახლის გვერდით გოჭმა გააბა ჭყვირილი. სამზარეულოში კეცს-კეცზე ადგამდნენ მეზობლის ქალები და აც-

ხობდნენ ხაჭაპურებს... ბედნიერების, სიხარულის, იმედიანობის ჯაჭვი გაინასკვა სოფრონის ოჯახში. ძვირფას თვალს ძვირფასი თვლები ემატებოდნენ... ორსართულიან ოდაში მძიმე ხმით ირწეოდა აკვანი სამი... სხვებს დრო არ ჰქონდათ. პატარა ცაცალია აძინებდა ბავშვებს. მისი სიმღერა — „ნანინაი ჩემს პატალა ძამიებს“—წკრიალით მოისმოდა ოდიდან და ახალგაზრდა ექიმი გატაცებით უგდებდა ყურს გოგონას „ნანინას“. ძვირფასი სტუმრები ისხდნენ აივანზე, ბაასობდნენ და შეექცეოდნენ მწიფე მანდარინებს. ჭიშკართან იდგა ავტომობილი მ-1 და მას ბრაზიანი ღრენით უყეფდა ძაღლი პარეხაი: უკვირდა ბოროტს: ამდენი უყეფა და მაინც ვერ შეაშინა უცხო ცხოველი, რომელსაც პირველად ხედავდა გლეხკაცის ეზოს ჭიშკართან...

თითქოს ფრთები გამოებაო, დაქროდა ეზოში ცხრა შვილის მამა, სცემდა განკარგულებებს: მზადდებოდა ლხინი მოულოდნელი...

რუდიარდ კიპლინგი

ბალადა ფიშერის ღამის ბინისა

როცა კედელთან ცხედარი
გამოირიყა ნელა,
რომ გარდენ-რიჩში დამხრჩვალი
კეჯერის დალპეს მთელად —
რაც ჰუგლიმ ბრაგას უამბო,
ბრაგამ მე მითხრა ყველა.

ღამის სათევად ფიშერთან
მეზღვაურები მხოლოდ
მიიჩქაროდნენ ნამგზავრნი,
ნახეს ქვეყნების ბოლო,
იფურთხებოდნენ, სტყუოდნენ,
კეთილს ატანდნენ ბოროტს.

მეწამულ ზღვაზედ ამბობდნენ,
სადაც უძვირდათ პური,
როგორ მიაპყრეს ცას თვალი
და ზღვების ზვირთებს ყური,
და შავად ეჩვენებოდათ
რომი ფერ-მეწამული.

სიკვდილ-სიცრუის ამბები
არც ბოროტისას უცდის,
გმობითა სურდათ სიტყვების
მათ გამაგრება სუსტის,
წყევლის გრიალში მაგიდას
ხშირად ხვდებოდა მუშტი.

ცისფერთვალება დანელი
ჰანსი ათლეტი არი,
ავგაროზია მის მკერდზე
ულტრუდას ნაჩუქარი,
განსაცდელთაგან მფარველი
ვერცხლის იაფი ჯვარი.

აქ ნახავთ პამბა მალაელს,
მახინჯ უყურო ჯეკსაც,
გვინეელ კოკს და ჯინ კარბოს,
ბისკაელ ლუსს და სხვებსაც,
ვისი ფულებიც მიკიტან
ჯეკს შემოსავლად ექცა.

ხმელ-ხმელ ბოსტნეულ მარჯვეს,
რუსი, ფინი თუ მულატი
არ ერიდება ხარჯებს,
ღამის სათევად ფიშერთან
უნდა უზღვაოდ დარჩეს.

ავსტრიელ ანნას გარეშე
აქ არავინ სვამს ღვინოს,
გალიციიდან მოსულმა
ჯაუნ ბაზარის ბინას
მას წაუმძღვარა სირცხვილის
პური ნაჭამი წინათ.

ათიოდ სული ქუსლის ქვეშ
დღეს მის ნადავლად მოდის,
სამაჯურებით, კაბებით
თუმც სხვებმა უხვად მორთეს,
იმ დროს ჰარდიკერს ჰყავდა ის:
წესი ასე აქვთ პორტებს.

და აქ შეიტყო სულყველამ,
რომ საგანძურთა წყება
ვერ შეაჩერებს ოცნებას,
ვერ დაგპირდება ვნებას,
როდესაც ანნას თვალები
დანელის სახეს ხვდება.

ბრძოლაა ყველგან ცხოვრება,
ბრძოლა — ეს არის დანა,
ვინც დღე ილაღა მოკვდება
ჩამოღამდება სანამ,
ფიშერის ღამის ბინაში
ცეცხლი დაგვინთო ანნამ.

ცისფერთვალება დანელი
გულ-გაყინული არი
და ავგაროზი ირხევა
მისი სიცილის ზარით —
განსაცდელთაგან მფარველი
ვერცხლის იაფი ჯვარი.

„შენ მოუარე ჰარდიკერს,
მას უნდა ყოფნა შენთან,
მე ხვალ ზღვას დავუბრუნდები.

მაწევს სამშობლოს სევდა,
და კატეგატით მივაღწევ
საროს სკაგენთან ერთად".

ბევრ ბოროტ ამბავს მოიტანს
ვნება ქცეული რისხვად,
„შენ მოუარე ჰარდიკერს"...
ეს ანნას მიღრ ითქვა,
შეჰკვნესა... „მითხრა, ასეთო"...
და ჩხუბი მოჰყვა სიტყვას.

იყო სალემის კივილი,
ზე ამართული ხელი,
კედელზე ჩრდილთა თამაში,
ქვეშ-ქვეშ ბებუთი მჭრელი,
ჰანსი ხარივით დაეცა,
როგორც მოკრილი ცელით.

ანნას მუხლებთან წამოწვა
და თავი დასდო ზედაც:
„მე ხვალ ზღვას დავუბრუნდებ",
მაწევს სამშობლოს სევდა,
ულტრუდას ველი აღდგომას, —
უკვე კატეგატს ვხედავ,

მაგრამ, შეხედე... შუქი ჩანს...
კანდელი... შუქი... ჩაქრა..."
ჩურჩული მიწყდა, გაშორდა
სული მის სხეულს მაგრამ
ქალის ცრემლები დაცვივდა
სადაც მან მკერდი დაჰკრა.

ამგვარად მოჰკლეს დანელი
ჰანსი ათლეტის დარი,
ანნამ წაიღო მას მერე
ულტრუდას საჩუქარი,
განსაცდელთაგან მფარველი
ვერცხლის იაფი ჯვარი.

თარგმანი ინგლისურიდან **ბიბი ბაჩეჩილაძისა.**

კ რ ი ტ ი კ ა

შალვა რადიანი

შალვა დადიანი*)

მთელი ორმოცდახუთი წლის მანძილზე ეწევა შალვა დადიანი დაუღალავ საზოგადოებრივ-სამწერლო მოღვაწეობას. არ დარჩენილა არცერთი დარგი ჩვენი ქვეყნის გონებრივ-კულტურულ მოძრაობაში, ან საზოგადო საქმიანობაში, სადაც ამ ხნის მანძილზე შალვა დადიანს არ მიეღოს უახლოესი მონაწილეობა.

გასული საუკუნის სამოციანი წლების მოღვაწეების — ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის და გ. წერეთლის შემდეგ ჩვენ ბევრი არ გვყოლია ისეთი მრავალფეროვანი მოღვაწე, როგორიც შალვა დადიანია. იგი არის დრამატურგი, ბელეტრისტი, თეატრალური მუშაკი, კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციათა აქტიური მონაწილე თუ ხელმძღვანელი.

ყველა დარგში, სადაც კი შალვა დადიანს თავისი უნარი უცდია, ყველგან გამოუმჟღავნებია ბრწყინვალე ინდივიდუალობა და ნიჭი, დაუმსახურებია სიყვარული და სახელი.

ქართული თეატრი ვერ დაივიწყებს შალვა დადიანის ღვაწლს, როგორც ნიჭიერი მსახიობისა და რეჟისორისას, რომელმაც ჯერ კიდევ თვითმპყრობელობის ბატონობის საშინელ პირობებში ქართული სცენა გადააქცია ხალხისთვის მოწინავე იდეების საქადაგო ასპარეზად.

ჰქმნიდა რა სოციალურად და პოლიტიკურად მახვილ რეპერტუარს, შალვა დადიანი თავის თეატრისთვის ეძებდა და პოულობდა კიდევ შესაფერ აუდიტორიას. ცნობილია, რომ დრამატიულმა დასმა შალვა დადიანის ხელმძღვანელობით პირველად თავისი მუშაობა ავჭალის მუშათა აუდიტორიაში დაიწყო. ეს მოვლენა რომ შემთხვევითი არ იყო, ამას

*) მოხსენება, წაკითხული შალვა დადიანის სამწერლო-საზოგადოებრივ მოღვაწეობის 45 წლის თავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში.

ცხადჰყოფს ის, რომ შალვა დადიანი თავისი დასით წლობით მუშაობდა ჩვენს ინდუსტრიულ ცენტრებში, ყველგან, სადაც კი თავს იყრიდა და ირაზმებოდა მუშათა კლასი. მისი თეატრის აუდიტორიას შეადგენდნენ არა მარტო ტფილისის, ჭიათურის, ბათომის, ქუთაისის, არამედ საქართველოს ფარგლებს გარეშე მყოფ სამრეწველო ცენტრების — ბაქოსა და ნოვოროსიისკის — მუშებიც. ამავე დროს შ. დადიანის თეატრი წარმოადგენდა ქართველი მშრომელი გლეხობის გამათვითცნობიერებელ ტრიბუნასაც. საქართველოში იშვიათია ისეთი სოფელი, რომელსაც არ სწვეოდეს თავისი დასით შალვა დადიანი. მან შეაყვარა ქართველ მუშებსა და გლეხებს თეატრი, გადააქცია რა იგი ხალხის აღმზრდელ სკოლად, ხალხის მსახურ ხელოვნებად. საბჭოთა ხელისუფლებამ ღირსეულად დააფასა შალვა დადიანის მოღვაწეობა თეატრალური ხელოვნების დარგში და 1923 წელს მას რესპუბლიკის სახალხო არტისტის სახელწოდება მიანიჭა.

ქართული დრამატურგია მუდამ იამაყებს შალვა დადიანის მიერ ჯერ კიდევ რევოლუციამდე დაწერილი პიესებით, რომელთა დიდი უმრავლესობა მწვავე სოციალურ პრობლემებს ეხებოდა და ყველგან ავტორი გამოხატავდა პროგრესიული საზოგადოებრივი ფენების იდეებსა და განწყობილებებს. მაგრამ ბევრად უფრო მაღალი იდეურობით და მხატვრული ღირსებით ხასიათდებიან ის პიესები, რომლებიც შალვა დადიანმა შექმნა საბჭოთა ხელისუფლების დროს.

არანაკლებ თვალსაჩინოა შალვა დადიანის შემოქმედებითი მუშაობა ქართული მხატვრული პროზის დარგში. ამ მხრივ მას განსაკუთრებული, დამოუკიდებელი ადგილი უჭირავს ქართული მხატვრული ლიტერატურის განვითარებაში.

შალვა დადიანი ერთ-ერთი საუკეთესო და ნიჭიერი წარმომადგენელი ქართველი მწერალთა უფროსი თაობისა, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე საბჭოთა მწერლების მოწინავეთა რიგებში ჩადგა და მთელი თავისი შემოქმედებითი ენერგია და პრაქტიკული საქმიანობა თავისუფალი და ბედნიერი ქართველი ხალხის სამსახურისაკენ მიმართა. მისთვის ჩვეული სიყვარულითა და აღფრთოვანებით ჩაება იგი ლ ე ნ ი ნ-ს ტ ა ლ ი ნ ი ს პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ წარმოებულ მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მუშაობაში — სოციალისტურ მშენებლობაში.

შალვა დადიანმა, როგორც დრამატურგმა და მხატვრული პროზის ოსტატმა განვლო ვრცელი და სახელოვანი შემოქმედებითი გზა. პირველი მხატვრული ნაწარმოებნი მან გამოაქვეყნა 1894—96 წლებში. ამის შემდეგ მას არ შეუსუსტებია შემოქმედებითი მუშაობა. იგი ყოველთვის აოაჩვეულებრივ აქტივობას იჩენდა და იჩენს დრამატურგიისა და მხატვრული პროზის დარგში.

შალვა დადიანის მხატვრულ ნაწარმოებთა მამოძრავებელ ღერძს წარმოადგენს საზოგადოებრივი პრობლემები, სოციალური მოტივები. დიდი იდეები, რომლებიც ხალხს აღელვებენ და იტაცებენ. მთავარი, რაც შალვა

დადიანის შემოქმედებას ახასიათებს, ეს არის მხატვრული სიტყვის ცენტრში სოციალური საკითხების მოქცევა. მისი შემოქმედების თემატიურ არეს შეადგენენ კლასებისა და სოციალური ფენების ურთიერთობა, განსაზღვრული ისტორიული პერიოდის საზოგადოებრივი კონფლიქტები და მათ გარშემო წარმოებული ბრძოლა. მწერალი ვერ ურიგდება და არ თანაუგრძნობს იდეურად დაცლილ ნაწარმოებს. მისთვის მიუღებელია მხატვრული ნაწარმოები, რომელიც არ ეხება სოციალურ საკითხებს, მნიშვნელოვან საზოგადოებრივ პრობლემებს. ამ მხრივ შალვა დადიანის შემოქმედებას ყოველთვის უაღრესი აქტუალობა და სიმძაფრე ახასიათებდა.

მართალია, შალვა დადიანი თავის გრძელ სამოღვაწეო გზაზე მრავალი ლიტერატურული სკოლისა და ესთეტიური გემოვნების ცვლისა და დაჯახების მოწმე იყო, მაგრამ ამ დაცემულობის გამომხატველ ლიტერატურულმა მიმდინარეობებმა ვერ დააზიანეს მისი საღი რეალისტური ხედვა, ვერ გადააცდინეს იგი ჯანსაღ შემოქმედებით გზას. შალვა დადიანი ბოლომდე დარჩა რეალისტ-მწერლად. მისი ძირითადი რეალისტური პრინციპი მდგომარეობდა იმაში, რომ იგი მხატვრულ შემოქმედების ამოცანებს უფარდებდა სინამდვილის შესწავლას, პროზისა და დრამატურგიის შემეცნებითი მნიშვნელობას აყენებდა იგი პირველ პლანზე, შესწავლის ობიექტად მას ჰქონდა თავისი თანადროული ცხოვრება.

შალვა დადიანის შემოქმედება რეაქციის წლებშიც გამოირჩეოდა თავისი ღრმა ოპტიმიზმითა და სიცოცხლის აპოლოგიით. ყველა მისი მხატვრული ნაწარმოები მზიანია, გამთბარია სიყვარულით, გამსჭვალულია იმედით მომავლისადმი. შალვა დადიანის მრავალმხრივი და მრავალფეროვანი მუშაობის რომელი სფეროც არ უნდა ავიღოთ, ყველგან გარკვევით სჩანს მისი მისწრაფება — ჩასწვდეს მშრომელი ხალხის სულისკვეთებას, ჰკვებოს თავისი შთაგონება ხალხის ცხოვრებით, მისი ინტერესებით, გადაამუშაოს ხალხის გულიდან ამოკრეფილი ფაქტები თავის შემოქმედების სამყაროში, გაამდიდროს მოწინავე იდეებით და ამ სახით ხალხსავე დაუბრუნოს ის, რაც მისგან მიუღია.

ოქტომბრის რევოლუციამდე შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებებში შალვა დადიანი ყველგან კრიტიკულ-რეალისტური მიმართულების ტიპიური წარმომადგენელია. მან მზის სინათლეზე გამოიტანა ის სიდუხჭირე და საშინელი პირობები, რომელშიც ჩაყენებული იყვნენ მასები თვითმპყრობელობის, მემამულეებისა და ბურჟუაზიის ბატონობის დროს. შალვა დადიანი მაშინაც მომავლის ადამიანებს ხედავდა მუშებსა და გლეხებში და არა სულიერად, იდეურად დაცემულ თავადაზნაურობაში.

პირველმა რევოლუციამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა შალვა დადიანის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. ამ პერიოდის მის დრამატიულ ნაწარმოებებში საგრძნობია მებრძოლი განწყობილებები.

შალვა დადიანის პირველი დრამატიული ნაწარმოები „მღვიმეში“ ავტორის აზრით ვითომდა კონკრეტული ისტორიული დროისა და სივრცის

გარეშე დგას, მაგრამ ნამდვილად იგი თავისებური, ალეგორიული ანარეკლია პირველი რევოლუციისა.

შალვა დადიანს ძველი ცხოვრება წარმოდგენილი ჰქონდა მღვიმედ, რომელსაც გადახურული ჰქონდა ხელოვნური თაღი. ამ მღვიმეში სინათლე არ აღწევდა, იქ იყო მხოლოდ სიბნელე, ხალხის შრომა და ტანჯვა. ხალხი მოითხოვს მღვიმის თაღის დანგრევას და მასში მზის სინათლის შეშვებას. გაბატონებული წრეები ამის სასტიკი წინააღმდეგნი არიან, მაგრამ აბობოქრებული მასების პროტესტი ძლიერდება. ბრძოლა მწვავე სასიათს ღებულობს და პიესის ერთ-ერთი გმირი ხმამაღლა აცხადებს: „ჩვენ ვამტკიცებთ, რომ თაღის დარღვევა მიუცილებელია". პიესის მომქმედი გმირები მარტო ლაპარაკით და პროტესტით არ კმაყოფილდებიან. კიდევ მოქმედებენ და იბრძვიან. არავითარი შერიგება, არავითარი დათმობა გაბატონებულ წრეებთანო — აცხადებენ დაჩაგრული მასები. და ეს მოწოდება ბოლომდე მიჰყვება მთელ პიესას. „მღვიმეში" მკაფიოდაა გამოვლენილი თვითმპყრობელობის დამხობისა და თავისუფლებისთვის ბრძოლის იდეა.

შალვა დადიანის სოციალური იდეალების გამოსარკვევათ დიდ ინტერესს წარმოადგენს მეორე მისი პიესა „როს ნადიმობდნენ". მასში დაყენებული იმდროის აქტუალური საკითხები, საზოგადოებრივი ძალები, განლაგებულია ზუსტად და სწორად. პიესაში მხატვრულ სახვას პოულობს ბრძოლა შრომისა და კაპიტალს შორის. მთელი პიესა გამთბარია დიდი სიყვარულით მშრომელი ხალხისადმი.

„როს ნადიმობდნენ"-ის შინაარსი არ არის რთული. სცენაზე ნაჩვენებია ლხინი. საქეიფოთ მორთულ მაგიდასთან სხედან მემამულე, ვაჭარი, ბერი და სხვ. ეს „თბილი" შეკრებულება ქეიფსა და დროს ტარებაშია. მაგრამ ლხინი დიდხანს არ გრძელდება. სცენის სიღრმიდან მოისმის მარსელიოზის ხმები. ახლოვდებიან აბობოქრებული მასები და მათი წარმომადგენელი და მეთაური მუშა მიმართავს მყვლეფელთა ბანაკს: „გესმით?" აი, რა ხმები მოისმის! ჩვენს უკან ლაშქარია, გამხდარი, გაძვალტყავებულნი, თქვენგან ცხოვრებაში გარიყული, დამონებული და... ამ ნადიმს მოკლებული, მაგრამ მაინც ლაშქარი... ხედავთ, როგორ ახლოვდება ხმა?... ეს გარდაუვალი რამ არის... მე აქამდის ვთხოულობდი, მაგრამ მოვა ეს ლაშქარი და ძალით წაიღებს იმას, რაც სამართლით მათ ეკუთვნით"... და პიესა მთავრდება ძახილით: „უკვე აღდგა ქარიშხალი, გახთიადის მოციქული". მწვავე ბრძოლაში შრომა გამოდის გამარჯვებული. სცენაზე შემოჭრილი აჯანყებული ხალხი ანადგურებს და სპობს ჩაგვრელთა ბანაკს.

არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ ეს პიესა დაწერილია 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ, როცა რევოლუციის ტალღები მინელდნენ, როცა დროებით ზეიმობდა შავი რეაქცია. პიესა შორს დგას ინტელიგენციის იმ ნაწილის განწყობილებებისაგან, რომელიც რეაქციის პერიოდში შეუდგა რევოლუციურ ღირებულებათა გადაფასებას და რომელმაც მისტიურ-რელიგიურ სოფლმხედველობას შეაფარა თავი. „როს

ნადიმობდნენ“ ასახავს იდეებს, რომლებიც ხალხს ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ. საყურადღებოა, რომ შალვა დადიანმა ამ პიესაში სწორად გამოსახა რევოლუციური ბრძოლის სტრატეგია: მუშებისა და გლეხობის მჭიდრო კავშირის აუცილებლობა, სწორედ ამ მიმართებით არის გადაჭრილი ეს საკითხი დასახელებულ პიესაში. მუშები და გლეხები მოქმედებენ შეთანხმებულად და თავიანთი ინტერესების ერთიანობას მტკიცე შეგნებით იცავენ.

„გეგეჭკორი“ ნამდვილი სოციალური დრამაა, იგი დიდი ხნის განმავლობაში იდგმებოდა ქართულ სცენაზე და აუდიტორიის დიდი ყურადღებით სარგებლობდა. ამის მიზეზი იყო სინამდვილის მძაფრი შეგრძნობა, სოციალური უკუღმართობის დაგმობა და გმირის ისეთი თვისებებით აღჭურვა, რომლებიც მას მონობის მოსპობისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში აყენებს.

„გეგეჭკორში“ დაპირისპირებულნი არიან ხალხის ფართო მასები და გაბატონებული წრეები. პიესის მთავარი გმირი გეგეჭკორია, გამოსული გლეხობიდან. იგი ვერ ურიგდება სოციალურ უსამართლობას. მას ბოლომდე აქვს შეგნებული მშობლიური კლასის განთავისუფლების აუცილებლობა. იგი რაზმავს ყმა გლეხობას, მოუწოდებს ფეოდალურ მონობისაგან განთავისუფლებისაკენ და აჯანყებასაც აწყობს, მაგრამ მარცხდება და ატუსაღებენ. „მე კი არა ვარ გლეხების აჯანყების მიზეზი, — ეუბნება გეგეჭკორი გაბატონებულ წრეებს, — არამედ თქვენ, თავადები და აზნაურები. თქვენმა უსამართლობამ და ტირანიამ გამოიყვანა გლეხობა მოთმინებიდან. მე არ შემიძლია ვიყო უგულო და მშრალი, როგორც თქვენ. მე ხალხის შვილი ვარ, მისი ნაწილი, ხოლო ხალხი ყოველთვის სამართლიანი და მგრძნობიარეა“.

„გეგეჭკორში“ არსად არ ნელდება მებრძოლი განწყობილება. დიდი მხატვრული დაძაბულობით ვითარდება პიესაში დრამატიული კოლიზიები.

შალვა დადიანი მთელ რიგ დრამატიულ ნაწარმოებებში ნიღაბს ხდის ქართველ თავად-აზნაურობას, გვაცნობს, თუ რას წარმოადგენდა ეს წოდება ახალ ვითარებაში — კაპიტალისტურ ურთიერთობაში.

ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მაღალ მხატვრული, უაღრესად კოლორიტული „გუშინდელნი“ — ერთერთი საუკეთესო კომედია ქართულ დრამატურგიაში. აღნიშნულ ნაწარმოებში გაშიშვლებულია გადაგვარებული წოდება — თავად-აზნაურობა. კომედია იშვიათი მხატვრული ოსტატობით არის დაწერილი. დრომოჭმული საზოგადოებრივი ფენების ცხოვრების ფონზე იშლება ნიადაგგამოცლილი ადამიანების მეტად ღარიბი შინაგანი სამყარო თავისი აქსესუარებით. „გუშინდელნი“, რომელიც მეტყველი ფერებით გამოხატავს ძველ ცხოვრებაში გაბატონებულ საზოგადოებრივი ფენების ყოფის გარკვეულ საფეხურს, დაწერილია მახვილი სატირული ენით. რეალისტური სურათები მძაფრი იუმორი მკაფიო სიუჟეტი, ეფექტიანი დიალოგი, რთული კვანძი და ტიპების

მრავალფეროვანება ამ კომედიას განსაკუთრებულ ადგილს აკუთვნებს ქართული დრამატურგიის განვითარებაში.

„გუშინდელნში" შალვა დადიანმა დაგვანახა არა მარტო ქართველი თავადაზნაურობის ფიზიკურ-სულიერი დაკნინება, გვიჩვენა არა მარტო კულაკობის ეგოისტური მიდრეკილება, წარმოგვიდგინა არა მარტო თავადაზნაურული ინტელიგენციის უნიადაგობა და უნიათობა, არამედ ამასთან გაატარა ის სწორი თვალსაზრისი, რომ არცერთ ამ ფენას არ შესწევდა არც იდეური და არც მორალური შესაძლებლობა გამოეყვანა ხალხი სიბნელისა და სიღატაკის ჩიხიდან. ერთადერთ ძალად, რომელიც შესძლებდა მშრომელი ხალხის წინამძღოლობას და გამათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურობას, შალვა დადიანმა აღიარა მუშათა კლასი. ეს აზრი მწერალმა ნათლად გამოსთქვა და მკაფიოდ გამოხატა ჩვენს მიერ ზემოდდასახელებულ ორ დრამატიულ ნაწარმოებში — „მღვიმეში" და „როს ნადიმობდნენ".

ასეთი შემოქმედებითი მიღწევებით შემოვიდა შალვა დადიანი საბჭოთა ლიტერატურაში.

შალვა დადიანის ორიგინალური და გულწრფელი შემოსვლა საბჭოთა ლიტერატურაში მომზადებული იყო მისი რევოლუციამდელი პროგრესიული შემოქმედებით. საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მან კიდევ უფრო მეტის ახალგაზრდული ენერგიით გაშალა თავისი შემოქმედებითი მუშაობა და შექმნა ყველაზე უფრო მომწიფებული თავისი მხატვრული ნაწარმოებნი. მთელი თავისი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის განმავლობაში შალვა დადიანს არასდროს არ უმუშავნია ისეთის ინტესივობით და ინტერესით, როგორიც საბჭოთა ხელისუფლების დროს. საზოგადოებრივ-პრაქტიკულ მოღვაწეობასთან ერთად იგი აგრძელებს დიდად ნაყოფიერ მაღალ-მხატვრულ შემოქმედებით მუშაობას. ამ პერიოდს ეკუთვნის პიესები: „ნაპერწკლიდან", „თეთნულდი", „კაკალ გულში", „რუსთაველი", „პუშკინი საქართველოში", „ბარათაშვილი", „ნინოშვილის გურია", „ჩატეხილი ხიდი", რომანები „უბედური რუსი", „ურდუმი" და მრავალი მოთხრობა.

შალვა დადიანი საბოლოოდ ჩამოყალიბდა როგორც სოციალისტური რეალიზმის პოზიციებზე მდგარი მწერალი, როგორც მწერალი, რომელიც მთელ თავის ძლიერ ნიჭს ახმარს განთავისუფლებულ და ბედნიერ ხალხს, რომელიც ყველა თავის ნაწარმოებში გამოდის, როგორც ვანახლებული ცხოვრების ჭეშმარიტი მომღერალი.

შალვა დადიანის დიდ შემოქმედებითს გამარჯვებას წარმოადგენს „ნაპერწკლიდან" — ქართული ხალხის სახელოვანი შვილის ამხანაგ ლავრენტი ბერიას შრომით—„ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის" — შთაგონებული დრამატიული ნაწარმოები, სადაც ორგანიულად განცდილია და დიდი გულწრფელობით, მხატვრული სიმართლით განსახიერებულია რევოლუციური მოძრაობის დასაწყისი საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში და დიდი ბელადის სტალინის ხელმძღვანელი როლი ამ მოძრაობაში.

„ნაპერწკლიდან“-ის სუჟეტი ზუსტად მისდევს ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს, იცავს ეპოქის თავისებურებას. პიესაში დიდი მხატვრული სიძლიერით არის ასახული ახალგაზრდა ს ტ ა ლ ი ნ ი ს გენიალური პოლიტიკური ალღო და ხასიათის ფოლადისებური სიმტკიცე. მასში ნაჩვენებია, როგორ ზრდიდა ს ტ ა ლ ი ნ ი კომუნიზმისათვის თავდადებულ მებრძოლთა არმიას.

მე-19 საუკუნის დასასრულს და მე-20 საუკუნის დასაწყისს, ბათომი წარმოადგენდა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სამრეწველო ცენტრს საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში. არაადამიანური შრომა, უუფლებობა, შიმშილი, — აი ასეთ პირობებში სცხოვრობდნენ მუშები, როგორც სხვაგან, ისე ბათუმშიც. მართალია, მუშები ამ არაადამიანური პირობების გამო უკმაყოფილონი იყვნენ კაპიტალისტებისა, მაგრამ ამ უკმაყოფილებას სტიქიური ხასიათი ჰქონდა. მათში ჯერ კიდევ არ იყო შესული რევოლუციურ-კლასობრივი შეგნება.

ასეთი მდგომარეობა იყო, როდესაც 1901 წლის ნოემბერს ბათომში ჩავიდა ამხანაგი ს ტ ა ლ ი ნ ი. ჩასვლისთანავე მან სტიქიურად გამოღვიძებული მუშათა კლასი მოამზადა შეგნებული პოლიტიკური ბრძოლისათვის. მან პირველმა შეიტანა ბათომის მუშებში მებრძოლი ლენინურ-ისკრული შეგნება, მთელ რიგ მსხვილ საწარმოებში ჩამოყალიბდა სოციალ-დემოკრატიული წრეები. მონური მორჩილება და ქედის მოხრა სტიქიურობის წინაშე, რასაც „მესამე დასის“ უმრავლესობა იჩენდა მუშათა კლასის ხელმძღვანელობის საქმეში, ს ტ ა ლ ი ნ ი ს ჩასვლის შემდეგ შეიცვალა შეგნებულ, ორგანიზაციულ, მასობრივ მოძრაობად, რომელიც მუშათა კლასის წინაშე აყენებდა ახალ პოლიტიკურ ამოცანებს. ამ ამოცანების გადაწყვეტის მიზნით შეიკრიბნენ მუშა სილაბისტრო ლომჯარიას ბინაზე ამხანაგ ს ტ ა ლ ი ნ ი ს მიერ დაარსებული წრეების მეთაურები. იქ ჩაეყარა საფუძველი ბათომის პირველ ლენინურ-ისკრულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას. ეს მოხდა 1901 წლის 31 დეკემბერს, ახალი წლის წინა ღამეს.

ამ ამბების ფონზე იშლება შალვა დადიანის პიესა „ნაპერწკლიდან“. ავტორმა მიზნად დაისახა დიდი ისტორიული მოვლენის ცოცხლად და მხატვრულად აღდგენა. მწერლის წინაშე ფრიად საპასუხისმგებლო ამოცანა იყო დასმული.

დრამატურგს პირველ სურათიდანვე ცხრაასიანი წლების ბათომში გადავყევართ. პიესა მოგვითხრობს მანთაშევისა და როტშილდის ქარხნების მუშების ყოფაცხოვრებაზე, გაფიცვებზე და დემონსტრაციებზე, საერთოდ ბათომის მუშათა კლასის ბრძოლის გმირულ ეპოპეიაზე.

პიესის ფინალს წარმოადგენს დიდი მხატვრული სიძლიერით განსახიერებული მომენტი, როცა პირველად ერთმანეთს პირისპირ შეხვდნენ მშრომელი კაცობრიობის დიდი ბელადები — ლ ე ნ ი ნ ი და ს ტ ა ლ ი ნ ი.

„ნაპერწკლიდან“ ცხადჰყოფს, რომ შალვა დადიანი კარგად იცნობს მუშათა კლასის წარსულს, მის ყოფა-ცხოვრებას, პიესაში მოცემულია შებრძოლ მუშათა ტიპების მთელი გალერეა. რწმენა გამარჯვებისა, რო-

მელიც ამხანაგმა ს ტ ა ლ ი ნ მ ა ჩაუნერგა მათ, ამოძრავებს ამ ადამიანებს, ხდის მათ თავდადებულ მებრძოლებად. ამასთან ერთად პიესაში ნათლადაა გადმოცემული მუშების ყოფაცხოვრება, მაგრამ ეს არ.ის არა ყოფის უბრალო ნატურალისტური ფიქსაცია, არამედ ცხოვრების ღრმა ცოდნით გამსჭვალული სოციალური სურათები.

„ნაპერწკლიდან"-ში ტიპების მრავალფეროვანებასა და მრავალრიცხოვანებასთან გვაქვს საქმე. არ დარჩენილა არც ერთი იმდროინდელი საზოგადოებრივი ფენა, რომლის წარმომადგენელი არ იყოს გამოყვანილი პიესაში:

ქართული საბჭოთა ლიტერატურის და საბჭოთა თეატრის ცხოვრებაში „ნაპერწკლიდან" აღინიშნება, როგორც დიდი ნაბიჯი წინ, როგორც დიდი შემოქმედებითი გამარჯვება სოციალსტური რეალიზმის დრამატურგიის შექმნის გზაზე.

შალვა დადიანს დიდი დამსახურება მიუძღვის ჩვენი კლასიკური ლიტერატურის, კერძოდ, ილია ჭავჭავაძისა და ე. ნინოშვილის მდიდარი მემკვიდრეობის ათვისების საქმეში. მისი „ჩატეხილი ხიდი" და „ნინოშვილის გურია" ჩვენი თეატრების რეპერტუარის დამამშვენებელია.

გარდა დრამატურგიისა, საბჭოთა პერიოდში შალვა დადიანი დიდი შემოქმედებითი ინტენსივობით მუშაობს მხატვრული პროზის დარგში. ამ წლების მანძილზე მან დასწერა და გამოაქვეყნა რამდენიმე მეტად მნიშვნელოვანი ისტორიული რომანი.

ცნობილია, რომ ისტორიული რომანი მხატვრული შემოქმედების ურთულესი ჟანრია, წარსული ცხოვრების რეალურ სახეთა მხატვრული გაცოცხლება და მისი „ხელშესახებად" მიახლოება მკითხველთან უაღრესად ძნელი საქმეა. გარდა ფაქტების ცოდნისა, მწერლისაგან ისტორიული რომანი მოითხოვს დიდ ინტუიციას და ოსტატობას.

შალვა დადიანის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მის ისტორიულ რომანებში მკაფიოდ იგრძნობა როგორც ფაქტების ღრმა ცოდნა, ისე დიდი ინტუიცია და ოსტატობა. თავისი ისტორიული რომანებით მწერალს შევყავართ მოვლენათა სიღრმეში. იგი მკითხველის წინაშე შლის ნათელ სურათებს ძველი ყოფისა და ზნეჩვეულებისა, გვიჩვენებს მთელ გალერეას ისტორიული სახეებისას, რომლებიც მისი კალმის ქვეშ ცოცხლდებიან და იწყებენ საუბარს თავიანთი ბუნებრივი ხმით.

შალვა დადიანი თავის ისტორიულ რომანებში არ ეძებს დეკორატიულ, ეკზოტიურ ელემენტებს. მას არ ახასიათებს არც განხეთქილება ისტორიასა და თანადროულობას შორის.

ქრონოლოგიურად შალვა დადიანის პირველი ისტორიული რომანი არის „უბედური რუსი". ამ ნაწარმოებს მკითხველი გადაჰყავს თამარ მეფის ეპოქაში. რომანი დაწერილია ნათელი ფერებით და მშვენიერი სტილით. ტიპები სხარტად და მკაფიოდ არიან მოხაზულნი.

„უბედურ რუსში" შალვა დადიანმა გვიჩვენა ქართველი ფეოდალური არისტოკრატიის ყოფა-ცხოვრება, ძლიერ მხატვრულ სახეებში აღადგინა ისტორიული პიროვნებანი, გარკვეული სოციალური ვითარება

და ის პოლიტიკურ-კულტურული გარემო, რომელიც ახასიათებდა მაშინდელ საქართველოს ცხოვრებას. მართალია, ამ რომანში მწერალმა ვერ მოგვცა ხალხის ცხოვრების ფართო ასახვა, მაგრამ სამაგიეროდ ის ვიწრო ფონი, რომელიც თავის მხედველობის არეში მოაქცია ავტორმა, დახატულია ისტორიული კოლორიტის დაცვით და რეალისტური გამოკვეთილობით.

„უბედურ რუსში" მკითხველის წინაშე გაივლის თამარის მეფობის დროის პირების მთელი გალერეა: თვით თამარ მეფე, რუსუდან — თამარის აღმზრდელი მამიდა, თბილისის ამირა აბულ-ასანი, ზორაბაბელი—თბილისელი სოვდაგარი, ანდრეი ბოგოლუბსკის ვაჟი — იური-გიორგი, მსახურთ-უხუცესი ვარდან დადიანი, რატი სურამელი, ზაქარია მხარგრძელი, აბულ-ასანის ცოლი — უტანდარი, დავით სოსლანი და მრავალი სხვაც. თვითეული მათგანი რომანში გარკვეული თვისებებით და ბრწყინვალებით არის მოცემული.

„უბედური რუსის" მთავარ თემატიურ ხაზს წარმოადგენს თამარ მეფის გათხოვება იური-გიორგი რუსზე და ამ ნიადაგზე შექმნილი კოლიზია. აქვეა მოცემული შინაგანი შეხლა-შემოხლა ქართველი ფეოდალებისა, რომელნიც შიგნიდან აუძლურებდნენ და ასუსტებდნენ საქართველოს ძლიერებას. ბრძოლა გავლენისა და ძალაუფლებისათვის, ქიშპობა, ინტრიგა, — აი რა იყო დამახასიათებელი ფეოდალურ-არისტოკრატიული წრეებისათვის. მუდმივი განაპირების მოსურნე ფეოდალები თვით თამარ მეფესაც კი აღუდგნენ და შეეცადნენ ქვეყნის დაქსაქსვას და დაუძლურებას.

მხატვრულად უაღრესად მნიშვნელოვანია ამ რომანში ისტორიულ არეს მოხაზვა. არ ვარდება რა ჭარბ მოდერნიზაციაში, არ არის რა გატაცებული გარეგნული ეფექტებით, ავტორი ტიპიურ ხაზებში გვიხატავს ეპოქის ყოფას და წესებს. ეპოქა მკითხველის წინაშე ცოცხლდება თავისი მრავალფეროვანებით.

თუ „უბედურ რუსში" ხალხის ცხოვრების ჩვენებას მცირე ადგილი ჰქონდა დათმობილი, სამაგიეროდ „ურდუმი" მთლიანად ხალხის, მასების ყოფა-ცხოვრებისა და ბრძოლის ეპოპეას წარმოადგენს. ამ რომანის თემად მწერალს აღებული აქვს გლეხობის აჯანყება მეცხრამეტე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ფეოდალური არისტოკრატიისა და მებატონეთა წინააღმდეგ. მოქმედება სწარმოებს სამეგრელოში, რომლის წარსულსაც ავტორი ზედმიწევნით იცნობს.

დიდი მხატვრული ოსტატობით აგვიწერს შალვა დადიანი ყმა-გლეხობის ცხოვრების საშინელ პირობებს. გლეხობა ყოველგვარ უფლებას იყო მოკლებული. მას სჩაგვარდა და ავიწროებდა თავადაზნაურობა, ეკლესია, თვითმპყრობელური სახელმწიფო, მოხელე და სხვები. ხშირი იყო შემთხვევა, რომ მემამულეები სრულიად უმიზეზოდ არბევდნენ და ანაღგურებდნენ ყმების კარმიდამოს.

შალვა დადიანი ხედავს გლეხობის არა მარტო აუტანელი ცხოვრების პირობებს, უუფლებობას, დაბეჩავებას, იგი გვიხატავს აგრეთვე იმ წი-

ნააღმდეგობას. ბრძოლას, რომელსაც ხალხი აწარმოებდა მჩაგვრელთა წინააღმდეგ. მშრომელთა ინტერესებისთვის მებრძოლის ლეგენდარული უტუ მიქავას მეთაურობით თითქმის მთელი სამეგრელოს ყმა-გლეხობა აწყობს აჯანყებას მებატონეთა და მეფის რუსეთის ადმინისტრაციის ვერაგობის წინააღმდეგ.

შალვა დადიანმა „ურდუმში“ გვიჩვენა, რომ ნამდვილი ისტორია არ არის ცალკეულ პიროვნებათა თავგადასავალი, არამედ მთელი ხალხის ისტორიაა, რომ ისტორიას ჰქმნიან მასები. შალვა დადიანს მთელი სისრულით აქვს ათვისებული ფრ. ენგელსის მოსაზრება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა უჩვენოს მწერალმა წარსული ცხოვრება, მნიშვნელოვანი გარდატეხის პერიოდები ხალხის ცხოვრებაში. თავის ცნობილ წერილში „ფრანც ფონ ზიკინგენის“ შესახებ ენგელსი სწერდა ლასალს: „მე მგონია... რომ დრამაზე თქვენი შეხედულებების მიუხედავად, რომელიც... ჩემის აზრით, ძალზე აბსტრაქტული, არა საკმარისად რეალისტურია, გლეხთა მოძრაობა მეტი ყურადღების ღირსი იყო“.., ენგელსი მოითხოვდა ლასალისაგან „დრამაში გლეხთა და პლებეების მოძრაობის ჩვენებას“. ფრ. ენგელსის ეს მითითება კარგად გაიგო შალვა დადიანმა. ამიტომ არის, რომ „ურდუმში“ მთავარი მომქმედი თვით ხალხია, ხალხის წრიდან გამოსული სახელოვანი შვილები.

„ურდუმში“ შალვა დადიანმა საქართველოს წარსული დაინახა მოძრაობაში, როგორც ისტორიული პროცესი, და იგი გამოხატა იშვიათი კონკრეტულობით.

შემოქმედებითი გზა, რომელიც შალვა დადიანმა სამწერლო მოღვაწეობის ორმოცდახუთი წლის მანძილზე განვლო, საბჭოთა საზოგადოებრიობის დიდ პატივისცემასა და სიყვარულს იმსახურებს, ვინაიდან იგი დაკავშირებულია ხალხის ინტერესებთან.

მთელი ორმოცდახუთი წლის მანძილზე პროზის ოსტატი, დრამატურგი, რეჟისორი, არტისტი — შალვა დადიანი დაუღალავად და ვაჟკაცურად ემსახურება ქართველი ხალხის ბედნიერების საქმეს, ემსახურება კალმით, სცენიდან წარმოთქმული შთაგონებული სიტყვებით, ისეთი პიესების დადგმით, რომლებიც ესიტყვებოდნენ ხალხის მისწრაფებებს.

შალვა დადიანი მთელი თავისი შემოქმედებითი ტემპერამენტით და ენერგიით არის ჩაბმული ჩვენს ქვეყანაში წარმოებულ დიად სოციალისტურ მშენებლობაში. იგი მთელი თავისი შეგნებით და არსებით სდგას ბედნიერი ცხოვრების მშენებელთა რიგებში. ამით აიხსნება ის განსაკუთრებული ნდობა, რომელიც მას გამოუცხადა ჩვენმა ხალხმა. შესაფერისად დააფასა რა შალვა დადიანის ხანგრძლივი საზოგადოებრივ-სამწერლო მოღვაწეობა, თავის საუკეთესო შვილებთან ერთად ხალხმა იგი აღჭურვა უდიდესი ნდობით და აირჩია სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს დეპუტატად. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ნათლად მიუთითებს იმაზე, თუ რა დიდად ფასდება გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში ხალხის ნამდვილი მსახური.

შალვა დადიანი ახალგაზრდული აღფრთოვანებით განაგრძობს მუშაობას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის პოსტზე. ყოველდღიური კავშირი აქვს თავის ამომრჩეველბთან, ეცნობა მათ მდგომარეობას, ეხმარება მათ მუშაობაში. „ჩემი უნივერსიტეტი" — ასე უწოდებს იგი თავის სადეპუტატო მუშაობას.

მიუხედავად თავისი ხანდაზმულობისა, შალვა დადიანს არ დაუსრულებია თავისი შემოქმედებითი გზა. მას სრული შესაძლებლობა აქვს იმისა, რომ მისცეს საბჭოთა ლიტერატურას კიდევ და კიდევ ბევრი ახალი განძი. ბედნიერი საბჭოთა ხალხი მისგან მოელის მეტ ღირსშესანიშნავ მხატვრულ ნაწარმოებებს.

ვუსურვოთ ჩვენს სახელოვან იუბილარს ხანგრძლივი სიცოცხლე და მისთვის ჩვეული ენერგიით შემოქმედებითი აღმავლობის გზით სვლა ჩვენი დიადი სტალინური ეპოქის შესაფერი მხატვრული ასახვისთვის.

კონსულტაცია

წერილი ახალგაზრდა მკითხველისადმი

შალვა ნიკოლოზის-ძე დადიანის წერილი, რომელსაც ქვევით ვბეჭდავთ, წარმოადგენს პასუხს ამხ. გრიგოლ ერმილეს-ძე ბელქანიას წერილზე. გრ. ბელქანიამ წერილთან ერთად მწერალ შალვა დადიანს გამოუგზავნა საკუთარი ლექსები და სთხოვა მიეწერა თავისი აზრი მათ შესახებ.

შ. დადიანის წერილი დახმარებას გაუწევს ჩვენს ლიტერატურულ ახალგაზრდობას.

ჩემო ახალგაზრდა ამხანაგო!

მომიტევეთ, რომ პასუხი დაგიგვიანეთ, მაგრამ ეს მიაწერეთ ჩემს მოუცლელობას.

ახლა საქმე:

გულ-დასმით გადავიკითხე ხუთივე თქვენი ლექსი და, რაკი ჩემი აზრი გაინტერესებთ, თუმცა მე პოეტი არა ვარ, მოგახსენებთ პირუთვნელად:

დედააზრი და შინაარსი თქვენი ლექსებისა დიაღაც მართებულია, რევოლუციურ-პათოსიანი და ჩვენი დროის შესაფერი, მხოლოდ ყველა ესენი რითმოვან სიტყვებში გამოთქმულია პ უ ბ ლ ი ც ი ს ტ ი კ უ რ ა დ. ეს პოეზიის ნაკლია. რა თქმა უნდა შეიძლება პოლიტიკური, ტენდენციური ლექსების წერა. ამის მაგალითები ბევრია და ძალიან კარგი მაგალითებიც. წარსულში, მაგალითად, ნეკრასოვი რუსეთში და აკაკი ჩვენში, ან თანამედროვე მაიაკოვსკი რუსეთში და ჩვენში. მაშაშვილი, მოსაშვილი და სხვა. მაგრამ ყველა ესენი პოეტური ხერხებით გამოსთქვამენ პოლიტიკურ აზრებს, სახეებში გვაძლევენ ზოგჯერ თვით სალოზუნგო ფრაზებსაც.

და სწორედ ეს მოეთხოვება პოეზიას.

თქვენ კი ჯერ ფვით ლექსის ტექნიკასაც — მომიტევეთ და — ვერა ხართ დაუფლებული. მაგალითად, ავიღოთ თქვენი ერთი უძლიერესი ლექსთაგანი „ოქტომბერი".

თქვენ სწერთ:

„მე ძლიერი ვარ, ოცი წლის უკან
გავაცამტვერე სასტიკი მტერი".

ეს ათ-მარცვლოვან ლექსად არის დაწერილი, თუმცა აქავე უნდა მოგახსენოთ, რომ ფრაზა „ოცი წლის უკან"-ს ქართულად „ოცი წლის წინათ" სჯობია, მაგრამ ეს იქით იყოს. გადავხედოთ ამავე ტაეპის მეორე ნახევარს. აგერ ისიც.

„და თავისუფლების მახარობლად
ყოველ წლობით მოვალ-მოვიმღერი".

უყურეთ, აქაც ათ-მარცვლოვანია ლექსი, მაგრამ მისი შინაწყობა, ესრეთ წოდებული „ცეზურა" დარღვეულია.

აქ ლექსი ცეზურის დარღვევის გამო ასე წაიკითხება:

„და თავისუფლე ბ ი ს მ ა ხ ა რ ო ბ ლ ა დ".

ხედავთ?

აგრეთვე მეორე სტრიქონი:

„ყოველ წლ ბ ი თ მ ო ვ ა ლ-მ ო ვ ი მ ღ ე რ ი“.

სიტყვებია შუაზე განკვეთილი და, ცხადია, ლექსის მუსიკალობაც არღვევა. და ფრაზების აზრიც ბუნდოვანი ხდება, რადგან „ბისმახარობლად“, „ბითმო“, „ვალ-მოვიმღერი“ და ცალკე ობლად დარჩენილი „წლო“ არაფერს არ ამბობს.

ამას გარდა ამავე ლექსში თქვენ გადადიხართ თერთმეტ-მარცვლოვან ტაეპებზე. ჯერ ერთი, ქართულ ლექსს არ უყვარს ასეთი წყობა, მეორე, შეიძლება ასედაც დაიწეროს, მაგრამ ეს გამოწვეული უნდა იყოს რაიმე დიდი მიზეზით. მაგ., როდესაც ასეთი ლექსი იწერება სპეციალურ მუსიკისთვის სამღერლად და მუსიკა თხოულობს ლექსში თერთმეტ-მარცვლოვან წყობას (ოპერაში, ორატორიაში და სხვ.). აქ კი ასეთ გარემოებასთან არა გვაქვს საქმე. თქვენ შეგეძლოთ გადასულიყავით სხვა რაოდენობაზე მარცვლებისა, თუნდა დაქტილურზე, მაგრამ, ჩემის ფიქრით, ამას ამ ლექსში საჭიროება არ მოითხოვდა.

ახლა აქ იალიან არეულია ლექსთა წყობა, უკანასკნელი ტაეპი ხომ უკვე 9-მარცვლოვანიც კია და... ეს მკითხველს მხოლოდ გაუჭირვებს საქმეს, უფრო პროზაულ გუნებაზე დააყენებს და თქვენ ხომ ეს არ გინდათ.

აგრეევა სხვა ლექსებშიც. აი, მაგ., „დანიელ ჭონქაძეს“. თქვენ ასე იწყებთ:

„ვინ არ იცნობს დანიელ ჭონქაძეს“.

და კაცს ჰგონია, რომ თქვენ პროზაულ პუბლიცისტურ წერილს იწყებთ, რადგან ასე არ შეიძლება ლექსის დაწერა. რა ვუყოთ, რომ ათი მარცვალი ამ ფრაზაში დაცულია. ლექსად რომ დაგეწყოთ ეს ფრაზა, მაშინ ერთი მარცვლის მომატებაც მოგიხდებოდათ და გამოგივიდოდათ მუხამბაზური:

„დანიელსა ვინ არ იცნობს ჭონქაძეს“

თუმცა ცხადია მუხამბაზი ამ თემას არ შეეფერება, მხოლოდ ეს კია, რომ ფრაზა ამღერებულია. ლექსში მთავარი კი ის გახლავთ, რომ ფრაზა უნდა მღეროდეს, თავისთავად. მაგრამ ამღერებაც არის და ამღერებაც და „დანიელსა ვინ არ იცნობს ჭონქაძეს“, რა თქმა უნდა, გამოსადეგი არ არის.

აქ სხვანაირად უნდა მოგეფიქრებინათ, სხვა რაიმე ხერხი უნდა გამოგეძებნათ. თქვენ კი პროზაულად ფიქრობთ და გარითმული სიტყვებით კი სწერთ.

თქვენ თქვენს ლექსებში ერთი სახეც არ გაქვთ პოეტური, თუ არ ვიანგარიშებთ ერთგან ასეთ თქმას:

„წარღვნით წავლეკე ბნელი სამყარო
და სისხლის ღვარით შევღებე მთა-ველი“.

ესეც პროზიდან, გაზეთის სტატიიდან მოტანილი ფრაზაა და პოეტი სტატიების გარითმვას კი არ უნდა ცდილობდეს, არამედ სტატიებში გამოთქმული აზრი მან სახეებში უნდა ჩამოძერწოს.

ამას გარდა ამ ლექსშიც პირველი სტრიქონი ათ-მარცვლოვანია, მეორე თერთმეტი. ეს არღვევს მუსიკალობას.

შეიძლება გაგიკვირდეთ, საყვარელო გრიგოლ, რომ ცოტა არ იყოს, სასტიკად ვეჯყრობი თქვენს ლექსებს, მაგრამ, რაკი შემეკითხეთ, მოვალე ვარ სიმართლე გითხრათ. ამიტომაც, გამოგიტყდებით, ასეთის სახით ვერც ერთს თქვენს ლექსს ვერც ერთ ჟურნალს ან გაზეთს მე ვერ გადავცემ.

ძვირფასო ამხანაგო! თქვენ ძალიან კარგ გზას ადგეხართ. უმაღლესი სწავლა გინდათ მიიღოთ. წრეულს ავადმყოფობას ხელი შეუშლია, გაისათ შედით უნივერსიტეტში, თქვენ ჯერ ახალგაზრდა ხართ, მოასწრებთ, წინ იმდენი კარგი მოგე-

ლით, განსაკუთრებით ჩვენს ეპოქაში. გული არ უნდა გაგიტეხოთ ჩემმა წერილმა. მე თქვენი გულის გატეხა არც მინდა და თუ ნაკლზე გითითებთ, ეს ადვილი გამოსასწორებელია, ადვილია მაშინ, როდესაც კიდევ მეტ სწავლას შეიძენთ. ყველაფრის წამალი სწავლაა, ჩემო კარგო. ცოდნა გამომსწორებელია ყოველგვარი ნაკლისა. თქვენც ამ გზას ნუ დააგდებთ. უნივერსიტეტამდე და შემდეგაც მუდამ უნდა ცდილობდეთ თვითგანვითარებას, ბევრი უნდა იკითხოთ, საუკეთესო ოსტატები, რაკი მხატვრული ლიტერატურა გაინტერესებთ, უნდა გადაიკითხოთ და შეისწავლოთ უდიდესი მსოფლიო პოეტები: ჰომიროსი, დანტე, რუსთაველი, ბაირონი, პუშკინი და აგრეთვე უფრო ახლო დროისანი — ილია, აკაკი, ბარათაშვილი, ვაჟა, ნეკრასოვი, ფაიკოვსკი, ჩვენი თანამედროვე სახელგანთქმული მწერლები და შეისწავლოთ იმიტომ კი არა, რომ მათ მიჰბაძოთ, არამედ იმიტომ — შეისწავლოთ მათი წერის ტექნიკა, ხერხი, გამოთქმა, მუსიკალობა, სიტყვის სიფაქიზე, გამჭვირვალობა, იდეის სურათებსა და სახეებში მოცემა და სხვ.

საერთოდ პოეზიამ მხატვრულად უნდა გამოსთქვას ის, რასაც პროზა ჩვეულებრივად გადმოგვცემს.

კიდევ მინდა გითხრათ: მწერთ, რომ თქვენ „დაჯილდოვებული ხართ დრამატურგის ნიჭით“.

ძალიან სასიხარულოა, მაგრამ, ნუ მიწყენთ და, ასე თქმა არ შეიძლება. მე მგონი თვითონ „ბებერი შექსპირიც“ არ იტყოდა „დრამატურგის ნიჭით ვარ დაჯილდოვებულიო“.

სიამაყე კარგი რამ არის, თავის თავის რწმენა ადამიანს უსათუოდ უნდა შესდგამდეს, მხოლოდ თავმომწონეობას კი უნდა ვუფრხილდეთ.

მეშინია, ვაი თუ შექსპირს ჯერ კარგად ვერ იცნობთ, ან განთქმულ მოლიერს, ან სხვა დიდ დრამატურგებს... მერმე კიდევ, დალოცვილო, არც აცივებთ, არც აცხელებთ და პირდაპირ „გერმანიის ახალთაობის ბრძოლას სისხლიანი ფაშიზმის წინააღმდეგ“ ეხებით თურმე თქვენს პიესაში.

ეს ძალიან მოსაწონი ამბავია და ძალიან საჭიროც ჩვენი დრამატურგიისთვის, მაგრამ არა მგონია, რომ თქვენ პირადად ყოფილიყვეთ ამჟამად გერმანიაში და გაზეთების გარდა სხვა რამ წყარო გქონდეთ გერმანიის თანამედროვე ცხოვრების შესასწავლად. გაზეთები და ბროშურები კი ამისთვის საკმარისი არ არის. თვითონ თქვენ უშუალოდ უნდა იცნობდეთ თანამედროვე გერმანელ ახალგაზრდა ფრიცს, ან კლერხერს, განცდილი უნდა გქონდეთ მათი პირადი ცხოვრება, ყოფა, გარემო, ისე კი მშრალი სქემა გამოგივათ და ლოზუნგების დაგროვების მეტი არა იქნება რა.

უცნობ საგანზე წერა ძალიან გამოცდილ მწერლებს და დრამატურგებსაც უჭირთ ხოლმე და თუ სწერენ, ვთქვათ ისტორიულ რომანებს თუ პიესებს, იმ დროებას, როდესაც მათ არ უცხოვრიათ, სამაგიეროთ წლობით სწავლობენ დაზუსტებულ მასალებს, იქექებიან არქივებში და სხვ.

მწერალმა უწინარეს ყოვლისა, რა გარემოსაც იცნობს, იმაზე უნდა სწეროს, განსაკუთრებით ახალგაზრდამ.

დალოცვილო, დაგეწერა შენი სოფლის, ეი თუნდ ნაკიფუუს კოლმეურნეთა ცხოვრებიდან რამე, გეჩვენებინა, თუ რითი სულდგმულობს ბებერი შუკოჩია, ან გვატი, როგორ მუშაობს და წინ მიდის რომელიმე სოფელი ჩათუ ან ცარუ ან კიდევ გიოიტა და ძიკი. ან შეიძლება ეს სახელები სულ არ არის ამ ჟამად სამეგრელოს სოფლებში, მაგრამ ეს სულ ერთია.

დაგეწერათ რამე ნაცნობი ცხოვრებიდან. საერთოდ კი ნუ ჩქარობთ საჯაროთ თქვენ თხზულებათა გამოფენას. სწერეთ, ივარჯიშეთ, წააკითხეთ გამოცდილ ამხანაგებს, გამომიგზავნე მეც და მიუხედავად ჩემი დიდი მოუცლელობისა, ვეცდები საათანადო მითითებანი მოგაწოდოთ.

ისიც კარგი აზრია, რომ გინდათ რუსთაველის თეატრის დრ. სტუდიაში შეხვიდეთ. ამისთვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა გ ა რ ე გ ნ ო ბ ა. კარგი ტემბრის ხ მ ა, შემდეგ კი ცოდნა არა ნაკლებ შვიდწლედის კურსისა და პოლიტიკური მომზადება.

მხოლოდ, თუ უნივერსიტეტში გინდათ შესვლა, რასაკვირველია, ჯერ ეს სჯობია. ნუ გაიბნევით.

ჯერ უმაღლესი სწავლა მიიღეთ და შემდეგ რისი მოწოდებაც გექნებათ, იქ გამოჩნდება. შეიძლება იქ სულ სხვა, რომელიმე მეცნიერების დარგმა გაგიტაცოთ. ეს ხდება ხოლმე.

ჯერ თქვენ დაუდეგელ მაჭარს ჰგავხართ. ეს ახალგაზრდული წესია.

მაინცადამაინც უსწავლელი და მოუმზადებელი ნუ გამოხვალთ ხელოვნების ასპარეზზე.

ხელოვნების სამსახური დიდ მომზადებას მოითხოვს. ვინც კი გაიმარჯვა ამ სფეროში, გაიმარჯვა მხოლოდ დიდი შრომისა და გარჯილობის შემდეგ. ისე კი, ვინც მოვიდა მხოლოდ თავის ნიჭის ამარა და თითო-ოროლა წაიმღერა, უკვე საბოლოოთ ჩაჩუმდა ახლა, რადგან მარაგი არ ეყო: არ ჰქონდა მომზადება და სწავლა.

მე ჩემ თავზე გეტყვით: ახალგაზრდა ვიყავ, როდესაც სამწერლო და სასცენო ასპარეზზე გამოველ, მაგრამ მანამდის ჩემს სახლში ვვარჯიშობდი წერაში და სცენაზე სამუშაოდ. პირველი ნაწერები, სიყმაწვილის ნამუშევარი არსად არც კი გამომიქვეყნებია. მხოლოდ ცოტა გამოცდილება რომ შევიძინე, ტექნიკით გავძლიერდი, ლექსიკონიც გამდიდრდა და სტილიც ასეთუისც შემიმუშავდა, მხოლოდ მაშინ გავბედე და გამოველ საჯაროდ და, რასაკვირველია, უცბად ვერც მაშინ დავდეგ ფეხზე, მაგრამ ეს კია, რომ მხატვრულად ნაკლები შეცდომები მქონდა ნაწერებში.

ასე იქნებით თქვენც. უთუოდ გაიმარჯვებთ, მხოლოდ ამ გამარჯვებისთვის უნდა შეემზადოთ ცოდნითა და ტექნიკური საჭურველით.

გისურვებთ ყოველივე კარგს.

დარწმუნებული ვარ, როგორც გონიერი და ნიჭიერი ახალგაზრდა, არ მიწყენთ ჩემს ცოტაოდენ სისასტიკეს.

იყავით კარგად!

შალვა დადიანი.



ნიკო ნიკოლაძე

მე-19 საუკუნის ქართული აზროვნების თვალსაჩინო წარმომადგენელი; გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე დაიბადა 1843 წელს, 14 სექტემბერს (ძველი სტილით) ქ. ქუთაისში. ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ნიკოლაძე შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში

უნივერსიტეტში სწავლის დროს ნიკო ნიკოლაძე სხვა ქართველ სტუდენტებთან (გ. წერეთელთან, კირ. ლორთქიფანიძესთან, დ. ღოლობერიძესთან და სხვებთან) ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებს მაშინდელ სტუდენტთა მოძრაობაში; 1861 წელს აპატიმრებენ მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციაში მონაწილეობის გამო და ათავსებენ პეტრე-პავლესა და კრონშტადტის ციხეებში.

ციხიდან გამოსვლის შემდეგ ნიკო ნიკოლაძე კიდევ უფრო ახლო ეცნობა რუსეთის გამათავისუფლებელ მოძრაობას. ეწაფება და ახლო ეცნობა ევროპისა და რუსეთის დიდ მწერლებსა და პოლიტიკურ მოღვაწეებს, განსაკუთრებით იტაცებს ჩერნიშევსკის და სხვა რადიკალურად მოაზროვნე მწერლების იდეები და მის პირველ პუბლიცისტურ წერილებს გარკვევით ატყვია მათი ღრმა გავლენა.

ნიკო ნიკოლაძე პირადად იცნობდა და ახლო ურთიერთობაში იყო ნ. ჩერნიშევსკისთან, გერცენთან და სხვებთან.

17 წლის ყმაწვილმა პირველი თავისი წერილი მოათავსა 1860 წელს ივ. კერესელიძის ჟურნალ „ცისკარში", სტუდენტობის დროს თანამშრომლობდა „ისკრასა" და „სოვრემენიკში". საზღვარგარეთ გამგზავრების შემდეგ იგი უახლოვდება გერცენს და ხდება მისი „კოლოკოლის" მუდმივი თანამშრომელი.

იქ მან დაბეჭდა წერილი გლეხთა განთავისუფლებაზე საქართველოში და სხვ. წერილში „გლეხთა განთავისუფლება საქართველოში" ნიკო ნიკოლაძე გვევლინება უტოპიური სოციალიზმის წარმომადგენლად და ქადაგებს, რომ „ერთადერთი ფორმა საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილებისა, რომელსაც შეუძლია ნამდვილი სარგებლობა მოუტანოს საქართველოს არის მიწისა და ყველა სხვა საკუთრების თემობრივი (общинное) განაწილება და თემობრივი ორგანიზაცია, როგორც სახალხო შრომისა, ისე სახელმწიფოებრივი მართველობისა". ნიკო ნიკოლაძე არ გამოდის თემის წმინდა წყლის მებაირახტრედ. ის სწრს: „ჩვენ სრულიადაც არ ვიღებთ რუსეთის თემს ჩვენს იდეალად, მაგრამ ის ათასჯერ უფრო ახლო სდგას საზოგადოებრივი წყობილების ჩვენს გაგებასთან, ვიდრე რომელიმე ინდივიდუალიზმის პრინციპი, რომელიც დასავლეთ ევროპაში ბატონობს.

საყურადღებოა აგრეთვე ისიც, რომ ნიკო ნიკოლაძე სრულიად სხვა თვალსაზრისზე იდგა საქართველოს ეროვნული გათავისუფლების საქმეში, ვინემ ქართველი სამოციანელები. პირველ რიგში აყენებდა საქართველოს სოციალურად გათავისუფლების საქმეს და მოითხოვდა ნაციონალური ბრძოლის მეორე პლანზე დაყენებას. ის ილაშქრებს აგრეთვე იმ ნაციონალისტების წინააღმდეგ, რომლებიც ევროპის

ორიენტაციას იზიარებდნენ და საქართველოს გათავისუფლებას ევროპის პროტექტორატში ხედავდნენ.

საზღვარგარეთ ყოფნის დროს ნიკოლაძის მეთაურობით და დ. მიქელაძის და პ. იზმაილოვის მონაწილეობით პირველად გამოვიდა ევროპაში სამოცდაათიანი წლების არალეგალური ქართული გაზეთი. ეს გაზეთი გამოიცა 1873 წელს პარიზში პირველ აპრილს და მისმა არსებობამ გასტანა აპრილის ათამდე. მისი გამოცემა გამოწვეული იყო იმ ხანებში ნ. ნიკოლაძის ქართულ შრიფტზე და სტამბის მოწყობაზე მუშაობით. ამ გაზეთში წერილების უმრავლესობა ეკუთვნის თვით ნიკოლაძეს. წერილები რევოლუციურ-რადიკალური შინაარსისაა. გაზეთში მოთავსებულ წერილებს ატყვია ნაროდნიკული გავლენისაგან განთავისუფლება. ნიკოლაძე აქ ეკამათება ლავროვის ჟურნალს „ვპერიოდის" თანამშრომელს.

ნიკო ნიკოლაძე საზღვარგარეთიდან ბრუნდება პოლიტიკურად მომწიფებული; 1869 — 77 წლებში ათავსებს წერილებს გაზეთ „დროებაში", 1871 — 73 წლებში გ. წერეთელთან ერთად აარსებს ჟურნალ „კრებულს", ცოტა უფრო გვიან სცემს „ობზორს". ეს გაზეთი პროგრესიული მიმართულებისა იყო და ხშირად იბეჭდებოდა მასში მთავრობის საწინააღმდეგო წერილები. მთავრობა მალე გაზეთს ხურავს და მის რედაქტორს ნიკო ნიკოლაძეს სტავროპოლში ასახლებს; 1882 — 84 წლებში ნიკოლაძე ახლო მონაწილეობას იღებს სალტიკოვის ჟურნალ „ოტეჩესტვენნე ზაპისკიში" და ერთხანს განაგებს ამ ჟურნალის კრიტიკულ განყოფილებას.

ცოტა უფრო გვიან ნიკო ნიკოლაძე 1887 წელს აარსებს გაზეთს „ნოვოე ობოზრენიეს", მონაწილეობს ჟურნალ „მოამბეში". ამ ჟურნალში ათავსებს შინაურ და უცხოეთის მიმოხილვებს, ბოლოს (1894 წლიდან) თავს ანებებს მწერლობის ფრონტზე მუშაობას, გადადის ფოთში და იქ მუშაობს 1912 წლამდე ქალაქის თავად.

ნიკო ნიკოლაძემ დიდი როლი ითამაშა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში. მან თავისი შეუდარებელი და მახვილი კალმით თავიდანვე დაიმკვიდრა დიდი მებრძოლისა და ერუდიციისმქონე პუბლიცისტის სახელი. მისი ყოველი წერილი აღფრთოვანებას იწვევდა ახალგაზრდობაში.

ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობის პირველ პერიოდს ჰქონდა თავის დროზე უაღრესად დიდი პროგრესიული რეზონანსი. ის სათავეში უდგა მოწინავე ინტელიგენციას და ფუძემდებელია ქართულ პუბლიცისტიკაში ევროპული ჩვევებისა.

ქართულ და რუსულ ენაზე სხვადასხვა დროს იცემოდა მისი საპოლემიკო-პუბლიცისტური და პოლიტიკური ნაწერები ცალკე წიგნებად, მაგრამ მის თხზულებათა გამოცემას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს.

ნიკო ნიკოლაძე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროს საზღვარგარეთ მოხვდა და იქიდან დაბრუნებული დგება საბჭოთა ხელისუფლებასთან მტკიცე თანამშრომლობის გზაზე.

გარდაიცვალა 1928 წელს. დასაფლავებულია მთაწმინდაზე.

ზ. მებუკე.

ლავრენტი არდაზიანი

ლავრენტი არდაზიანის ლიტერატურული მოღვაწეობის დრო ექვსი წლით იფარგლება (1857 — 1863). მისი ბიოგრაფია არ არის მდიდარი მრავალფეროვანი ფაქტებითა და შემთხვევებით.

არდაზიანი წარმოშობით სასულიერო წოდებას ეკუთვნოდა. დაიბადა იგი 1818 წ. განათლება მიიღო თბილისის სასულიერო სემინარიაში. სემინარიის დასრულების შემდეგ შევიდა სამსახურში — სახაზინო პალატაში. ბოლოს საოლქო სასამართლოში მსახურობდა მდივნის თანამდებობაზე.

ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო 1857 წ. იგი იყო ივ. კერესელიძის მიერ განახლებული „ცისკრის“ რედაქციის აქტიური წევრი და თანამშრომელი. მან თარგმნა ქართულად შექსპირის ტრაგედია „ჰამლეტი“. ეს თარგმანი ივ. მაჩაბლის თარგმანთან შედარებით სუსტია, მაგრამ, როგორც შექსპირის ქართულად თარგმნის ცდა, თავისი დროის მიხედვით კარგადაა შესრულებული.

არდაზიანი კრიტიკულ წერილებსაც სწერდა. 1859 წ. „ცისკრის“ სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა ბერძენოვთან საპოლემიკო წერილი, იმ წერილების საპასუხოდ, რომლებიც ბერძენოვმა გაზ. „კავკაზში“ მოათავსა „ცისკრის“ შესახებ. არდაზიანის ეს წერილი მრავალმხრივაა საინტერესო, მაგრამ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ახალი პროზის საკითხის წამოყენებით: „ახლანდელი ყმაწვილკაცები, — ამბობს არდაზიანი, — ორ წყალ ზუა არიან. იმათ არ იციან, რომელის ენით სწერონ: საღმთო წიგნურის ფორმით თუ შეჰქმნან პროზა საერო ენაზე. გრძნობენ საღმთო წიგნური ენის სიმძიმესა და ურგებლობასა და მასთანვე შიშობენ წერასა საერო ენის ფორმით... ფორმა საღმთო წერილის ენისა საკუთრად არ არის ძირეული ფორმა ქართული ენისა. საღმთო წერილი გადმოღებულია სიტყვა-სიტყვით ბერძნული ენიდან, გამშვენიერებული პროზა შეიძლება მხოლოდ საერო ენაზეო“. და დასძენს: „კრიტიკა მოვალეა პროზა დააყენოს ერთ გზაზე, ჩაუდგას იმას საერო ენაო“.

ასე მკვეთრად, გარკვევით და ნათლად წამოაყენა არდაზიანმა ახალი პროზის საკითხი ჯერ კიდევ 1859 წ., სანამ თავის რომანებს დასწერდა. ეს აზრი წინ უსწრებს ჩვენი ახალი პროზის შექმნას და გვიჩვენებს, თუ რა შეგნებით ეკიდებოდა ჩვენი ავტორი ენის კულტურის საკითხს და ლიტერატურის დაწინაურების საქმეს, როგორ იბრძოდა დამჯდარი, დინჯი ლიტერატურული მუშაობისა და წარსული კულტურის კრიტიკული ათვისებისთვის. აქ არის საწყისი იმ აზრისა, რომელმაც ასე კარგი ნაყოფი გამოიღო შემდეგში XIX საუკუნის მოწინავე მწერლების შემოქმედების სახით.

არდაზიანის ცნობილი რომანი „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“, საუკეთესო ნიმუში ქართული რეალისტური პროზისა, დაიბეჭდა 1861 წ. იანვრის და თებერვლის „ცისკრის“ ნომრებში. ამ თხზულებამ დაბეჭდვისთანავე მიიპყრო მკითხველისა და კრიტიკის ყურადღება. ამავე წლის აპრილის „ცისკრის“ ნომერში დაიბეჭდა: „რედაქციისაგან: წარსულის ორ თვის ნომერში დაბეჭდილი იყო ნამდვილი ქართული რომანი შეთხზული ჩვენის თანამედროვე მწერლის ლავრენტი არდაზიანისაგან. რედაქციაში მოგვდის ამ საგანზედ სხვადასხვა პირთაგან წიგნები, სადაც ისმის ხმა ქებისა და მადლობისა. რედაქცია ამ საზოგადო აზრს დაამატებს თავის აზრს და განუცხადებს უფალს არდაზიანს უგულითადეს მადლობას ამგვარ შრომისათვის და ჩვენ ლიტერატურაზედ ღვაწლის დადებისათვის. — კვლავ იმედოვნებს, რომ თავისს ძვირფასს შრომას არ მოაკლებს რედაქციას უფ. არდაზიანი“.

ეს „საზოგადო აზრი“, როგორც დავინახავთ, შემდეგშიც ბევრმა გაიზიარა და დღემდე ძალაშია.

არდაზიანის მეორე რომანი „მორჩილი“ თითქმის უცნობია. იგი დაიბეჭდა 1861 წ. „ცისკარ“-ში. თავისთავად იგი დიდად საინტერესო ლიტერატურულ დოკუმენტს წარმოადგენს, მაგრამ კრიტიკა მას ჯერ თითქმის არ შეხებია.

უნდა აღინიშნოს, რომ ორივე რომანის მოქმედების დრო თითქმის ერთიდაიგივეა, და დაწერის დროც არ აშორებს მათ ერთმანეთს დიდი მანძილით, მაგრამ მაინც არავითარი მსგავსება არაა მათ შორის. პირიქით, ისინი ერთმანეთს ავსებენ და ერთად იძლევიან მაშინდელი თბილისის ნამდვილ სახეს.

„მორჩილი“-ს თემაა ქალი და ოჯახი. სამოციან წლებში ეს საკითხი აქტუალური იყო და მაშინდელ მოწინავე მწერალს — არდაზიანსაც სერიოზული ყურადღება მიუქცევია ამ თემისთვის: მთელი რომანი დაუწერია ამ საკითხზე თავისი შეხედულების გასაფორმებლად. ავტორი საკითხს აარკვევს ორი საწინააღმდეგო ხასიათის ოჯახის დაპირისპირების გზით.

საერთოდ ეს რომანი კონტრასტებით ვითარდება და საინტერესო სურათებითაა სავსე. ავტორი კარგად იცნობს „ბრწყინვალე“ წოდების ცხოვრებას, მის კულტურულ დონეს და შესანიშნავად გვიხატავს მისი ყოფის ნამდვილ სახეს, ნაწარმოების დიდი ნაწილი აღწერით ვითარდება, აღწერა ზოგჯერ დიალოგის სახითაა მოცემული და უმეტეს შემთხვევაში ისეთ სურათებს აგვიწერს, ისეთი დაკვირვების ნიჭი სჩანს მათში, ისე მოხაზავს ავტორი ტიპის გარეგან სახეს, რომ ყოველი ნაკლი მივიწყებას ეძლევა.

არდაზიანის მიერ „მორჩილშიც“ ყოველი ტიპი გულდასმითაა მოხაზული, მაგრამ შუამავალი ლიფსიმეს სახე განსაკუთრებული დეტალებით არის წარმოდგენილი; „ლიფსიმე იყო ხანშიშესული დედა-კაცი, მაგრამ პირისახე ჰქონდა კიდევ სავსე და გადატკეცილი: კვალი სიყმაწვილის სილამაზისა კიდევ აჩნდა, არ დავიჯერებთ, თუ ის ფერუმარილს არ ისვამდა და წარბებს წამწამითურთ არ იღებავდა, იმიტომ, რომ თვითონ იყო ცალკე ბუნებით, ცალკე სიბერით ფერგადაკრული, მაგრამ თეთრწითლად კი ღვიოდა და წარბებში ჭაღარა არ ეტყობოდა“. ავტორი ამით არ კმაყოფილდება. ლიფსიმეს ჩაცმულობის აღწერას თეკლეს და ვარსკვლავისას კომიზმით სავსე ცოცხალ დიალოგში ატარებს და იძლევა შუამავლის მხატვრულ კლასიკურ სახეს.

საინტერესოდაა მოხაზული თეიმურაზის მსახურის — გოჩუნას ტიპი, იგი ყველას მიერ აბუჩად აგდებული და ბატონის მიერ მათრახით ნაცემი, სრულიად დანეღრეულია და თავისებურად ლაპარაკობს. ამ ლაპარაკის ხასიათი დაჭერილი აქვს ავტორს: „მე წაველ, რო წაველ, მივედი, რო მივედი, იმათ სახლის კარებთან ძოვიზღარბე, და რო მოვიზღარბე, მოვიმძინარე თავი, მელიასავით მოვიმძინარე, თვალები კი ნახევრად მეხილა, და რო მეხილა. სულ იმათ კარებს ვუყურებდი და, რო ვუყურებდი, ის გოგო, თქვენ რო მიჩვენეთ. სწორედ ის გოგო“, და სხვა. ყოველთვის ასე ალაპარაკებს. რაც რომანის კონტექსტში უსათუოდ საინტერესოდ ისმის.

არდაზიანი აქტიურ ლიტერატურულ მუშაობას გლეხთა გამათავისუფლებელ ბრძოლების ხანაში აწარმოებდა, მაგრამ ბატონყმობის წინააღმდეგ არცერთი სიტყვა არ დაუწერია.

ვერც გლეხთა აჯანყებებმა, ვერც დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხის“ გაბედულმა პროტესტმა და ვერც შემდეგ აკაკი წერეთლის „გლეხის აღსარებამ“

„თავდახრილი მიტომ ვარ, რომ კისერზე მაზიხარ —

. . . . . .

პირუტყვივით მიმონებ, მფლობ და არ გეცოდები...“

რომლებიც არდაზიანის ნაწერებთან ერთად იბეჭდებოდნენ „ცისკარში“, ვერ გააბედვინეს მას ბატონყმობის საწინააღმდეგო სიტყვის თქმა. ეს უთუოდ აყენებს ჩრდილს ამ საინტერესო მწერლის პიროვნებას, მაგრამ ფეოდალური ცხოვრების ნიადაგზე გაჩენილი ბურჟუაზიის ტიპიური ხასიათის გამოხატვით, მისი სოციალური ბუნების გარკვევით არდაზიანმა საპატიო ადგილი დაიჭირა ჩვენს ლიტერატურაში.

არდაზიანი გარდაიცვალა 1870 წ. იანვრის 1-ს. ნაშუადღევის 2 საათზე, ერთი კვირის ავადმყოფობის შემდეგ ფილტვების ანთებით. დაკრძალეს კვირას, იანვრის 4-ს, ვერის სასაფლაოზე.

პლატონ კეშელავა.

ბიბლიოგრაფია

გიორგი ერისთავი: თხზულებანი შალვა რადიანის რედაქციით. „ფედერაცია“ 1936 წ.

გიორგი ერისთავის თხზულებათა სრული კრებული, რომელიც ამ ორი წლის წინათ გამოვიდა ბაზარზე, თვალსაჩინო მოვლენაა და საჭირო იყო მეტი ყურადღება მიექციათ მისთვის. პირველი პროფესიონალური დრამატურგი და პოეტი, გ. ერისთავი უსათუოდ ღირსია გულდასმით შესწავლისა. ეს ამოცანა ძირითადად კარგად შეუსრულებია წინამდებარე გამოცემის რედაქტორს.

შესავალ წერილში (ავტორი — შ. რადიანი) ვრცლადაა დახასიათებული გ. ერისთავის ლიტერატურული მემკვიდრეობა, უმთავრესად სოციალოგიური თვალსაზრისით. გამორკვეულია როგორც ეპოქის ხასიათი, მწერლის ძირითადი საზოგადოებრივი მოტივები და იდეები, ისე მათი ლიტერატურული გენეზისის საკითხებიც. ამ მხრივ სარეცენზიო წიგნის შესავალი წერილი უსათუოდ დაეხმარება მკითხველს სწორი ორიენტაციის გამომუშავებაში ნიჭიერი ქართველი კომედიოგრაფის შემოქმედებაზე.

რამდენადაც გ. ერისთავის შემოქმედების შესახებ საკმაოდ გარკვეული შეხედულებანი არსებობს და შესავალი წერილიც არ შეიცავს რაიმე ყურადსაღებ შეცდომებს, დამოუკიდებელი მოსაზრებისაგან აქ თავს ვიკავებთ. საჭიროა მხოლოდ რამდენიმე შენიშვნა:

გ. ერისთავის თხზულებათა აკადემიურ გამოცემას წინ უნდა უძღოდეს მწერლის თუნდაც მოკლე ბიოგრაფია. „ქრონოლოგიური ქარგა“ ამ ნაკლს ვერ ავსებს, რიდგან ასეთი ქარგები ხშირად სრულ ბიოგრაფიასთან ერთადაც იბეჭდება.

მასალის დალაგებისას საჭირო იყო მეტი სიმკაცრე. მაგ. კომედია-პოემა „შეშლილი“ უნდა მოთავსებულიყო პიესებს შორის და არა ლექსებსა და პოემებთან. რითმები სრულიადაც არ უკარგავენ ამ პიესას ჟანრის ხასიათს. მით უმეტეს, რომ მომქმედი პირების სია, რომელიც მას წინ უძღვის, მკაფიოდ მიუთითებენ ავტორის განზრახვაზე — „შეშლილი“ სცენისთვის არის გამიზნულიო.

რამდენიმე სიტყვა ტექსტის შენიშვნების შესახებ (ავტორი ი. ბალახაშვილი).

ჯერ ერთი, ავტორს ვერ გამოურკვევია ლექსების ადრესატების უმრავლესობა და მხოლოდ სახელების ჩამოთვლით კმაყოფილდება. ამის გ მო მკითხველმა არ იცის — ვინ არიან: როზალია ბიშპინგი, პელაგია არციმოვიჩი (გვ. 384), თეოდოსია მირეცკი (386), სოფიო ერისთავი (390), კნიაუნა ა. ორბ... (394), მ...ო (395) და სხვები. ხშირად ვერ ახერხებს დაშიფრულ ლექსებში ადრესატების ამოცნობას.

ერთი მაგალითი:

გ. ერისთავის ლექსის „კ. ბ. ო“. გამო, რომელიც 1839 წელს არის დაწერილი (იხ. გვ. 29), შენიშვნების შემდგენელი სწერს (გვ. 388):

„ავტოგრაფ-კრებული № 3 ინიციალის „კ. ბ. ო“ ასე წარმოგვიდგენს: „კ. ბაბ. ორბე....“ — ბ ა რ ბ ა ლ ე ორ ბ ე ლ ი ა ნ ი (ილია ორბელიანის ცოლი). 1854 წელს ტყვედ წაიყვანეს წინანდლიდან შამილის მიურიდებმა. გამოსყიდულ იქნა 1855 წელს“:

ილია ორბელიანმა ბარბარე ბატონიშვილი შეირთო 1854 წელს. ასე რომ 1839 წელს დაწერილ ლექსში გ. ერისთავს არ შეეძლო ორბელიანის გვარით მისი მოხსენიება. გარდა ამისა, 1839 წელს ბარბარე ბატონიშვილი მცირე წლოვანი იყო და გ. ერისთავის ლექსის შინაარსი მას სრულიად არ შეეფერება. და კიდევ იმიტომაც, რომ 50-იან წლებამდე ბარბარე ბატონიშვილი, როგორც იმპერატორის ერთერთი ფრეილინა, რუსეთში იზრდებოდა თავის მამასთან, ილიასთან. გ. ერისთავს ლექსი კი თბილისშია დაწერილი.

ამ შეცდომას შენიშვნების ავტორი იმეორებს გ. ერისთავის მეორე ლექსის „ფიქრი ყმაწვილი ქალისა"-ს შენიშვნებში (გვ. 388).

გ. ერისთავის დღიურის „ჩემი მოგზაურობა ევროპაში" შენიშვნები აჭრელებულია ასეთი განმარტებებით:

9. „ფიგარო" — მომქმედი პირი ჯ. როსინის ოპერა „სევილიელი დალაქისა" (გვნ. 410).

თავდაპირველად უნდა მოხსენებულიყო ბომარშეს პიესა, რომლის ტექსტზედაც დასწერა როსინმა თავისი ოპერა.

გვ. 916. შენიშვნების ავტორის აზრით ელისაბედ დედოფალი ტახტზე ავიდა 1858 წელს, ხოლო გარდაიცვალა 1603 წელს.

„მოგზაურობაში" მოხსენებული მრავალი პირის ვინაობა შენიშვნებში ზოგჯერ სრულიად არ არის განმარტებული. ხოლო ისინი, ვისზედაც სწერს ჩვენი ავტორი, დაახლოებით ამგვარი სტილით არის დახასიათებული: გვ. 46. რუბენსის შესახებ ნათქვამია: „ცნობილი ფლამანდიელი (sic) მხატვარი ფლამანტრიული (sic) სკოლის დამაარსებელი".

უვიცობას ამჟღავნებს კომენტატორი გეოგრაფიაშიც. მაგალითად მე-417 გვერდზე სწერია: „რ ე ო ნ ა — იწყება შვეიცარიაში, გაივლის საფრანგეთს და ლიონის უბით ჩადის ატლანტიის (sic) ოკეანეში". სინამდვილეში კი რეონა ხმელთაშუაზღვას უერთდება.

შენიშვნების ავტორი ერთგან (გვ. 417) სწერს:

„ს უ ზ ა (და არა ზუზა, როგორც ეს გიორგი ერისთავს აქვს) — პატარა ქალაქი სარდინიაში". აქ, და ზოგჯერ სხვაგანაც (მაგ. ვატი-უატი) გასწორებულია გ. ერისთავის მიერ ნახმარი ფორმები. მაგრამ მაშინ გაუგებარია, რატომ სტოვებს შენიშვნების ავტორი გაუსწორებლად სახელებს: მიქელ ანჯელო ბუანაროტი" (გვ. 416) ს. „გაბელანი" (417), „ჯუზეპო გარიბალდი" (იქვე), „სალფერანო" და სხვები. რჩება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ზოგის სწორი წაკითხვა სცოდნია, ზოგისა კი — არა!

გარიბალდის სახელთან მიწერილია — (1805). მკითხველმა თვითონ უნდა ამოკვიოს: დაბადების, გარდაცვალებისა თუ მისი მოღვაწეობის რომელ პერიოდს უჩვენებს იგი. გარიბალდი ხომ უმნიშვნელო პიროვნება არ იყო, მაგ. როზალია ბიშპინგის მსგავსი, რომ მისი დაბადებისა და გარდაცვალების თარიღის მოიებნა გასჭირვებოდა შენიშვნების ავტორს?

ასეთი „წვრილმანი" შეცდომები შენიშვნებში საკმაოდაა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს შენიშვნების ავტორის ლაპარაკი თავის აღმოჩენაზე და ისეთი ფრაზები, როგორც, მაგ., „გოეტემ სადღაც თქვა" (თუმცა მოყვანილია საკმაოდ ცნობილი მოსაზრება, რომელიც გოეტემ ეკერმანთან საუბარში გამოსთქვა).

გ. ერისთავის „შეშლილისთვის" განკუთვნილ შენიშვნებში ვრცლადაა მიმოხილული ლიტერატურული მასალა ნიკ. ბარათაშვილის „ჰორიკანობის" შესახებ, რაიც ცუდს შთაბეჭდილებას სტოვებს და დიდი ქართველი რომანტიკოსის სახელს ბღალავს. რატომღაც ეს გაზვიადებული ამბავი („ჰორიკანობა") შენიშვნების ავტორს საინტერესო მოვლენად ეჩვენა.

რეცენზენტი